PRIME Time

N27 (328) ორშაბათი, 13 ივლისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

SCANDAL

ვინ არის სააკაშვილის ახალი ფავორიტი

რას წერენ უკრაინაში მათ შესახებ EXCLUSIVE

სკანდალური დავა EXCLUSIVE

კახა ბენდუქიძის შვილი მამის კანონიერ ცოლს უჩივის

„ნატალია ზოლოტოვა კახა ბენდუქიძის ერთადერთი ოფიციალური მეუღლეა ბოლო 14 წლის განმავლობაში და ის საქართველოში, მეუღლესთან, სისტემატურად ჩამოდიოდა, ამის უამრავი ფაქტი არსებობს“

SCANDAL

სკანდალი პარლამენტში

გოგა ხაჩიძე: „ჩიორა თაქთაქიშვილმა ეს თემა ცარიელ ადგილას ააგორა, რომ თავად ჩასდგომოდა ამას ავანგარდში და ვიღაცებს ჩვენ ველანძღეთ“

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ ჟვანიას საქმის პროკურორთან

PRIME Time EXCLUSIVE

„საბრალდებო დასკვნაში არაფერი მიწერია ისეთი, რაც 2005 წლის დასკვნაში არ აისახა“

„როცა ჟვანია პრაქტიკულად სიკვდილს ებრძოდა, მისი დაცვის წევრები რესტორნებში ქეიფობდნენ“

ცხედრის გატანას თავიდან არაერთხელ უარყოფდნენ, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს განაცხადეს, რომ თურმე გაუტანიათ, თანაც ნაგავსაყრელზე გადაგდების მიზნით“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„ევექსის“ ამბულატორიული ცენტრი ინოვაციების კვალდაკვალ - კომპიუტერული ტომოგრაფიის ახალი კაბინეტი

როგორ აღმოჩნდა ოქრუაშვილის ბიზნესი კეზერაშვილის EXCLUSIVE ხელში?

დედა, რომელმაც ხუთი წლის შვილი სადისტურად მოკლა, სააკაშვილმა შეინყალა

„ბავშვს მანამდე ვცემდი, სანამ გონებას არ დაკარგავდა. ამჯერადაც ასე იყო. შეშის ნაპობი გათიშვამდე ვურტყი, მერე იატაკზე მთელი ძალით დავახეთქე... კოვზით ჩავუმტვრიე კბილები“

EXCLUSIVE

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ყურადღება! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.
18 ივლისს, დილის 10:00 საათიდან, ქუთაისში, ტყიბულში, ცაგერში, ფოთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ზესტაფონში, მარტვილში, სამტრედიაში, ხონსა და სენაკში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ამასთან გაითიშება აბაშის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის,ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მარტვილის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ტყიბულის, ქობულეთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, ხარაგაულის,ხობისა და ხონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებგვერდის www.digitaltv.ge -ს საშუალებით.

Ⓐ

შსს-ს მასშტაბური სპეცოპერაცია – იარაღით ვაჭრობის სკანდალური სქემა გახსნილია

როგორ და ვისთან გადაჰქონდათ ოკუპირებულ ცხინვალში ამერიკული იარაღი? EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ ჟვა

რევაზ ნადო: „თუ გამოძიება მივა დასკვნამდე, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა, ამის თაობაზეც ღიად ვეტყვით საზოგადოებას“

მირიან ბოქოლიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოში ზურაბ ჟვანიას საქმიდან გამოყოფილი კიდევ ერთი ეპიზოდის – „დაცვის წევრების საქმის“ განხილვა დაიწყო. სამსახურებრივ გულგრილობაში მხილებულ ექსპრემიერის დაცვის წევრებს მათივე მოთხოვნით ნაფიცი მსაჯულები გაასამართლებენ. მკითხველს შევახსენებ, რომ ძირითადი საქმიდან გამოყოფილი კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც ექსპერტ ლევან ჩაჩუას გულგრილობას შეეხებოდა, ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენით დასრულდა.

„ძალიან მარტივი იყო, გულგრილობის ბრალდებით ეს ადამიანები მაშინვე მიეცათ პასუხისგებაში, გენინსპექციის დასკვნის საფუძველზე. საბრალდებო დასკვნაში არაფერი მიწერია ისეთი, რაც 2005 წლის დასკვნაში არ აისახა“

რევაზ ნადო

„ცხედრის გატანას თავიდან არაერთხელ უარყოფდნენ, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს განაცხადეს, რომ თურმე გაუტანიათ, თანაც ნაგავსაყრელზე გადაგდების მიზნით“

რა ვერდიქტს გამოიტანენ ნაფიცი მსაჯულები ხარშილაძე-ძაძამიას მიმართ, ეს, ალბათ, მალე გაირკვევა. მხარეებმა სასამართლოს უკვე წარუდგინეს მტკიცებულებები, თუმცა მათ შორის ვერ მოხვდა ცნობილი FBI-ს დასკვნა. ჟვანიას საქმის პროკურორი რევაზ ნადოი „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ აღნიშნული დასკვნა ხარშილაძე-ძაძამიას საქმესთან არანაირ შეხებაში არ არის, თუმცა ის ძირითად საქმეში დევს.

წააგებს თუ არა პროკურატურა ჟვანიას საქმეზე მორიგ რაუნდს? რა არის ბრალდების მხარის მთავარი კოზირი? რა წერია ჯერ კიდევ 2005 წლით დათარიღებულ გენინსპექციის დასკვნაში და გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე დამტკიცებულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ინსტრუქტაჟში – „პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიებების შესახებ“? და რაც მთავარია, გაეცემა თუ არა პასუხი კითხვას – უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ზურაბ ჟვანიას საქმის პროკურორ რევაზ ნადოისთან.

რევაზ ნადოი, პროკურორი:

– ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი საკმაოდ მშვიდ და ნორმალურ სიტუაციაში მიმდინარეობდა, თუმცა რა გადაწყვეტილებას მიიღებენ საზოგადოების წარმომადგენლები, ამის წინასწარ პროგნოზირება რთულია. ვფიქრობ, ეს საქმე მოსამართლეს, ანუ პროფესიონალ იურისტს რომ განეხილა, იმდენად ნათელი და გამოკვეთილია ხარშილაძე-ძაძამიას ბრალეულობა, რომ მაღალი ალბათობით დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. ეს კარგად არის ცნობილი ადვოკატებისთვისაც და სწორედ ამიტომ აირჩიეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ფიქრობენ, რომ ბინძური თემების მანიპულირებით მოახდენენ მოქალაქეებზე გავლენის მოხდენას და შეეცდებიან მათ შეცდომაში შეყვანას. შესავალ სიტყვაშიც აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ: ის, რაც ხდებოდა დახურულ კარს მიღმა, არავის საქმე არ არის. აქ საუბარია იმაზე, მიიღეს თუ არა დაცვის წევრებმა ყველა ზომა იქამდე, სანამ ბინაში დაცვის ობიექტს შეუშვებდნენ? შეამოწმეს წინასწარ? რა თქმა უნდა – არა. ამის ნაცვლად მიატოვეს დასაცავი ობიექტი და ერთი მცხეთაში ქეიფობდა, მეორე – რესტორან „მოსკოვში“, შემდეგ კი საბილიარდოში განაგრძო დროსტარება. ხაზგასმით აღვნიშნავ და არსებობს ამის მტკიცებულებები, არსებობენ მოწმეები: როცა ჟვანია პრაქტიკულად სიკვდილს ებრძოდა, მისი დაცვის წევრები რესტორნებში ქეიფობდნენ. არადა საუბარია ძალიან მარტივ ჭეშმარიტებაზე: წინასწარ უნდა ყოფილიყო ბინა ოპერატიულად შესწავლილი, რის შემდეგაც მცველები გარე პერიმეტრს დაიცავდნენ და მუდმივი კონტაქტი ექნებოდათ დასაცავ ობიექტთან. ამ დროს, რას შვრებიან ისინი? ტოვებენ ტერიტორიას და ერთი მიდის მცხეთაში, მეორე – თბილისის ერთ-ერთ რესტორანში. ამის შემდეგ მათ ქმედებას რაიმე გამართლება შეიძლება მოვუძებნოთ? აქ არ არის საუბარი მორალსა და ერთგულებაზე. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ერთგულებაც არავის გვეშლება, მორალი და ზნეობა პროკურორებსაც საკმაოდ გვაქვს, მაგრამ კანონი არის კანონი და ის უნდა დაიცვას ნებისმიერმა ადამიანმა. თუ საუბარია იმაზე, რომ დასაცავი ობიექტის თხოვნის გამო, მათ საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა, გამოდის, რომ ისინი პოტენციურად პასუხისმგებლობას იღებდნენ იმაზეც, რაც იქ შეიძლებოდა მომხდარიყო. ვიცით, რაც მოხდა, ადამიანები გარდაიცვალნენ, ახლა ზუსტად ის დროა, რომ თქვან: დიახ, ჩვენ ვილებთ პასუხისმგებლობას, რადგან გადავუხვიეთ წესს. სწორედ ეს არის ერთგულება და ზნეობა, და არა ის, რომ ყველანაირად ცდილობენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ არაერთი ტყუილი თქვეს და არ მესმის, რატომ უნდა ვენდოთ მათ და არა ბრალდების მხარის უტყუარ მტკიცებულებებს, რომელიც ძალიან მარტივ, ელემენტარულ ჭეშმარიტებებზეა დაყრდნობილი.

– უსუპოვის ცხედრის გატანის ეპიზოდზე რას იტყვით?

– ამბობდნენ, რომ გვამი ნაგავსაყრელზე გადაგდების მიზნით გაიტანეს. მიზანი იყო ნაგავსაყრელზე გადაგდება, თუმცა შემდეგ ისევ დაბრუნეს ბინაში. არაიურისტმაც კი იცის, რომ შემთხვევის ადგილის დაცულობა იძლევა საქმის გახსნის ძალიან დიდ ალბათობას. როდესაც შენ ადგილიდან გაგაქვს ცხედარი, გადაადგილებ ნივთებს და ა.შ. გამოდის, რომ უხეშად ერევი შემთხვევის ადგილის დაცულობაში. ცხედრის გატანას თავიდან არაერთხელ უარყოფდნენ, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს განაცხადეს, რომ თურმე გაუტანიათ, თანაც ნაგავსაყრელზე გადაგდების მიზნით.

– თუმცა ამბობენ, ბინაში იმდენად უხერხული სურათი დახვდათ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათო... ჟვანია ასეთ სიკვდილს ნამდვილად არ ისურვებდაო...

– მე პირადად ეჭვი მეპარება ამ სიტყვებში. მათ ევალებოდათ შემთხვევის ადგილის დაცვა და არა გვამის წინ და უკან გადაადგილება. დანარჩენი გამოძიების საქმე იყო.

– თუკი ჟვანია თავადვე ითხოვდა განმარტოებას სწორედ იმ ინტიმური დეტალებიდან გამომდინარე, რაზეც ეს ადამიანები საუბრობენ, ამ შემთხვევაში, როგორ უნდა ემოქმედა დაცვას?

– ჟვანიას საქმეს არ ეხება, მაგრამ, ზოგადად, დაცვის სამსახური იცნობს ფაქტებს, როცა დასაცავი ობიექტი არის ჯიუტი და არ ემორჩილება დაცვის მითითებებს. ესეც ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი. თუ არსებობს დასაცავი ობიექტის დაჟინებული თხოვნა, – დამტოვეთ და მე ჩემს ჭკუაზე წავალ, ასეთ შემთხვევაში დაცვა შემდეგნაირად მოქმედებს: არსებობს სამორიგეო ნაწილი, ეს ინფორმაცია სავალდებულო წესით უნდა გადასცეს სწორედ სამორიგეო ნაწილს, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას აგზავნის უშიშროებაში, რომ დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე იმყოფება ამა და ამ ადგილას, ამიტომ შენიღბულად უნდა განხორციელდეს ობიექტის დაცვა.

– თუმცა, როდესაც საუბარია მეგობრულ ურთიერთობებზე, ხომ შესაძლოა, რომ დაცვის წევრები ჟვანიას პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის უშიშროებისთვის გადაცემას მოერიდნენ?

– როცა საუბარია მაღალი თანამდებობის პირზე, მისი უსაფრთხოება არის პირველ ადგილზე. შენი საქმის გაკეთებას, თუნდაც შენიღბულად, მეგობრულ ურთიერთობებს ხელს არ უშლის. კანონში ძალიან მკაცრად არის გაწერილი, რა ღონისძიებები უნდა გატარებულიყო. როდესაც ამბობენ, რომ ამას გადავუხვიეთ, იქ უკვე დამთავრებულია საუბარი. თან თუ ამბობ, რომ ერთგული ხარ, მაშინ გეყოს გამბედაობა და აიღე საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. არსებობს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც წინასწარ ამოწმებს ობიექტს, იქ არსებულ ელექტროგაყვანილობასაც კი. რატომ არ მოხდა ეს შემოწმება, იქნებ სულაც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული?! შენი საქმის კარგად კეთება არის ერთგულება და არა გულგრილი დამოკიდებულება.

– FBI-ს დასკვნა რატომ არ მოხვდა ხარშილაძე-ძაძამიას საქმეში?

– ძალიან მკაფიოდ ვაცხადებ, რომ აშშ-ს გამოძიების ფედერალურ ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარებია, მათ გვამთან არ უმუშავიათ. მათ ჩაატარეს სხვა კვლევები, რომელიც საინტერესოა ჟვანიას გარდაცვალების ძირითადი საქმისთვის. კი ბატონო, FBI-ს დასკვნა დევს იმ ძირითად საქმეში, მაგრამ არავითარ კავშირში ძაძამიასა და ხარშილაძის საქმესთან ეს დასკვნა არ არის.

ძალიან კარგად მახსოვს, ერთი ამბავი იყო ატეხილი, ადვოკატები ყოველდღე წერდნენ ჩემთან შუამდგომლობას, გადმოგვეცით დასკვნაო. სასამართლოზე აღმოჩნდა, რომ თურმე ეს დასკვნა ისედაც ჰქონიათ. ანუ ეს ყველაფერი იყო ტყუილი და საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა. მათ სასამართლოში დააყენეს შუამდგომლობა, რომ ეს დასკვნა დაშვებულიყო მტკიცებულებად, რაზეც მოსამართლემაც უარი თქვა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ საქმესთან შეხება არ აქვს და მეორეც, მისი წარმოდგენის საპროცესო ნორმები იყო დარღვეული.

– გამოძიების რა ეტაპზეა ძირითადი საქმე, რომელიც ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი... ხომ არ მოხდება ისე, რომ ჟვანიას საქმე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიას საქმის პროკურორთან



„ზურას არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა, ასეთ სიკვდილს არ აირჩევდა“

ჟვანიას დაცვის წევრების სასამართლო პროცესი საკმაოდ სკანდალურად დაიწყო... ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსის კობა ხარშილაძის განცხადებით, შემთხვევის დროს ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი შიშველები იმყოფებოდნენ. ამის შესახებ ხარშილაძემ ნაფიცი მსაჯულების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, როდესაც 2005 წლის 2 თებერვლის ღამე გაიხსენა.

„ღამის ოთხის ნახევარზე დამირეკა მიხეილ ძაძამიამ. აღელვებული იყო...მივხვდი, რომ საქმე კარგად არ იყო. დაახლოებით გლდანიდან საბურთალოზე მივედი და შევეცადეთ სახლში შესვლას. როდესაც მივედით, ზურა იჯდა სავარძელზე. ჩამოვიყვანეთ, დავასვენეთ, გავუსინჯეთ პულსი... ხელოვნური სუნთქვა ჩავუტარეთ. გვერდზე იყო რაულ უსუპოვი. დეტალებში აღარ შევალ. ადგილზე არანაირი ნიშანი, არანაირი კვალი იმისა, რომ რაიმე ტიპის ძალადობა ყოფილიყო, არ შეინიშნებოდა. ფაქტი იყო, რომ ზურა იყო გარდაცვლილი. ზურას არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა, ასეთ სიკვდილს არ აირჩევდა. შემთხვევის დროს შიშველი იყო. ისე მოვიქეცით, როგორც სხვა მოიქცეოდა ჩვენს ადგილას. ჩავაცვით ზურას, რომ ის ასეთ მდგომარეობაში არავის ენახა. რაულ უსუპოვი გავიყვანეთ მანქანაში, მაგრამ უფრო აბსურდი იყო, რომ ზურა უცხო სახლში ასეთ ვითარებაში აღმოჩენილიყო. შემდეგ ისევ შემოვიყვანეთ რაული სახლში. როდესაც მოვიდნენ სამართალდამცავები, ნახეს ის სურათი, რაც საზოგადოებამ იცის“, – განაცხადა ხარშილაძემ.

საქალაქო სასამართლოში საქმის იმ დეტალებზე საუბრობდა დაცვის კიდევ ერთი წევრი, ბრალდებული მიხეილ ძაძამია, რომელზეც მას აქამდე არასდროს უსაუბრია. სკანდალურ ჩვენებაში ძაძამიამ განაცხადა, რომ ის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ადგილზე თავად ჟვანიას დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე არ იმყოფებოდა.

„ზურაბ ჟვანია იყო არა მარტო ჩემი დასაცავი, არამედ ჩემი ოჯახის წევრი. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით, მისი გულისთვის ნებისმიერ წუთს გაგვეღო სიცოცხლე. პროკურატურის ბრალდებაზე, რატომ დარჩა ზურაბ ჟვანია მარტო კონსპირაციულ ბინაში, ძალიან მინდოდა, რომ იქ ვყოფილიყავი, მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ განა იქ ჩემი ყოფნით რამე შეიცვლებოდა? დაცვის თანამშრომელი წინ აღუდგებოდა გაზით გაგუდვას? ჩემი იქ არყოფნა განპირობებული იყო ზურაბ ჟვანიას დაჟინებული თხოვნით, რომ მე იქ არ უნდა ვყოფილიყავი“, – აცხადებს მიხეილ ძაძამია.

ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრი ამბობს, რომ საქმის ბევრ მნიშვნელოვან დეტალზე მომავალში ჩანიშნულ სასამართლო პროცესებზე ისაუბრებს.

მხოლოდ ძაძამია-ხარშილაძის გასამართლებით შემოიფარგლება და ამის იქით გამოძიება ვერ წავა?

– შემიძლია მხოლოდ ის დაგიდასტუროთ, რომ ძირითად საქმეზე გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს. ბუნებრივია, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება გამოძიება. დღეს თუ ხვალ, ჟვანიას საქმე რაღაც ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

– გაეცემა თუ არა პასუხი მთავარ კითხვას – მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა?

– უნდა გაეცეს. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს გამოძიება, რომ სწორედ ამ ძირითად კითხვას გაეცეს პასუხი.

– უბედურ შემთხვევას გამორიცხავთ?

– ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

– საგულისხმოა, რომ ჟვანიას საქმეზე პროკურატურა უკვე აგებს 1:0-ს... საუბარი მაქვს ძირითადი საქმიდან გამოყოფილ ერთ-ერთ ეპიზოდზე, რომელიც ექსპერტ ლევან ჩაჩუას მიმართ გამამართლებელი განაჩენით დასრულდა...

– დიახ, ეს საქმე წავაგეთ. გულდასმით გავეცანი მოსამართლის ამ განაჩენს და შემიძლია გითხრათ, რომ აბსოლუტურად დაუსაბუთებელი განაჩენი იყო. ფაქტები გახლდათ დამახინჯებული და კონკრეტულ მტკიცებულებებს მიცემული ჰქონდა არასწორი ინტერპრეტაცია. ეს განაჩენი არ არის საბოლოო. ეს არის მხოლოდ პირველი ინსტანციის ვერდიქტი, რომელიც ჩვენ გავასაჩივრეთ და აპელაციამ მიიღო წარმოებაში. შესავალი სიტყვები უკვე ვთქვით. ასე რომ, ველოდებით სააპელაციო სასამართლოს ობიექტურ გადაწყვეტილებას. მიმაჩნია, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

– რაც შეეხება ძაძამია-ხარშილაძის საქმეს... ამ შემთხვევაში, რა არის პროკურატურის მთავარი კოზირი?

– ეს სისხლის სამართლის საქმეების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წერილობით დოკუმენტებს. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში პირდაპირ წერია, რომ ამ სამსახურის ძირითადი ამოცანაა მაღალი თანამდებობის პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. არსებობს ამ სამსახურის დებულება, რომლის მიხედვითაც აუცილებელია მუდმივი კავშირი სამორიგეო ცენტრთან, ყველანაირი ინფორმაციის გადაცემა დასაცავი ობიექტის გადაადგილების შესახებ. გარდა ამისა, გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე შედგა სპეციალური ოქმი და დამტკიცდა გეგმა სახელწოდებით – „ზურაბ ჟვანიასა და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიების გატარების შესახებ“. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი, როგორ უნდა მოიქცეს დაცვის სამსახურის უფროსი, ვინ სად უნდა იდგეს და რა უნდა გააკეთოს. ერთ-ერთ პუნქტში პირდაპირ წერია – არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს დაცვის ობიექტი დაცვის გარეშე. თუკი ჟვანია მაინც დაიჟინებდა მარტო დარჩენას, ასეთ შემთხვევაში, ამ გეგმით, ინფორმაცია უნდა მიწოდებოდა ცენტრს და ზემდგომი პირი ჩაეყენებინათ საქმის კურსში. გარდა ამისა, პერიოდულად ხდებოდა დაცვის წევრების ინსტრუქტაჟი, სადაც ასევე წერია – კატეგორიულად უარი უთხრან დასაცავ ობიექტს ნებისმიერ თხოვნაზე, ან მოთხოვნაზეც კი. ეს არის იმპერატიული ნორმა, რომელზეც ხარშილაძესაც და ძაძამიასაც ხელი აქვთ მოწერილი. დღეს კი მათ სურთ, ეს ყველაფერი გვერდზე გადავდოთ და ვისაუბროთ რაღაც აბსტრაქტულ ზნეობაზე, მორალსა და ადამიანურ ურთიერთობებზე. კი ბატონო, ვისაუბროთ, მაგრამ ეს არ შეცვლის სამართლებრივ რეალობას.

– წეღან თქვენ ახსენეთ, რომ დაცვის წევრები რესტორანში ქეიფობდნენ, ამ დროს კი ჟვანია სიკვდილს ებრძოდაო... აქედან გამომდინარე მინდა გკითხოთ – გამოძიებისთვის უკვე ცნობილია, რამ გამოიწვია სიკვდილი?

– ეს კითხვა უკვე ძირითად საქმეს შეეხება და ამიტომ იმაზე მეტს ვერ გეტყვით, რაც უკვე მოგახსენეთ. ფაქტია, რომ ის ბუნებრივი სიკვდილით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ გარდაცვლილა.

– თუკი გამოძიება მივიდა დასკვნამდე, რომ ეს იყო მართლაც უბედური შემთხვევა, პროკურატურას ამის აღიარება არ გაუჭირდება?

– თუ ეს მოცემულობა უტყუარად იქნება დადასტურებული, რატომ უნდა გაგვიჭირდეს ამის აღიარება?! ჩვენ ვმუშაობთ გამჭვირვალედ. თუ გამოძიება მივა დასკვნამდე, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა, ამის თაობაზეც ღიად ვეტყვით საზოგადოებას. ის, რაც დადგინდება, ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ გენერალური ინსპექციის დასკვნაზე, რომელიც ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, ჯერ კიდევ 2005 წელს არკვევდა კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას სავარაუდო გულგრილობის ფაქტს... რა წერია გენინსპექციის დასკვნაში?

– მინდა გითხრათ, რომ, ზოგადად, სამსახურებრივ გულგრილობაზე მხოლოდ მაშინ დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, როცა ამას მოჰყვება შედეგი. თუ შედეგი არ არსებობს, ეს ხდება მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, რაც გულისხმობს სამსახურიდან განთავისუფლებას, ან სხვა სახის დისციპლინურ სახდელს. როდესაც შედეგი დგება, ეს უკვე არის სისხლის სამართლის დანაშაული. ამ შემთხვევაში შედეგი სახეზეა. რაც შეეხება გენინსპექციის დასკვნას, დიახ, თავის დროზე ამ ადამიანების საქმიანობა შეისწავლა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ, ეს ხდება ჯერ კიდევ 2005 წელს. დასკვნაში პირდაპირ დაიწერა, რომ ხარშილაძემ და ძაძამიამ დაარღვიეს იგივე, რასაც ახლა მე ვამტკიცებ. უბრალოდ, მაშინ გენინსპექციის ამ დასკვნას სამართლებრივი მსვლელობა არ მისცემია. ძალიან მარტივი იყო, გულგრილობის ბრალდებით ეს ადამიანები მაშინვე მიეცათ პასუხისგებაში, სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე. მე საბრალდებო დასკვნაში არაფერი მიწერია ისეთი, რაც ამ დასკვნაში არ აისახა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბრძოლა ბენდუქიძის

მირიან ბოქოლიშვილი

კახა ბენდუქიძის ქონება მის მემკვიდრეებს შორის დაპირისპირებისა და სკანდალის საფუძველი გახდა... ბენდუქიძის მემკვიდრეობისთვის ბრძოლამ უკვე სასამართლოში გადაინაცვლა. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა მემკვიდრეებს შორის არსებული დავის პერიპეტიები, თუმცა მანამდე ჩვენს მკითხველს მინდა გავაცნო ბენდუქიძის ქალიშვილის, ანასტასია გონჩაროვას განცხადება, რომელიც მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

კახა ბენდუქიძე მეუღლესთან, ნატალია ზოლოტოვასთან ერთად

ანასტასია გონჩაროვა დედასთან ერთად

მოსარჩელე: ანასტასია გონჩაროვა, მოპასუხე: ნატალია ზოლოტოვა, დავის საგანი: მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა

გონჩაროვა წერს, რომ მამამისის მეუღლე ნატალია და ღვიძლი და ნუნუ კახა ბენდუქიძის შვილად მისი აღიარების წინააღმდეგ იბრძვიან.

ანასტასიას თქმით, მამიდამისი ცდილობდა, მას შეეწყვიტა ინტერვიუების მიცემა და სახალხოდ იმის აღიარება, რომ კახა ბენდუქიძის შვილია, ახლა კი სასამართლოზე მის წინააღმდეგ ბენდუქიძის მეუღლის მოწმეა. მისივე თქმით, ნატალიამ კახა ბენდუქიძის დნმ-ის ნიმუშები გაანადგურა, რაშიც **ნუნუ ბენდუქიძემ** სრულად დაუჭირა მხარი.

„უკანასკნელი 8 თვე განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის – არა მარტო იმიტომ რომ მე დავკარგე მამა/დამრიგებელი/საუკეთესო მეგობარი, არამედ იმიტომაც, რომ მამაჩემის ერთადერთი და – ნუნუ და მამაჩემის მეუღლე – ნატალია, კახას შვილად ჩემი აღიარების წინააღმდეგ იბრძვიან. თავდაპირველად ნატალიამ მამაჩემის დნმ-ის ნიმუშები გაანადგურა და ამაში ნუნუმ სრულად დაუჭირა მხარი. შემდეგ ნუნუ ცდილობდა, რომ მე შემეწყვიტა ინტერვიუების მიცემა და სახალხოდ იმის აღიარება, რომ კახა მამაჩემია.

ახლა კი ვიგებ, რომ ნუნუ (მამაჩემის ერთადერთი ღვიძლი და) სასამართლოში ჩემს წინააღმდეგ ნატალიას მოწმეა. ყოველდღე ვიხსენებ ფოტოს, რომელიც მამაჩემმა პროკურატურაში დაკითხვაზე მისვლის წინ გამომიგზავნა წარწერით: ნასტია, იბრძოლე ჩემთვის.

მე მახსოვს ეს სურათი და ჩემს თავს ვახსენებ, რომ უნდა ვიყო ძლიერი, როგორც მან მასწავლა და უსამართლობის წინააღმდეგ ვიბრძოლო. წარმატებები მისურვეთ, მესამე სასამართლო მოსმენისთვის. იმედია, ისინი ვერ შეძლებენ საქმის გაჭიანურებას და გადადებას კიდევ ერთხელ“, – წერს ანასტასია გონჩაროვა.

გონჩაროვას ამ განცხადებას სოციალურ ქსელშივე მოჰყვა არაერთგვაროვანი გამოხმაურება. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ბენდუქიძეების ოჯახის ახლობლის კომენტარი, რომელიც წერს:

„ალბათ, ისიც იცი, სასამართლოზე განაცხადა [ანასტასიამ]: კახას კრემაცია გაუკეთესო (ხვდები, ალბათ, რატომ). მე ამან უფრო დამშოკა, თუმცა მისგან ყველაფერს ველოდებით. ეხლა ვხდები, კახა რატომ მალავდა ყველასგან ამ ნაგვის ურნას“, – წერს ბენდუქიძეების ოჯახის ახლობელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ანასტასიას სხვები მართავენ. მისივე თქმით, „რომ არა კახას მეუღლე ნატაშა, ნასტია ფეხს ვერ ჩამოადგამდა პანაშვიდზე და ისეთივე უხილავი იქნებოდა, როგორც მანამდე იყო“.

მოკლედ, გონჩაროვა წერს, რომ მის წინააღმდეგ სასამართლოში კახა ბენდუქიძის მეუღლე ნატალია იბრძვის, რომელსაც მხარს უჭერს გარდაცვლილის და, ნუნუ ბენდუქიძეც, თუმცა სასამართლოდან ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით სრულიად საწინააღმდეგო ირკვევა. აღმოჩნდა, რომ არათუ ბენდუქიძის მეუღლე იბრძვის გონჩაროვას წინააღმდეგ, არამედ პირიქით, ანასტასია გონჩაროვა იბრძვის ნატალია ზოლოტოვასთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამოსართმევად. სასამართლოში სარჩელიც გონჩაროვამ შეიტანა.

„მოსარჩელე: ანასტასია გონჩაროვა, მოპასუხე: ნატალია ზოლოტოვა. დავის საგანი: მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა“, – ამ მოცემულობით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

რის საფუძველზე ითხოვს ანასტასია გონჩაროვა ბენდუქიძის მეუღლისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას? ამბობენ, რომ მან კონსულტაციები გაიარა იურისტებთან, რომლებმაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ამგვარად განუმარტეს: თუ ცოლ-ქმარი ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთად არ ცხოვრობს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მისი მეორე ნახევარი მემკვიდრეობის უფლებას კარგავს, თუკი არსებულ ქონებაზე პრეტენზიას იმავე, ან მომდევნო რიგის მემკვიდრე განაცხადებს. როგორც ჩანს, პირველი რიგის მემკვიდრედ გონჩაროვა საკუთარ თავს მოიაზრებს და შესაბამისად, ნატალია ზოლოტოვასთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, კახა ბენდუქიძის ქონების დიდი ნაწილი მის განკარგულებაში გადავა.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, სასამართლო დავის პერიპეტიები თავად ანასტასია გონჩაროვასთან გაერკვია, თუმცა მან ინტერვიუზე უარი გვითხრა: „ინტერვიუსთვის ჯერ მზად არ ვარ, ვერც ჩემი ადვოკატი დაგელაპარაკებათ“.

ამ თემაზე საუბარი არ ისურვა არც ნუნუ ბენდუქიძემ. გარდაცვლილის დამ მხოლოდ ის დაგვიდასტურა, რომ „ნატალია ზოლოტოვა ნამდვილად კახა ბენდუქიძის ერთადერთი ოფიციალური მეუღლეა ბოლო 14 წლის განმავლობაში და ის საქართველოში, მეუღლესთან, სისტემატურად ჩამოდიოდა, ამის უამრავი ფაქტი არსებობს“.

მართალია, ცოლ-ქმარი მედიის ყურადღების ცენტრში ერთად არ მოხვედრილან, მაგრამ პრესაში ნატალია ზოლოტოვას შესახებ ცნობები მაინც მოიპოვება. ცნობილია, რომ ის ეროვნებით რუსია, პროფესიით კი ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე გახლავთ. ბენდუქიძემ ზოლოტოვაზე 1999 წელს იქორწინა. ზოლოტოვას პირველი მეუღლე, რომლისგანაც ორი შვილი ჰყავს, გარდაცვლილია. ცნობილია ისიც, რომ ის პროფესორის ოჯახში გაიზარდა და სტაჟირება სორბონაში გაიარა. თავისუფლად საუბრობს ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ამასთანავე, ზოლოტოვა ჟურნალ Vogue-ის რუსული გამოცემის თანამშრომელია. მანამდე კი ჟურნალ Домовой-ის მთავარ რედაქტორად მუშაობდა.

რაც შეეხება ანასტასია გონჩაროვას, ის ფართო საზოგადოების წინაშე მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა. ნასტია მალევე რამდენიმე ტელეგადაცემის გმირიც გახდა, თუმცა მანამდე მისი არსებობის შესახებ არა თუ მედიამ, არამედ კახა ბენდუქიძის ოჯახმაც კი არ იცოდა.

ბენდუქიძეებთან დაახლოებული პირი გვიყვება, რომ ანასტასია გონჩაროვას შესახებ ოჯახმა მხოლოდ პანაშვიდზე შეიტყო, სადაც ნასტია დედამისთან ერთად ჩამოვიდა. რო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის დარჩება გარდაცვლილის ქონება?

ნუნუ ბენდუქიძე

„ანასტასიას დედა 24 წლის წინათ მემანქანედ მუშაობდა იქ, სადაც კახა ბენდუქიძე მუშაობდა. გაუცნიათ ერთმანეთი და ჰქონდათ ურთიერთობა“

„ნატალია ზოლოტოვა კახა ბენდუქიძის ერთადერთი ოფიციალური მეუღლეა ბოლო 14 წლის განმავლობაში და ის საქართველოში, მეუღლესთან, სისტემატურად ჩამოდიოდა, ამის უამრავი ფაქტი არსებობს“

გორც ჩანს, ახლო მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, რომ მისი სახით კახა ბენდუქიძეს ქალიშვილი ჰყავდა.

„ამის მიუხედავად, ოჯახს ნასტიაზე უარი არ უთქვამს და საკმაოდ თბილადაც მიიღეს, თუმცა სიტუაცია მას შემდეგ აირია, რაც ანასტასიამ დედასთან ერთად ბენდუქიძის ქონების დაპატრონება მოინდომა. არაერთხელ გააფრთხილეს, – ნუ მოგვიწყობ ლათინო-ამერიკულ სერიალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ოჯახს დაკარგავო, მაგრამ მაინც არ დაიშალა“, – გვიყვება კახა ბენდუქიძის ოჯახის ერთ-ერთი ახლობელი.

ის, ასევე, იხსენებს იმ მომენტს, როდესაც პანაშვიდზე ჩამოსული ნასტია ოჯახს ბენდუქიძის ქალიშვილად გაეცნო.

„თავად ამბობდა, დედამისი 24 წლის წინათ მუშაობდა მემანქანედ იქ, სადაც კახა მუშაობდა. იქ გაუცნიათ ერთმანეთი და როგორც თავად ყვება, ჰქონდათ ურთიერთობა. კახას ოჯახმა, ქალბატონმა ნუნუმ საკმაოდ თბილადაც მიიღო, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, კახას ოფიციალური მეუღლისთვის, ნატალიასთვის მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმია, სასამართლოში შეიტანა სარჩელი“, – გვიყვება ოჯახის ახლობელი.

დაკმაყოფილებს თუ არა სასამართლო ანასტასია გონჩაროვას სარჩელს, უცნობია, თუმცა იურისტი ლევან ალაფიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ სამოქალაქო ქორწინებაში მყოფი ცოლ-ქმრის ერთად არცხოვრება, არ გახლავთ საკმარისი საფუძველი მემკვიდრეობის ჩამოსართმევად.

„უღირს მემკვიდრედ ცნობას აქვს თავისი წინაპირობები, მაგალითად, უნდა დადასტურდეს, რომ მემკვიდრე არ ზრუნავდა მამკვიდრებელ პირზე, ან ხელს უშლიდა მას უკანასკნელი ნების გამოვლენაში და ა.შ. საქორწინო ურთიერთობა შესაძლებლობას იძლევა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა პირებმა საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილი აირჩიონ. აქედან გამომდინარე, ერთად არცხოვრება არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ცნობილი იქნეს უღირს მემკვიდრედ და ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება.

რაც შეეხება ქალიშვილს, შვილთან მიმართებაში შესაძლოა, გვარი არ იყოს საერთო, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ კახა ბენდუქიძე მამად იყოს დაფიქსირებული სააქტო ჩანაწერში. თუ ასეა, მაშინ უპირობოდ ჩაითვლება ანასტასია პირდაპირ მემკვიდრედ. თუ კახა ბენდუქიძე არ არის მამად რეგისტრირებული, მაშინ შვილს მოუწევს პროცედურის გავლა, რათა დადგინდეს მამობა, ეს მარტივი პროცედურაა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს, მიიღოს ქონება. ზოგადად, პირველი რიგის მემკვიდრეებში თანაბრად განიხილებიან, როგორც შვილი, ისე მეუღლე“, – აცხადებს **ლევან ალაფიშვილი.**

ერთ-ერთი ვერსიით, კახა ბენდუქიძეს ანდერძი არ ჰქონია დაწერილი, თუმცა ამბობენ იმასაც, რომ ანდერძი არსებობდა და ის საეჭვო ვითარებაში დაიკარგა.

იმ შემთხვევაში, თუ კახა ბენდუქიძემ ანდერძი დატოვა, ვითარება მთლიანად იცვლება და ქონება ანდერძში დასახელებულ პირებზე ნაწილდება. პირველი რიგის მემკვიდრეები კი ანდერძში მოხსენიების, ან არმოხსენიების შემთხვევაშიც პროპორციულ ქონებას მიიღებენ.

ალბათ, საინტერესოა, რა ქონებაზეა საუბარი? სხვადასხვა წყაროებით, 58 წლის ბიზნესმენმა სიცოცხლეში 1 მილიარდზე მეტი კაპიტალის დაგროვება მოახერხა, რუსი სპეციალისტები კი 2003 წელს, საქართველოში გადმოსვლის წინ ბიზნესმენის ქონებას 64 მილიონ დოლარად აფასებდნენ.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, კახა ბენდუქიძე კვიპროსზე დარეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანია „სამრეწველო ინვესტიციების“ აქციონერი გახლდათ. ასევე, იყო შპს „ძირითადი ინვესტიციების“ პარტნიორი, დახურული სააქციო საზოგადოება „არაპროფილური აქტივები ინვესტიციები სმი-ში“ და დახურული სააქციო საზოგადოება „სამრეწველო პროექტების“ აქციონერი. 2005 წელს კახა ბენდუქიძეს ქირავნობის ხელშეკრულებით გადაეცა დიღმის საცდელი მეურნეობის ტერიტორია, რომლის თანხაც 366 000 ლარს შეადგენდა. ყოფილი მინისტრის საკუთრებაში გახლდათ პრესტიჟული და ძვირადღირებული სასწავლებელი „თავისუფალი უნივერსიტეტი“, ასევე, ვაკის საცურაო აუზი, რომელსაც „ბენდუქიძის აუზსაც“ უწოდებენ.

ის ფლობდა უძრავ ქონებას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ: $1 015 000 და $1 500 000-ად შეფასებული მიწის ნაკვეთები სოფელ გრიგოლეთში; 962 500 დოლარად შეფასებული მიწის ნაკვეთი შეკვეთილში; რუსეთში კი ის 580 000 და 230 000 აშშ დოლარად შეფასებული ორი სახლის მფლობელი გახლდათ. მის სახელზე გაფორმებული იყო ოთხი ავტომობილი – ორი „ფოლკსვაგენ Toureg“, რომელთა ღირებულებაც 30 000 და 64 000 აშშ დოლარს შეადგენდა, ასევე, 26 000 დოლარის ღირებულების „ნისან პატრული“ და 47 000 აშშ დოლარის ღირებულების ავტომობილი „ჰამერი“.

რაც შეეხება ბენდუქიძის საბანკო ანგარიშებს, 2008 წლის დეკლარაციის მონაცემებით, მას, როგორც რუსულ, ასევე, ქართულ ბანკებში საკუთარი ანგარიშები ჰქონდა გახსნილი. 2008 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, „თი-ბი-სი ბანკში“ გახსნილ ანგარიშზე კახა ბენდუქიძეს 7 791 ლარი და 19 191 ევრო ერიცხებოდა. უცხოურ ბანკებში ბენდუქიძეს, ასევე, სოლიდური თანხები ერიცხებოდა: დეპოზიტზე 2 500 000 დოლარი, 806 720 მოქნილი ანაბარი ევროში და 144 438 დოლარი მიმდინარე ანგარიშზე. მოსკოვის სამრეწველო სავაჭრო ბანკში 5 571 რუბლი მიმდინარე ანგარიშზე, 3 361 დოლარი მოთხოვნამდე ანაბარზე. 307 576 დოლარი და 371 474 ევრო ერიცხებოდა HSBH-ში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„როდის გამოვაცხადებთ ბოიკოტს და როდის

ქეთი ხატიაშვილი

საპარლამენტო ოპოზიცია დიდი ბოიკოტისთვის ემზადება. სექტემბრიდან ისინი აპირებენ, პერმანენტული ბოიკოტი გამოუცხადონ პარლამენტში კენჭისყრებს და ამით უმრავლესობა აიძულონ, კვორუმი მუდმივად საკუთარი ძალებით შეკრიბონ.

ახლა, როგორც ჩანს, გენერალურ რეპეტიციებს გადიან. ყველას, ვისაც ოპოზიციაში სხვა ან საკუთარი არჩევანი და ხაზი აქვს, მოღალატებს ეძახიან.

ეს ოპოზიციისთვის დამახასიათებელი ტერმინია. ასე იყო, მაგალითად, სააკაშვილის დროსაც, როცა ოპოზიცია, რომელიც არჩევნების შემდეგ პარლამენტში შევიდა, მოღალატეებად მონათლეს. ქრისტიან-დემოკრატებიც, რადგანაც ისინი გაერთიანებულ ოპოზიციას არ აჰყვნენ, და თორთლაძე და ცაგარეიშვილიც, რომლებიც მაშინ ქუჩის ოპოზიციას გამოეყვნენ და პარლამენტში შევიდნენ.

თუმცა, პარლამენტში შესვლა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. და ეს მოგვიანებით ყველამ აღიარა. ბოიკოტი, ქუჩა და სხვა მსგავსი დესტრუქციული მეთოდები, განსაკუთრებით პროდასავლური ძალებისთვის, განსაკუთრებით გაუგებარი და მიუღებელია.

ახლა საპარლამენტო ოპოზიციაში „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობისა და გამწევი ძალის ტიტულისთვის იბრძვის. როგორც ჩანს, ისინი ცდილობენ, ოპოზიციისთვის ტონის მიმცემ ძალად დაფიქსირდნენ. კონტროლიორის როლში იმ დღეს ჩიორა თაქთაქიშვილი დარჩა დარბაზში და ნაციონალებიდან გასულ ჯგუფზე მწვავე პოსტიც დადო:

„როგორც იცით, უმრავლესობა ვერ აგროვებს ხოლმე კენჭისყრის კვორუმს ოპოზიციის გარეშე. მაგალითად, გუშინაც ვერ უყარეს კენჭი კანონებს. დღეს კი საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს.

უმრავლესობისა და გადამხტარი დეპუტატების რიგებში ღირსეული ადგილი დაიკავეს „ახ პე ცე“-ს, ე.წ. უპარტიო დეპუტატებმა: პავლე კუბლაშვილმა, გიორგი ხაჩიძემ და გიორგი მელაძემ.

3-ივემ გაიარა რეგისტრაცია და კვორუმიც შედგა გადაჭარბებით: 81 დეპუტატი. ზურა ჯაფარიძეც ადგილზე იყო, მაგრამ არ გაიარა რეგისტრაცია. ვფიქრობ იმიტომ, რომ იცოდა, ამ პოსტს დავწერდი, რადგან წინასწარ ვუთხარი მათ, რომ კვორუმის შედეგებს ვუკეთებდი მონიტორინგს.

ახლა აქვს ვინმეს კითხვები, ვის სასარგებლოდ გაიქცა ეს 4 დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“?

არც ერთ მათგანს დღეს არც ერთ საკითხზე ხმა არ ამოუღია სხდომაზე. ამიტომ მათი მოსვლის ერთადერთი მიზანი აშკარად ივანიშვილის უმრავლესობისთვის კვორუმის უზრუნველყოფა იყო და მეტი არაფერი“. – წერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი საკუთარ „ფეისბუკ“-გვერდზე.

ისე, ამ ივანიშვილის სინდრომიდან თუ გამოვა ოპოზიცია და ყველა ბუჩქისა და ხის უკან მხოლოდ მას არ დაინახავს, კარგი იქნება, ისევე როგორც კარგი იქნება იმის გათვალისწინებაც, რომ, თუკი თავის დროზე ნაციონალებს თორთლაძისა და ცაგარეიშვილის გადაწყვეტილება არ მიაჩნდათ ღალატად და მას პოლიტიკურ და სწორ არჩევანად აფასებდნენ, დღესაც ასეთივე მიდგომა უნდა ჰქონდეთ უკვე მათი რიგებიდან გასული დეპუტატების მიმართ.

ჩიორა თაქთაქიშვილის რეაქცია თავად ოპოზიციური დეპუტატებისთვისაც გაუგებარი დარჩა. „პრაიმტაიმს“ გოგა ხაჩიძე ესაუბრა:

– აქ რამდენიმე საკითხია. ვფ-

„ჩიორა თაქთაქიშვილმა ეს თემა ცარიელ ადგილას ააგორა, რომ თავად ჩასდგომოდა ამას ავანგარდში და ვილაცებს ჩვენ ველანძღეთ“

გახმაურებული ს

მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურამ კიდევ ერთი გახმაურებული საქმე გახსნა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს საკუთრების უფლების ხელყოფას შეეხება. გავრცელებული ინფორმაციით, პროკურატურაში არსებული „სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტი“ განცხადების გაკეთებას გეგმავს, სადაც, სავარაუდოდ, ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების გვარები ფიგურირებს.

ამ ინფორმაციას ამყარებს პრემიერ-მინისტრის მიერ გასულ კვირას, გადაცემა „20/30“-ში გაკეთებული განცხადებაც, სადაც ირაკლი ღარიბაშვილმა პროკურატურის მიერ რამდენიმე საქმის დახურვაზე ისაუბრა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ოპონენტებისთვის ადვილია საუბარი იმაზე, რატომ არ აღდგა სამართლიანობა, თუმცა პროკურატურაში შესულია მოქალაქეების ათასობით საჩივარი, რომელსაც დახარისხება და შესწავლა სჭირდებოდა.

„ჩვენ, ხელისუფლებას, უფრო მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რადგან ჩვენ მათ ბედზე ვზრუნავთ. ჩვენ არ გვქონდა უფლება, უპასუხისმგებლოდ და პოპულისტურად მოვქცეულიყავით. ამიტომ საჭირო იყო ამ პროცესის თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მართვა. პროკურატურაში შექმნილია შესაბამისი დეპარტამენტი, ვიცი, რომ პროკურატურა ხვალ აპირებს რამდენიმე საქმის დახურვას და მოქალაქეების სამართლიანობის აღდგენას. ზარალი არის რამდენიმე მილიარდი დოლარის. სახელმწიფოს არ აქვს საშუალება, ერთი ხელის მოსმით, გაუაზრებლად აიღოს ამ თანხაზე ვალდებულება“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, 9 წელი, გასამართლებული 320 000 ადამიანი და ჩვენი მოქალაქეებისთვის მილიარდობით მიყენებული ზარალი არის რეალობა და ამას მოთმინება სჭირდება.

მისი თქმით, ხელისუფლების ერთ-ერთი გამოწვევა, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, უმუშევრობასა და სიღარიბესთან ერთად იყო მართლმსაჯულების განმტკიცება.

რა განცხადების გაკეთებას გეგმავს „სამართლიანობის აღდგენის EXCLUSIVE დეპარტამენტი“?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არ გამოვაცხადებთ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია“

გოგა ხაჩიძე: „თაქთაქიშვილს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ არ ვართ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და პირადი დავალებებითა და საყვედურებით არ უნდა ლაპარაკობდეს“

იქრობ, არასწორი ფორმით და არასწორი ამბიციით გამოხატავს ჩიორა თაქთაქიშვილი თავის პოზიციას ჩვენი მისამართით, ეს ერთი.

მეორეც, როცა 76 დეპუტატი ქმნის კვორუმს და იმ დღეს რეგისტრაცია 81-მა დეპუტატმა გაიარა, რაზეა საერთოდ ლაპარაკი? ანუ არანაირი კვორუმის პრობლემა არ იყო... თუ კვორუმის გადაჭარბებულად შესრულებაზეა საუბარი, მაშინ ნაციონალებიც რომ გადიან ხოლმე რეგისტრაციას, კვორუმს მთლად გადაჭარბებულად ასრულებენ და ესეც რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

ჩვენ იმდენი გამოცდილება გვაქვს, რომ თავად გადავწყვიტოთ, როდის გამოვიყენოთ პროცედურული ბოიკოტის მეთოდი, რათა ამა თუ იმ საკითხის გატანა ვერ მოხდეს. პარასკევს არც ერთი ეგეთი საკითხი კენჭისყრაზე არ იდგა. მეტიც, იყო საკითხები, რომელიც არანაირი პრინციპული თემა არ იყო იმისთვის, რომ კვორუმი ჩავარდნილიყო (რომელიც ისედაც ჩვენს გარეშეც არსებობდა).

საერთოდაც, ჩიორა თაქთაქიშვილს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ არ ვართ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და თანაგუნდელებად არ უნდა აღგვიქვამდეს და პირადი დავალებებითა და საყვედურებით არ უნდა ლაპარაკობდეს. ჩვენ არც პარტია გვაფინანსებს და არც ბიუჯეტი, პარლამენტში ჩავედით საკუთარი ხარჯებით, რომ გვემუშავა... როდის გამოვაცხადებთ ბოიკოტს და როდის არ გამოვაცხადებთ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია. ამაზე დემაგოგიური ტყუილების წერა ძალიან ულამაზო იყო.

– მისი რეაქცია გაუგებარი დარჩა... ეგებ იყო წინასწარ რაიმე კომუნიკაცია ან შეთანხმება?

– არა, არანაირი შეთანხმება არ იყო, ან რატომ უნდა გვქონდეს კომუნიკაცია? რამე მოხდა? ნაციონალებმა იმ დღეს ბოიკოტი გამოაცხადეს? ეს სადმე თქვეს და დააფიქსირეს? ვინმემ ეს თქვა? სრულიად გაუგებარია ეს ყველაფერი. ჩიორა თაქთაქიშვილმა ეს თემა ცარიელ ადგილას ააგორა, რომ თავად ჩასდგომოდა ამას ავანგარდში და ვიღაცებს ჩვენ ველანძღეთ ისე, რომ რეალობა არ სცოდნოდათ.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია საპარლამენტო ტრიბუნა, განსხვავებით ნაციონალებისგან, რომლებსაც სხვა ბევრი ტრიბუნა აქვთ, მასმედიაშიც აქვთ დიდი საშუალებები... საპარლამენტო ტრიბუნა ჩვენთვის მნიშვნელოვანია...

ჩიორა თაქთაქიშვილის შეკვეთაზე – როდის გავიაროთ რეგისტაცია და როდი არა, მით უფრო, როცა არანაირი პრინციპული თემა არ დგას, არ დავდივართ... სხდომათა დარბაზში ეულად დარჩენილი თაქთაქიშვილი რომ ჩვენ გვაკონტროლებს, არ მესმის საერთოდ, რა არის აქ ლოგიკა. გვითხრეს, წინასწარ რა იცოდით, რომ კვორუმი იქნებოდაო, მინდა შევახსენო მათ, რომ მონაცემები ტაბლოზე წინასწარ ჩანს. და მეორეც, ასეთი საკითხები ჩვენი გადასაწყვეტია.

არ ვაპირებთ, უაზროდ ან იმის გამო, რომ გვეზარება, ან იმიტომ, რომ ჩიორას გავანაწყენებთ, ბოიკოტები ვაცხადოთ. შეიძლება ვიფიქროთ საპროცედურო ბოიკოტზე და რეგისტრაცია არ გავიაროთ რომელიმე პრინციპულ საკითხზე, შეიძლება ასე მოხდეს, მაგრამ ეს ჩვენი გადაწყვეტილება იქნება...

– ფიქრობთ, რომ ეს თქვენი დისკრიმინაციის მცდელობა იყო?

– არ მინდა ამაზე საუბარი. ჩვენ პრინციპულად არ ვპასუხობთ ცალკეულ გამოხტომებს, მით უფრო ნაცებისგან. ეს არ იქნებ სწორი და ეთიკური. არ ჩავთვალეთ თავიდანვე საჭიროდ. საზოგადოებამ განსაჯოს, რა იყო ჩიორა თაქთაქიშვილის პატარა აქცია.

„ჩვენ არც პარტია გვაფინანსებს და არც ბიუჯეტი, პარლამენტში ჩავედით საკუთარი ხარჯებით, რომ გვემუშავა...“

აქმე გახსნილია

„არსებული რედაქცია, ვფიქრობ, უნდა გადაისინჯოს და კრიტერიუმები გაიზარდოს. ასე რომ, ეს არის კომპლექსური მიდგომა. პროკურატურა მუშაობს თავისი რესურსის მაქსიმალური გამოყენებით“

„ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რის გამოც ჩვენი მოსახლეობა სამართლიანად იყო შეწუხებული, იყო ის უსამართლობა, რომელიც წინა მთავრობამ – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაამკვიდრა. ეს იყო რეპრესიული მანქანა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იმართებოდა. არაერთი ფაქტი იქნა გამოძიებული და მთელმა მსოფლიომ ნახა, რა ვითარებაში ამყოფებდნენ ჩვენს მოქალაქეებს წინა ხელისუფლების წარმომადგენლები. ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება იყო ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა. რასაც არ და ვერ აიტანს ჩვენი მოსახლეობა, ეს არის უსამართლობა. როცა მმართველი უსამართლოა, მისი საქმე დამთავრებულია. ასე რომ, ჩვენი მთავარი პრინციპი, რაც პოლიტიკაში შემოიტანა და დაამკვიდრა ჩვენი კოალიციის დამფუძნებელმა, ბატონმა ივანიშვილმა, არის სამართლიანობა, კანონისადმი პატივისცემა და ადამიანურობა. ეს პრინციპები ჩვენი ხელისუფლების ყოფნის პირობებში და შემდეგაც ჩვენთვის სამაგალითო და სახელმძღვანელო იქნება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რომელი გახმაურებული საქმის გახსნას აპირებს პროკურატურა და კონკრეტულად რომელ დაზარალებულს აღუდგება საკუთრების უფლება? ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ მმართველ გუნდში. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ კონკრეტულ საქმეებზე გამოძიების დეტალებს თავად პროკურატურა გაასაჯაროებს.

ეკა ბესელია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

– ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ პროკურატურაში შექმნილი დეპარტამენტის მუშაობა შეიძლება შეფასდეს ცალსახად დადებითად, რადგან ეს ემსახურება ჩვენი მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღდგენას. ეს არის სამართლიანობის აღდგენის საკმაოდ შრომატევადი ციკლის შემადგენელი ნაწილი. დეპარტამენტმა თავიდანვე დაიწყო რამდენიმე ათეულ საქმეზე ერთდროულად მუშაობა. კონკრეტული საქმეების დასრულების მოწმენიც გავხდით, როდესაც მოხდა ჩამორთმეული ქონების რამდენიმე მოქალაქისთვის უკან დაბრუნება. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გვქონდა მოსმენა, სადაც ზოგად ტენდენციებს ვიხილავდით. მოვისმინეთ დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაცია, როგორ მიმდინარეობს მუშაობა. საკმაოდ დიდი ჯგუფებია ჩართული რეგიონებშიც, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობენ. ეს არ არის მოკლევადიანი სამუშაო. ჩვენ კომიტეტში კიდევ ვაპირებთ მეორე ანგარიშის მოსმენას და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ თუნდაც რამდენიმე პრეცედენტი დადგეს და ჩვენს მოქალაქეებს დარღვეული უფლებები აღუდგეთ, ამაში ჩართულია მთავრობაც. უშუალოდ პრემიერის გადაწყვეტილებით ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები ერთობლივად მუშაობენ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რომლის საფუძველიც ხდება გამოძიების შედეგები. არ გამოვრიცხავ, რომ დაგვჭირდეს საკანონმდებლო ცვლილებებიც. ამ საკითხზე ჯერ კიდევ კონსულტაციები მიმდინარეობს.

– ცვლილებები რა მიმართულებით?

– საუბარია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის კრიტერიუმებზე. არსებული რედაქცია, ვფიქრობ, უნდა გადაისინჯოს და კრიტერიუმები გაიზარდოს. ასე რომ, ეს არის კომპლექსური მიდგომა. პროკურატურა მუშაობს თავისი რესურსის მაქსიმალური გამოყენებით, თუმცა ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს პარლამენტი და სხვა უწყებებიც. ეს არ არის იოლი და მოკლევადიანი პროცესი, მაგრამ გარკვეულ ჯგუფს მაინც რომ აღუდგეს დარღვეული უფლებები, ესეც სერიოზული მიღწევაა.

– და როგორ აპირებს ხელისუფლება ამ უფლებების აღდგენას? არსებობს ამის თუნდაც ფინანსური რესურსი?

– საუბარია იმ ქონებაზე, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო ბალანსზეა. სადაც დადასტურდება, რომ ადგილი ჰქონდა უკანონოდ ჩამორთმევას და ეს ქონება არ არის გადასული კერძო მესაკუთრის ხელში, ამის უკან დაბრუნების პოლიტიკური ნება გამოხატა სახელმწიფომ.

– თუ არსებობს პრიორიტეტული საქმეები?

– კონკრეტულ საქმეებზე ვერაფერს გეტყვით. ეს პროკურატურის დისკრეციაა. ჩვენ დინამიკას და, ზოგადად, ტენდენციებს ვაკვირდებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიხეილის სკანდალური არჩევანი

სააკაშვილმა საკუთარ მოადგილედ 25 წლის ლამაზმანის დანიშვნით მთელი უკრაინა აალაპარაკა. ონლაინგამოცემებმა მაშინვე დასვეს კითხვა: ვინ არის ეს ახალგაზრდა ლამაზმანი და პასუხის ძებნაც დაიწყეს. მანამდე კი დამკვირვებლების შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ მიშას იმდენად სწყურია მედიის ეპიცენტრში ყოფნა, რომ ამას თავისი სკანდალური ქმედებებითა თუ გადაწყვეტილებებით აღწევს კიდეცო.

გოგონამ, რომელიც სააკაშვილმა მოადგილედ დანიშნა, სახელი მაიდანზე გაითქვა. მის ვიდეორგოლს, „მე უკრაინელი ვარ“, მაშინ რვა მილიონი მნახველი ჰყავდა და, როგორც ჩანს, პოპულარობამ ლამაზმანს არა მხოლოდ დასავლეთის კარი გაუხსნა, არამედ კარიერაშიც დაეხმარა.

იულია მარუშევსკა ახლა უკვე ახალგაზრდა, ლამაზი და, კომკავშირელის მაგივრად, პერსპექტიული ჩინოვნიკია.

თუმცა, ხმები ონლაინში უკვე დაირხა – უკრაინელი ლამაზმანი მხოლოდ ჩინოვნიკია? სააკაშვილის პირად სკანდალურ თავგადასავლებზე ყოველთვის ბევრი იწერებოდა. მის გვერდით ქალიც ბევრი უნახავთ და თავად სააკაშვილიც შეუნიშნავთ არაადეკვატურ მდგომარეობაში: დაბოლილია თუ ნასვამი? – ამ კითხვაზე მაშინ პასუხის გაცემას ყველა ერთად ცდილობდა.

დღეს ნაციონალები უკრაინელი ლამაზმანის თემაზე კომენტარს არ აკეთებენ, არაფერი ვიცით, ნახვამდისო, ასე დაგვემშვიდობნენ. ყოველთვის ასე იყო, საკუთარი ლიდერის სკანდალური ეპიზოდების გადასარჩენად შეიძლება მხოლოდ ნაციონალი დაგემშვიდობოს გულიანად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ევექსის“ ამბულატორიული ცენტრი ინოვაციების კვალდაკვალ - კომპიუტერული ტომოგრაფიის ახალი კაბინეტი

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

გიორგი ურუშაძე

სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ განვითარების უწყვეტ ციკლს განაგრძობს. ამჯერად სიახლე თბილისის ამბულატორიულ ცენტრშია. მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ ახალი სერვისით - კომპიუტერული ტომოგრაფიით ისარგებლონ. ეს უკანასკნელი, დაავადების დიაგნოსტიკის ზუსტ საშუალებას იძლევა და მკურნალობის შედეგს ორმაგად ეფექტურს ხდის. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა „ევექსის“ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, სწორედ ამიტომ სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ კვლავ ინოვატორ კომპანიად გვევლინება.

სოფიო წიქარიშვილი თბილისის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერია. მისი თქმით, კორპორაციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ამბულატორიული სერვისების განვითარება და თანამედროვე სტანდარტების დანერგვაა.

ცენტრი 2013 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს და დღემდე ათასობით კმაყოფილი პაციენტი გაისტუმრა. მომსახურების ხარისხი, თბილი დამოკიდებულება და პროფესიონალიზმი კორპორაციის სამარკო ნიშანია.

სოფიო წიქარიშვილი: „სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ თბილისის ამბულატორიულ ცენტრში“ ამბულატორიული სერვისების სრული დაფარვა ხორციელდება. აქ შესაძლებელია ჩაიტაროთ კონსულტაცია ყველა დარგის პროფესიონალ სპეციალისტებთან, როგორც მოზრდილებისთვის, ასევე პედიატრიული პროფილით, მიიღოთ ოჯახის ექიმის მომსახურება, ჩაიტაროთ სრული ამბულატორიული არაინვაზიური კარდიოლოგიური კვლევები, რომელიც პრიორიტეტულია მსოფლიო მედიცინაში. ასევე, შესაძლებელია სრული ოფთალმოლოგიური სერვისების მიღება, ასევე, ლაბორატორიული კვლევების სრული სპექტრია დაფარული. შესაძლებელია ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარება, იქნება ეს ექოსკოპიური ზოგადი კვლევები, თუ სახსრების ექოსკოპია, კარდიოექოსკოპია, რენტგენული კვლევა, გასტროსკოპია, კოლპოსკოპია, სპირომეტრიული კვლევა. ახლა უკვე მონტაჟდება და შესაძლებელი იქნება ციფრული რენდგენოსკოპიული კვლევა. უკვე დაიდგა და ფუნქციონირებს კომპიუტერული ტომოგრაფიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. ადგილზევეა შესაძლებელი მცირე ქირურგიული მანიპულაციების ჩატარება და აგრეთვე, შესაძლებელია ონკოლოგიური ჩარევების განხორციელება რბილ ქსოვილებზე. ეს იქნება პიგმენტური ხალების მოშორება თუ სხვა“.

სტანდარტული მომსახურებების გარდა თბილისის ამბულატორიულ ცენტრში სიახლეა. მომხმარებლებს უკვე შეუძლიათ კომპიუტერული ტომოგრაფიის უახლესი აპარატურით ისარგებლონ, რაც მკურნალობის მეთოდს უფრო ზუსტს და სწრაფს ხდის, შედეგად კი ეფექტიანობა იზრდება.

ამბულატორიის მენეჯერის თქმით, დაარსების დღიდან დღემდე, თბილისის ამბულატორია სწრაფი ტემპებით ვითარდება. ნიშანი კი, რომელიც მათ სხვა ჰოსპიტალებისგან გამოარჩევს, შემდეგია: „ჩვენი ამბულატორია გამოირჩევა მომსახურების ხარისხით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ექიმებისა და ექთნების მუდმივი გადამზადებების პროგრამებით, პროფესიონალიზმით და უბრალოდ, გულისხმიერი დამოკიდებულებით პაციენტების მიმართ“, - ამბობს სოფიო წიქარიშვილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მეტალიქსის“ სკანდალური

როგორ აღმოჩნდა ოქრუაშვილის ბიზნესი კეზერაშვილის ხელში?

მირიან ბოქოლიშვილი

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს ახალი ბრალი წარუდგინა. საქმე მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევას ეხება. გამოძიების ვერსიით, 2010 წლის აგვისტოში, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა, რომელიც იმ პერიოდში, თავის ბიზნესსაქმიანობაში, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა, გადაწყვიტა, გაეფართოებინა თავისი ბიზნესგავლენის სფეროები და ხელში ჩაეგდო ფოთის პორტში ნავთობპროდუქტების და მშრალი ტვირთების გადამუშავებასთან დაკავშირებული ბიზნესი, რომელსაც წლიურად ათეულობით მილიონი ლარის მოგება მოჰქონდა.

ბრალდების ერთ-ერთი ეპიზოდი კი შპს „მეტალიქსს“ უკავშირდება, რომლის 52,5 პროცენტის მფლობელი, 2010 წლის მდგომარეობით, ბიზნესმენი თამაზ ნიჟარაძე გახლდათ. გამოძიება ირწმუნება, რომ აღნიშნული კომპანია 2003 წლიდან 2028 წლამდე იჯარით ფლობდა ფოთის პორტის #5 ნავმისადგომს, საიდანაც მშრალი ტვირთების გადამუშავებას ახორციელებდა.

„ვინაიდან, კეზერაშვილს წილების გადაფორმება ეჩქარებოდა, 2010 წლის სექტემბერში, მან შუამავლით საუბარს, უშუალო შეხვედრა არჩია და ე.წ. „პიქსელის“ შენობაში დაბარებულ თამაზ ნიჟარაძეს „სისხლის ტბების დაყენებით“ დაემუქრა, თუკი ეს უკანასკნელი საწარმოებში კუთვნილ წილებს არ დათმობდა“, – აცხადებენ პროკურატურაში, სადაც განმარტავენ, რომ ბიზნესმენი თამაზ ნიჟარაძე და მისი ვაჟი, ზურაბ ნიჟარაძე განხორციელებული ზეწოლის შედეგად იძულებულნი გახდნენ, საკუთარი წილები დავით კეზერაშვილის მიერ ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიებისთვის დაეთმოთ.

მოკლედ, გამოძიების ინფორმაციით, ნიჟარაძეების კუთვნილ სხვა კომპანიებთან ერთად დავით კეზერაშვილის ხელში აღმოჩნდა კომპანია „მეტალიქსიც“, რომელსაც საკმაოდ სკანდალური პოლიტიკური ისტორია აქვს. როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, ეს გახლდათ პირადად საკაშვილთან დაკავშირებული კომპანია, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ექსპრეზიდენტი პოლიტიკური კარიერის პიკში იყო და შევარდნაძის მთავრობაში იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

იმ პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს ქოლგის ქვეშ არსებობდა და მას კურირებას უწევდა სააკაშვილის მოადგილე, ირაკლი ოქრუაშვილი. ასევე, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გახლდათ ექსპერტიზაც.

როგორც ჩვენი წყარო ყვება, სწორედ ამ პერიოდში გააკეთა სააკაშვილის ჯგუფმა პირველი სერიოზული ფული და ეს დაკავშირებული იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან დიდი რაოდენობით ჯართის გატანასთან – „ქაღალდზე დაფიქსირდა მცირე ოდენობა, მაგრამ რეალურად რამდენი გავიდა, არავინ იცის“. თუმცა ეს ძალიან დიდი რაოდენობის ჯართი იყო, რადგან ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდიდან ციხეებიდან ჯართი არასოდეს გაუტანიათ. მარტო რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 2 ელმავალი გაიტანეს. არადა ამ ოპერაციისას საქართველოს მასშტაბით ყველა დაწესებულებიდან გავიდა ჯართი. მთავარი აქ ის არის, რომ ჯართის აწონა-შეფასება იუსტიციის სამინისტროს ექსპერტებმა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით განახორციელეს!

ახლა კი ყველაზე საინტერესო – ეს ჯართი გაიტანა სწორედ ზემოხსენებულმა „მეტალიქსმა“. ამ კომპანიამ მფარველები პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით არაერთხელ შეიცვალა. თავდაპირველად კომპანიას ოქრუაშვილი ლობირებდა. როგორც წყარო გვიყვება, „მეტალიქსი“ ყველა არჩევნებისას დიდ თანხებს ახმარდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მინიმუმ 100 000 ლარს ოფიციალურად სნირავდა მმართველ პარტიას.

სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობიდან წასვლის შემდგომ ჯართის თემით სამართალდამცავები კი დაინტერესდნენ, მაგრამ მათ ისევ სააკაშვილის თანაგუნდელებმა დაასწრეს, რომლებიც იუსტიციაში იყვნენ დარჩენილები. სააკაშვილის გუნდიდან მაშინ დარჩენილ კადრებს შორის იყვნენ ირინა იმერლიშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, გიორგი ჯანაშია (ადეიშვილის პირველი მოადგილე პროკურატურაში). აქედან გამომდინარე, ეს საქმე ისევ იუსტიციის გენინსპექციამ გამოიძია და დაასკვნა, რომ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იყო ადმინისტრაციული თანამდებობრივი გადაცდომები და ჯოხი გადატეხეს ექსპერტებზე, რომლებიც თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მაშინ მოქმედი კანონით ვეღარც შინაგან საქმეთა სამინისტრო და ვეღარც პროკურატურა ამ საქმეს ხელახლა ვერ გამოიძიებდნენ.

ამბობენ, რომ სწორედ ამ ოპერაციიდან მიღებული ფულითა და „მეტალიქსის“ წყალობით შეიქმნა და ფეხზე დადგა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

მაშინ იუსტიციის სამინისტროში ირწმუნებოდნენ, რომ შპს „მეტალიქსის“ მიერ, რომელმაც მოახდინა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ჯართის გატანა, მთლიანად გატანილია 19 842 ტონა ჯართი, საერთო ღირებულებით 113 212 ლარი. „მეტალიქსის“ მიერ იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრების ანგარიშზე კი ჩარიცხულია 206 652,8 ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია დღგ-ს სახით – 29 263 ლარი.

იმ პერიოდში ციხეების ინვენტარიზაციასა და ხელოვნურად ჩამოწერილ საშუალებებზე, პრესაც საკმაოდ ხშირად წერდა. საკმაოდ ეჭვს ბადებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული ინვენტარიზაცია. ამბობდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტ-

ვის ჯიბეში წავიდა ციხეებიდან გატანილი ჯართის ფული?



„პიქსელის“ შენობაში დაბარებულ თამაზ ნიჟარაძეს „სისხლის ტბების დაყენებით“ დაემუქრა, თუკი ეს უკანასკნელი საწარმოებში კუთვნილ წილებს არ დათმობდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბეგრაუნდი

როზე ქონების გადაცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესში არ იყო გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების რეალური ფიზიკური მდგომარეობა და ინვენტარიზაცია ჩატარდა ფორმალურად, ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე.

ამ ჩამოწერის პროცესში კი დაირღვა კანონი. პასუხისმგებელმა პირებმა ახსნა-განმარტებებში მიუთითეს, რომ აღნიშნული გამოწვეულია მინისტრის ყოფილი მოადგილის, ირაკლი ოქრუაშვილის დაჟინებული მოთხოვნით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის ეტაპზე არ არის დაფიქსირებული ფერადი ლითონების არსებობის არც ერთი შემთხვევა. არადა, ჯართად აღრიცხული არაერთი დანადგარი და მოწყობილობა შეიცავდა ფერად ლითონებს.

მოკლედ, როგორც ირკვევა, დღეს პროკურატურის მიერ დაზარალებულად წარმოდგენილი კომპანია „მეტალიქსი“ წარსულში თავადაც საეჭვო გარიგებებში იყო ჩართული. ამბობენ, რომ კომპანიაში საკუთარი ინტერესი ჰქონდა იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის იმდროინდელ მოადგილეს, ირაკლი ოქრუაშვილს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი, როდესაც მთელ რიგ სახელმწიფო შესყიდვებს სწორედ ოქრუაშვილი აკონტროლებდა, „მეტალიქსის“ შემოსავლები ერთი ორად გაიზარდა. სააკაშვილ-ოქრუაშვილის დაპირისპირების შემდეგ კი პრობლემები ამ კომპანიასაც გაუჩნდა და როგორც პროკურატურა ამბობს, საბოლოოდ, კომპანია უკანონოდ აღმოჩნდა დავით კეზერაშვილის ხელში.

იმას, რომ თავის დროზე „მეტალიქსში“ ოქრუაშვილის ინტერესები იკვეთებოდა, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ 2008 წელს, ოქრუაშვილის დაპატიმრების შემდეგ სწორედ ბიზნესმენმა თამაზ ნიჟარაძემ გადაიხადა 3,5 მილიონი გირაოს სახით.

„უზრუნველვყავი 3,5 მილიონი ლარის გირაო. არავის მოლარე მე არ ვარ, კეზერაშვილსაც მისგან ვიცნობ, ისევე როგორც მთავრობის რამდენიმე წევრს. თვითონ გამაცნო. მხოლოდ მეგობრული და კაცური ურთიერთობიდან გამომდინარე გადავიხადე გირაო. კაცი ციხეში იყო, იქიდან შემომითვალა, იქნებ რამეთი უზრუნველყო ჩემი გირაოო, არ გამეკეთებინა სიკეთე? სიკეთის გარდა, მე მისთვის არაფერი გამიკეთებია და არც მას ჩემთვის“, – აცხადებდა „მეტალიქსის“ ყოფილი მფლობელი, ბიზნესმენი თამაზ ნიჟარაძე.

დღეს ის პროკურატურამ ოფიციალურად აღიარა დაზარალებულად დავით კეზერაშვილის მიერ. ნიჟარაძე სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, ისევე, როგორც მისი დიდი ხნის მეგობარი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ნიჟარაძის კვალდაკვალ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს. საქმე ათონელის ქუჩაზე, ოქრუაშვილის პარტიული ოფისის დაბრუნებას ეხება, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა...

და ბოლოს... „მეტალიქსის“ ამჟამინდელი მფლობელები პროკურატურის განცხადებას ემიჯნებიან და ამბობენ, რომ კომპანიას არანაირი კავშირი დავით კეზერაშვილთან არ აქვს.

„ამ კომპანიებს არანაირი შეხება არ აქვთ ბატონ კეზერაშვილთან. ერთ-ერთი, ვინც ფლობს ამ კომპანიის 52,5 პროცენტს, არის ამერიკული კომპანია, შესაბამისად, საქართველოში შემოდის ამერიკული ინვესტიციები. ამიტომ, ასეთი ტიპის განცხადებები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორც ბიზნესს, ისე ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში“, – განაცხადა „მეტალიქსის“ ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

„ქედს ვიხრით თქვენი პროფესიონალიზმის წინაშე“ – აშშ-ს საელჩომ ნინო გიორგობიანი დააჯილდოვა

აშშ-ს საელჩომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს მადლობის სიგელი გადასცა.

„მადლობას მოგახსენებთ აშშ-ს საელჩოს რეგიონალური უსაფრთხოების ოფისისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამართალდაცვით საკითხებში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. თქვენი ხელმძღვანელობით, 2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის ივნისის პერიოდში, შეიქმნა ეროვნული პლატფორმა, რომელიც ეძღვნებოდა ვიზების გაყალბების, ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის საკითხების განხილვას. აღნიშნულ თემებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობით, თქვენ დაიცავით საქართველოს მოქალაქეები, რომ არ გამხდარიყვნენ ამ ძალიან სერიოზული დანაშაულების მსხვერპლნი. ჩვენ ქედს ვიხრით თქვენი პროფესიონალიზმის წინაშე, ვაფასებთ თქვენს თანამშრომლობას და გამოვთქვამთ გულწრფელ მადლიერებას თქვენი მიერ გამოჩენილი მტკიცე ძალისხმევისთვის“, – ნათქვამია მადლობის სიგელში.

დაჯილდოებას სოციალური ქსელით თავად ნინო გიორგობიანი გამოეხმაურა.

„დიდი მადლობა ბატონ რიჩარდ ნორლანდს და ამერიკის საელჩოს ასეთი დაფასებისთვის! საელჩოში დღეს გამართულ ღონისძიებაზე მადლობის სიგელი გადმომეცა“, – წერს **გიორგობიანი.**

ლევან ალაფიშვილი: „რეფერენდუმი რუსეთის მხრიდან საერთაშორისო წესრიგის შეცვლის კონტექსტში იკითხება“

როგორ აფასებენ ქართველი ექსპერტები საბერძნეთში ჩატარებულ რეფერენდუმს და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით, საბერძნეთის რეფერენდუმმა სწორედ საერთაშორისო წესრიგსა და სამართალს დაარტყა:

„ბერძნებმა ამ რეფერენდუმით თქვეს, რომ მათ სურთ კიდევ უფრო ბევრი ფული, ამავე დროს არც მის გასტუმრებას და არც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას არ აპირებენ. რუსეთი ცდილობს, სწორედ საერთაშორისო წესრიგს დარტყას და შეცვალოს ის. საერთაშორისო სამართალი უკვე კარგავს ეფექტურობას. გაეროში, მაგალითად, რუსეთი ვეტოს უფლებით ცდილობს, შეცვალოს დღის წესრიგი, ამავე დროს პუტინმა ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებაც განაცხადა... ასე რომ, საბერძნეთში ჩატარებული რეფერენდუმიც რუსეთის მხრიდან საერთაშორისო წესრიგის შეცვლის კონტექსტში იკითხება“, – განმარტავს ალაფიშვილი.

მისივე თქმით, ახალი გამოწვევები ევროკავშირს აიძულებს, ახალი პოლიტიკა შეიმუშაოს. მისი თქმით, ევროპას მეხსიერებაც აქვს და ანალიზის უნარიც იმისთვის, რომ ასეთ კრიზისებს უპასუხოს.

„თავის დროზე, 30-იან წლებში, შუაგულ ევროპაში ეროვნულ-ნაციონალურ სენტიმენტებზე მოთამაშე მთავრობა მოვიდა ხელისუფლებაში. ნაცისტებმა სოციალური ფონითაც კარგად ისარგებლეს და, საბოლოო ჯამში, პრობლემა არა მხოლოდ გერმანიას შეექმნა, არამედ ევროპას და მსოფლიოს... ევროპას ამის მეხსიერება აქვს და ანალიზის უნარიც გააჩნია. შესაბამისად, ევროკავშირს ახალი პოლიტიკა ექნება შესამუშავებელი“, – განმარტავს ალაფიშვილი.

„რადიკალური დაპირისპირება ჯერ არ ჩანს“

ცოცხების ეფექტი ველარ გამეორდება, – ასეთია ექსპერტების დასკვნა. და როგორიც არ უნდა იყოს პოლიტიკოსების სურვილი, 2016 წლის საარჩევნო მარათონი ვერ იქცევა კომპრომატების ომის პოლიგონად.

ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ რადიკალური ძალები არ ჩანს და პროცესები სტაბილურად მიმდინარეობს. ასე რომ, არავითარ კომპრომატების ომსა და სერიოზულ დაპირისპირებას არ უნდა ველოდოთ. მისივე განმარტებით:

– რადიკალური დაპირისპირება ჯერ არ ჩანს და არც არის ოპოზიცია რადიკალური. ნაციონალებს ქუჩის პროცესები არ აქვთ. დანარჩენ ოპოზიციაში სიჩუმეა. ოპონირება ძირითადად კანონმდებლობის ან სხვა კონკრეტულ თემებზე ხდება და პროცესების რადიკალიზაცია არ ჩანს, სავარაუდოდ, არც იქნება. ვითარება სტაბილურია, თუმცა, მომავალში რა თემებით აიწევს ტემპერატურა და ვინ რა თემებზე მოახდენს ფოკუსირებას, ამის თქმა რთულია.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ იმედოვნებენ, რომ სოციალური ფონი იმდენად დაიძაბება, რომ ცოცხების ეფექტის როლს ითამაშებს. თუმცა, ვალერი გელბახიანის შეფასებით, ჯერ არც დენის ტარიფი გაძვირებულა და არც წყლის, შესაბამისად, რთულია რაიმე დასკვნის გაკეთება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ახალი ნათების“ საიმიჯო შოურუმის ფილიალი უკვე ბათუმშია

სალომე ჩადუნელი

ფიქრობთ როგორ მოაწყოთ საკუთარი სახლი? მისი ინტერიერი და ექსტერიერი? ვერ გადაწყვიტეთ როგორი ავეჯი და განათება შეარჩიოთ? არ იცით სად იყიდოთ ოჯახის წევრის გემოვნებასა და მოთხოვნებზე მორგებული აქსესუარები? მაშინ „ახალი ნათების“, პრემიუმ კლასის, საიმიჯო შოურუმს - ფორუმს უნდა ესტუმროთ, რომელიც თქვენს სურვილებს დააკმაყოფილებს, საშუალებას მოგცემთ შეიძინოთ უმაღლესი ხარისხის მსოფლიო ბრენდის ავეჯი, განათება, აქსესუარები და გემოვნების პრეტენზიულობასაც საზღვრები არ დაუწესოთ. ფორუმი ძლიერდება და ვითარდება, ახლა უკვე ბათუმშიც შეგიძლიათ ენვიოთ მის ფილიალს და ზაფხულის ცხელ დღეებთან ერთად სასურველი შესყიდვა განახორციელოთ. თბილისის ფილიალი კი აღმაშენებლის ხეივნის მეთორმეტე კილომეტრზე მდებარეობს.

ზურაბ გაბინაშვილი, დამფუძნებელი

თემურ არდოტელი, აღმასრულებელი დირექტორი

„ახალი ნათების“, პრემიუმ კლასის, საიმიჯო შოურუმის, ფორუმის ფილიალი 4 ივლისს, ბათუმში, ხიმშიაშვილის N1-ში გაიხსნა. მომხმარებელს საშუალება ექნება შეიძინოს როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერისთვის განკუთვნილი მსოფლიო ბრენდის ავეჯი, განათება და აქსესუარები.

ფორუმის არსებობის ისტორია 2013 წელს იწყება. ის ერთ-ერთი უნიკალური პროექტია მთელ ქვეყანაში, როგორც არქიტექტურული, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. მომხმარებელს საშუალება ეძლევა ადგილზე შეიძინოს ან შეუკვეთოს ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქცია, მიიღოს ინსპირაცია კონცეფტუალურად მოწყობილი კუთხეებიდან და სასიამოვნო დრო გაატაროს ფორუმ კაფეში.

მაღალი ხარისხის, გამორჩეული ვიზუალისა და მაქსიმალური კომფორტის ძიებით კომპანიამ წარმოადგინა ავეჯის მწარმოებელი ისეთი მსოფლიო ბრენდები, როგორებიცაა: Hülsta, Now! By Hülsta, KOINOR, Freistil by ROLF BENZ, Gautier, VONDOM, Life, Düsirüe, Ozzio…

ფორუმს ახალი პარტნიორი ჰყავს, გერმანული ბრენდის Hacker-ის სახით. სწორედ ბათუმის ახალ ფილიალში გაიმართა Hacker-ის სამზარეულოების პრეზენტაცია.

განათების სფეროში კი წარმოდგენილია ახალი ნათების პარტნიორი ბრენდების უახლესი და საუკეთესო მოდელები, როგორებიცაა: Artemide, Kolarz, Linealight, Deltalight, Philips, Flos, Prolicht, Fumagali…

ფორუმი განასხვავებს ევროპულ ბრენდებსა და „დამზადებულია ევროპაში“ იარლიყს.

ფორუმში წარმოდგენილი ბრენდების პროდუქცია იწარმოება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და ჰოლანდია.

მომხმარებლის მოთხოვნაზე და გემოვნებაზე მორგებული გარემო, ინსპირაციის მომნიჭებელი განლაგება და მაღალი ხარისხის მომსახურება ჩვენს სახლს საოცნებო სივრცედ გადააქცევს.

სექტემბრიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ახალი ფაზა იწყება

2015 წლის 4 ივლისს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC) C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. „C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა საქართველოში: სამომავლო განვითარების გზები“ - ასე ერქვა კონფერენციას, რომელიც საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსის“ (GAHSC) საქართველოს მთავრობასთან ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის მიმართულებით 6 აპრილს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის უპრეცედენტო პროექტის განხორციელება საქართველომ 2015 წლის 21 აპრილს, ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Gilead-ის ხელშეწყობით დაიწყო და მისი მიზანი, არამხოლოდ პაციენტებისთვის იაფიანი მედიკამენტის მიწოდება, პრევენციული ღონისძიებების გააქტიურება, ინფექციის შესაძლო წყაროების აღმოფხვრა და სერვისების მაქსიმალურად მაღალი ხარისხით მიწოდებაა.

კონფერენცია ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გახსნა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა ჯანდაცვის სისტემის ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე საუბრით დაიწყო.

„ვფიქრობ, ქართული ჯანდაცვა სწორი გზით ვითარდება, თუმცა, არიან კრიტიკოსებიც. ჩვენთვის მთავარია ხელმისაწვდომობა, ხარისხი და ღირებულება, რაც ერთმანეთზეა მიბმული, ხელმისაწვდომობის შემდეგი ნაბიჯი არის ფასზე და ხარისხზე ზრუნვა. შემდეგი ნაბიჯი იქნება პირველადი ჯანდაცვის ძირეული რეფორმირება.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა პირველადი ჯანდაცვის სისტემის შექმნა. ბევრ ქვეყანას დაემართა ასეთი რამ, როცა ჯეროვანი ყურადღება არ იქნა მიქცეული პირველად ჯანდაცვაზე და მთელი დატვირთვა გადავიდა ჰოსპიტალურ სექტორზე. თავისთავად ცხადია, რა დიდ რისკებს მოიცავს პროცესი, როდესაც პირველადი ჯანდაცვა ვერ ასრულებს თავის ძირითად როლს. ეს როლი, იდეალურ შემთხვევაში, სამედიცინო საჭიროებების 80% მართვაა და მხოლოდ 20% უნდა გადადიოდეს სტაციონარულ მკურნალობაზე. თუმცა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს პირველადი ჯანდაცვის რგოლის მიერ სამედიცინო საჭიროებების უმრავლესობის მართვა“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის პირველი ფაზა ღვიძლის დაზიანების მქონდე 5 ათასი პაციენტის მკურნალობას მოიცავს, გარდა ამისა, ეპიდემიოლოგიური კვლევა და მუშაობა მიმდინარეობს დაავადების ელიმინაციის გრძელვადიან პროგრამაზე, პროგრამის ფარგლებში იგეგმება C ჰეპატიტის სამკურნალო ახალი, ბევრად გაუმჯობესებული მედიკამენტის, - „ჰარვონის“ შემოტანა.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსის“ (GAHSC) პრეზიდენტი ჟან-ელი მალკინიც გამოვიდა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებში, განსაკუთრებით, გადამდები დაავადებების ზედამხედველობის, სამედიცინო დაზღვევის დაგეგმვის, ჰოსპიტლების პარტნიორობისა და ჯანდაცვის დაზღვევის სისტემის კუთხით მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. მან აღნიშნა, რომ „გლობალ ალიანსი“ მზადაა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მთავრობას პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების გზაზე.

კონფერენციის ფორმატში გაიმართა „გლობალ ალიანსის“ მიერ მოწვეული ექსპერტების, პროფესორების სტანისლავ პოლისა (პარიზის უნივერსიტეტის (Paris Descartes) ჰეპატოლოგიისა და გასტროენტეროლოგიის პროფესორი, C ჰეპატიტის ვირუსის ინფექციის იმუნური პათოლოგიის შემსწავლელი Inserm UMS 20-ის თანათავმჯდომარე) და იაზდან იაზდანპანას (პარიზის სამედიცინო სკოლის ინფექციურ დაავადებათა პროფესორი, ინფექციურ დაავადებებში ხარჯთეფექტურობის გადაწყვეტილებების ანალიზის ATIP-AvenirInserm ჯგუფის უფროსი) პრეზენტაციები, თემებზე: „C ჰეპატიტის აღმოფხვრისაკენ - სტრატეგიების ოპტიმიზაცია“ და „აივ-ის და C ჰეპატიტის ეპიდემიებზე ინტეგრირებული ინტერვენციების ხარჯთეფექტურობის კვლევა: საქართველოს მაგალითი“.

კონფერენცია მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული დისკუსიით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა ჯანდაცვის სამინისტროს, NCDC–ს, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პირველი ფაზის სამკურნალო ცენტრების, ჩანაცვლების პროგრამების პროვაიდერების, პაციენტთა ჯგუფებისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს.

„ძალიან საინტერესო კონფერენცია შედგა. საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ასეთი სახის პროგრამა ხორციელდება. მის თითოეულ ეტაპზე დაკვირვება მნიშვნელოვანია. ჩვენ გვაქვს ძალიან ეფექტური წამალი, რომლითაც ბევრი პაციენტი განიკურნება. მინდა მადლობა გადავუხადო კონფერენციის მონაწილეებს საინტერესო დისკუსიითვის“,– განაცხადა კონფერენციის დასასრულს პროფესორმა იაზდან იაზდანპანამ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შსს-ს მასშტაბური

იარაღით ვაჭრობის სკანდალური სქემა გახსნილია

ვინ არის „ჩერმენა“ და რა კავშირი აქვს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო პოლიციასთან?

ვალერი თელია: „საქართველოს მასშტაბით ყიდულობდნენ „გლოკის“ სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს, 2-3 დღის შემდეგ ასხვისებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე...“

მირიან ბოქოლიშვილი

რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკმაოდ მასშტაბური სპეცოპერაცია ჩაატარა და დიდი ოდენობით იარაღის შეძენა, შენახვა, გადაზიდვის ბრალდებით თბილისში, გორში, მცხეთასა და საგარეჯოში არაერთი პირი დააკავა. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ერთი შეხედვით ამ ორდინარული დანაშაულის უკან საკმაოდ სერიოზული სკანდალი იმალება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უსაფრთხოებასთან. საქმე ის გახლავთ, რომ ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოში შეძენილი ამერიკული ცეცხლსასროლი იარაღი პირდაპირ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ხელში ხვდებოდა.

ირკვევა, რომ დანაშაულებრივი სქემა საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული და მას ვინმე ხვიჩა სიქტურაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც თბილისში, იარაღის მაღაზიებში სისტემატურად ყიდულობდა ამერიკული და ავსტრიული ნარმოების „გლოკ 19“-ის და „გლოკ 17“-ის მოდელის ცეცხლსასროლ იარაღს. მას სხვადასხვა პირზე აფორმებდა, რის სანაცვლოდაც, საშუალოდ, 500 ლარს უხდიდა. რეგისტრირებული იარაღი სიქტურაშვილს გორში ჩაჰქონდა და ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ, წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე ტოვებდა, საიდანაც ის ცხინვალში გადაჰქონდათ.

როგორც გავარკვიეთ, სიქტურაშვილი საქართველოში იარაღს, საშუალოდ, 2000 ლარად ყიდულობდა, ამას თუ დავუმატებთ 500 ლარს, რომელსაც იმ პირებს უხდიდა, ვისზეც ამ იარაღს აფორმებდა, გამოდის, ერთი ცალი მას 2500 ლარი უჯდებოდა, ცხინვალში კი ამერიკული „გლოკის“ ტიპის იარაღის ფასი 8000 დოლარს აღწევს. ასე რომ, ამ შავი ბიზნესით საკმაოდ დიდი ფული კეთდებოდა. შსს-ს ინფორმაციით, ამ გზით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში 20-მდე ცეცხლსასროლი იარაღი გადაიტანეს და რომ არა ჩატარებული სპეცოპერაცია, ალბათ, კიდევ ბევრი ამერიკული იარაღი მოხვდებოდა საოკუპაციო რეჟიმის ხელში.

დიახ, საოკუპაციო რეჟიმის, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, იკვეთება სიქტურაშვილის კავშირები ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო პოლიციასთან. კერძოდ, მის მიერ საოკუპაციო ხაზთან მიტანილი იარაღი ცხინვალში ვინმე „ჩერმენასთან“ გადაჰქონდათ. აღნიშნული პიროვნება, გვარად გათიკოევი ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო პოლიციის უფროსის ვაჟი გახლავთ, შესაბამისად, ძნელი მისახვედრი არ არის, ვის ხელში ხვდებოდა საქართველოდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადატანილი დიდი ოდენობით იარაღი.

საქმის გახსნას საფუძვლად დაედო ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია. კვალმა სამართალდამცავები საკმაოდ სერიოზულ დანაშაულებრივ ჯგუფზე გაიყვანა. მხოლოდ გორში კრიმპოლის მიერ ექვსი პირი დააკავეს, პარალელურად მცხეთის საპატრულო პოლიციამ 11-კაციანი დაჯგუფება აიყვანა. გორში ჩატა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სპეცოპერაცია

როგორ და ვისთან გადაჰქონდათ ოკუპირებულ ცხინვალში ამერიკული იარაღი?

ირი მათ შორის?

– გამოძიება მიმდინარეობს ამ ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით. ის ადამიანები, ვინც ცენტრალურმა კრიმინალურმა პოლიციამ, კერძოდ, ვალერი თელიას დანაყოფმა დააკავა, სავარაუდოდ, მიბმულნი არიან ხ.ს-ს მიერ ორგანიზებულ სქემასთან. ზოგადად, ეს პიროვნება მოქმედებდა საქართველოს მასშტაბით, როგორც თბილისში, ისე გორში, მცხეთაში, წყნეთსა და კახეთში.

როგორ დაუკავშირდნენ დანაშაულებრივ ჯგუფს ოკუპირებული ცხინვალიდან? საგამოძიებო ნაწილის უფროსი ვლადიმერ წითლაური ამბობს, რომ დანაშაულის ორგანიზატორს ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან ერთ-ერთი პიროვნება სტუმრობდა, რომელთანაც იარაღით ვაჭრობის სქემა დაიგეგმა. ამ სქემაში ჩართული არაერთი პირი კი წარსულში ნარკოდანაშაულისთვის გახლდათ ნასამართლევი.

ვლადიმერ წითლაური, მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსი:

„მცხეთის საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებულ ორ პირს ავტომობილში აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც გორში გადაჰქონდათ, საიდანაც მისი რეალიზაცია უნდა მოეხდინათ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში. ამის შემდეგ გამოძიება გავიდა ვინმე გ.თ-ზე, რომელიც გახლდათ ამ დანაშაულის ორგანიზატორი თბილისის მასშტაბით, საქართველოს მასშტაბით კი ამ სქემას ხ.ს. ხელმძღვანელობდა, რომელსაც, გამოძიების ინფორმაციით, კარგა ხნით ადრე სტუმრობდა ცხინვალიდან ჩამოსული პიროვნება. ეს არის ოსი ეროვნების პირი, რომელმაც ხ.ს-ს უთხრა, რომ სჭირდებოდა „გლოკის“ სისტემის იარაღი, რაშიც საკმაოდ დიდ ფულს გადაიხდიდა. შეთანხმება შედგა და შემუშავდა სქემა, რა გზით უნდა შეეძინათ, დაერეგისტრირებინათ და გადაეტანათ აღნიშნული იარაღი. ამ ჯგუფმა, სულ 11 კაცზეა საუბარი, შეცდომაში შეიყვანეს და დანაშაულში ჩართეს სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, რომლებზეც არეგისტრირებდნენ ამ იარაღს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. ვინაიდან ამ ხალხმა გამოძიებასთან ითანამშრომლა, მათ მიმართ საპატიმრო ღონისძიების გამოყენებას არ მოვითხოვთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამავე გამოძიებით, კახეთში, კერძოდ, საგარეჯოში, ერთ-ერთ სახლში ჩატარდა ჩხრეკა, სადაც ამოვიღეთ „აკაესის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, 82 ვაზნით“.

როგორც უკვე გითხარით, პირველ ეტაპზე ექვსკაციანი დაჯგუფება შიდა ქართლის კრიმინალურმა პოლიციამ გამოაშკარავა. დანაშაულის ხელწერაც და იარაღის საბოლოო დანიშნულების ადგილიც იგივეა. ამ ეტაპზე გამოძიება არკვევს, ჰქონდა თუ არა ურთიერთკავშირი ამ ორ დაჯგუფებას.

ვალერი თელია, შიდა ქართლის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი:

„ჩვენმა დეპარტამენტმა დააკავა 6 პირი, რომლებიც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მაღაზიებში ყიდულობდნენ „გლოკის“ სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს, იფორმებდნენ და 2-3 დღის შემდეგ გაცილებით ძვირად ასხვისებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს იყო ქსელური სისტემა. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში იარაღის გაფორმებაში სხვა პირებს 300-500 ლარს სთავაზობდნენ. მათი დიდი ნაწილი იყო სოციალურად დაუცველი და, შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, როგორ მოახერხებდა ამ კატეგორიის ადამიანი ძვირადღირებული იარაღის შეძენას. აქედან გამომდინარე, გავედით კონკრეტულ პირებზე, გვქონდა, ასევე, ოპერატიული ინფორმაცია, რომ ადგილი ჰქონდა იარაღის ცხინვალში სავარაუდო გატანას. დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

როგორც იცით, ზუსტად ანალოგიური ოპერაცია ჩაატარა მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციამ, რის შედეგადაც 11 პირი დააკავეს. ზუსტად იგივე სქემით მოქმედებდა ჩვენ მიერ დაკავებული ჯგუფიც. ამიტომაც გრძელდება გამოძიება ამ ორი ჯგუფის ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით. არ არის გამორიცხული, ერთ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან გვქონდეს საქმე“.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ხვიჩა სიქტურაშვილის ახლობლებთან დაკავშირებას, ვინაიდან სწორედ ის განიხილება დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელად. ამ თემაზე სიქტურაშვილის ახლობლებმა საუბარი არ ისურვეს, შესაბამისად, უცნობია, რა პოზიცია აქვს ბრალდებულის მხარეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას, თანამზრახველებთან ერთად, 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ზოგადად, იარაღით ვაჭრობა, მით უმეტეს დიდი ოდენობით, მთელ მსოფლიოში საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლება, ცნობილია ისიც, რომ ამ შავი ბიზნესით საკმაოდ დიდ ფულს შოულობენ. როგორც წესი, რუსეთში ამერიკული ტიპის იარაღი არ შედის და ცდილობენ, თანამედროვე წარმოების იარაღი მსგავსი შავი გზებით შეიტანონ და საკუთარი შეიარაღება გააძლიერონ. ვერ გეტყვით, რამდენად აცნობიერებდა ზემოხსენებული დაჯგუფება, მაგრამ ფაქტია, რომ საოკუპაციო რეჟიმისთვის მათ მიერ მიწოდებული ამერიკული იარაღი საბოლოოდ ისევ ჩვენკენ და ჩვენი მოქალაქეებისკენ იქნებოდა მომართული.

თეიმურაზ კუპატაძე, მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის უფროსი:

– კონტრტერორისტული ცენტრის მიერ მონოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გავაჩერეთ ავტომანქანა, სადაც იჯდა ორი მგზავრი. მათ ავტომობილის სავარძლის ქვეშ აღმოაჩნდათ სხვა მოქალაქეზე რეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. ჩვენ ამ ფაქტის ირგვლივ დავიწყეთ გამოძიება, რის შედეგადაც გაიშალა მთელი სქემა. ეს იყო კარგად ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც სათავეში ედგა ხ.ს. აღნიშნული პიროვნება უკავშირდებოდა სხვადასხვა მოქალაქეს, ძირითადად მანდილოსნებს, რომლებსაც აძლევდა გარკვეულ თანხას იარაღის მის სახელზე რეგისტრირების სანაცვლოდ, გარდა ამისა, აძლევდა ფულს იარაღის შესაძენად. ეს მოქალაქეები შეძენილ იარაღს აბარებდნენ ხ.ს-ს, რომელსაც იარაღი, თავის მხრივ, ჩაჰქონდა გორში, საიდანაც შუამავლის მეშვეობით გადაჰქონდათ ცხინვალში. აქვე, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ საქმეში საუკუპაციო რეჟიმის ერთ-ერთი თანამდებობის პირის ვაჟი ფიგურირებს.

– სულ, რა რაოდენობის იარაღის გადატანა მოახერხა ამ ჯგუფმა?

– ჩვენი ინფორმაციით, 20-მდე ცეცხლსასროლი იარაღია გადატანილი. ეს არის ის მონაცემი, რაც ჩვენ, საპატრულო პოლიციამ, დავადგინეთ, თუმცა გამოძიება გრძელდება და შესაძლოა, გაიზარდოს როგორც გადატანილი იარაღის ოდენობა, ისე ბრალდებულ პირთა წრე. იარაღი, რომლის შეძენა-დარეგისტრირება აქ, საშუალოდ, 2500 ლარი უჯდებოდათ, საკმაოდ ძვირია ცხინვალში. 5000 დოლარიდან იწყება და 10 ათას დოლარამდეც ადის ფასი. მხოლოდ ჩვენ მიერ დაკავებულია დანაშაულის უშუალო მონაწილე 11 პირი, ასევე მხილებულია 9 პირი, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ფინანსური ანაზღაურების სანაცვლოდ, შეცდომაში იქნენ შეყვანილნი. ამ ცხრა პირმა გამოძიებასთან ითანამშრომლა და სავარაუდოდ, მათ მიმართ შემამსუბუქებელი ღონისძიებები გატარდება.

– როგორც ცნობილია, ანალოგიური დანაშაულისთვის გორის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმაც დააკავა ერთი ჯგუფი... რამდენად არსებობს კავშირრებული სპეცოპერაციის დეტალებს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი, ვალერი თელია ოდნავ ქვემოთ გაგვაცნობს, მანამდე კი გიამბობთ მცხეთის ეპიზოდზე.

მოკლედ, თბილისი-მცხეთის გზატკეცილზე, ჯვრის მონასტრის მიმდებარედ საპატრულო პოლიციამ ავტომობილი გააჩერა... როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. ავტომობილის ჩხრეკისას სავარძლის ქვეშ 30 წლის ქალბატონის სახელზე რეგისტრირებული „გლოკ 17“-ის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 20 ვაზნა იყო გადამალული. მგზავრები საპატრულო პოლიციამ ადგილზე დააკავა, რის შემდეგაც დაადასტურა, რომ საქმე იარაღით უკანონო ვაჭრობას უკავშირდება.



თეიმურაზ კუპატაძე: „საქმეში საუკუპაციო რეჟიმის ერთ-ერთი თანამდებობის პირის ვაჟი ფიგურირებს“

ვლადიმერ წითლაური: „დანაშაულში ჩართეს სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყველა მსურველი და გულშემატკივარი ვერ მოხვდება თამაშზე“

„202 ტელევიზია უკვე აჩვენებს ამ თამაშს და მოხარული ვარ, რომ არამარტო ევროპაში, სადღაც ზიმბაბვეში და ამერიკაშიც, ვიღაც ადამიანი გაიგებს, რომ არსებობს „ჯორჯია“, საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი“

მაგდა კლდიაშვილი

11 აგვისტოს თბილისი უეფას სუპერთასს მასპინძლობს, სადაც ერთმანეთს ორი ესპანური გუნდი, „სევილია“ და „ბარსელონა“ დაუპირისპირდება. რამდენად მზად არის ქალაქი დახვდეს 15 ათას სტუმარს, როგორ მიდის მზადების პროცესი და ეყოფა თუ არა თბილისის სასტუმროები ჩამოსულ სტუმრებს. როგორია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კვლევის შედეგები და რა მოგებას მოუტანს ეს ღონისძიება ქვეყნის ბიუჯეტს - ზვიად სიჭინავა ღონისძიების მზადების დეტალებზე.

- თბილისში სუპერთასისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა უცნობია, რამდენად მზად არის ქალაქი ამისთვის. ისიც ცნობილია, რომ დედაქალაქში სულ 1 200 ნომერია, რომელიც სტუმარს მაღალ დონეზე მიიღებს. მზად ვართ მასპინძლობისთვის?

- ჩვენ ჩავატარეთ გამოკვლევა, რადგან, ვიცით, რომ საქართველოში სუპერთასის მატჩზე 12-15 ათასი უცხოელი აპირებს ჩამოსვლას. ვგულისხმობ, კლუბებს, ოფიციალურ პირებს, ფანებს. ამიტომ, ეს 1200 ნომერი ამ პერიოდისთვის უკვე დაჯავშნილია.

- რეალურად გამოდის, რომ სასტუმროს ნომრების პრობლემა იქნება?

- ეს კითხვა სხვა უწყებებს ეკუთვნის. მე ჩემი მხარე ვიცი. ვიცი, რომ უნდა დავაკმაყოფილოთ ორი გუნდი, უეფას სტაფი, უეფას სტუმრები და სხვა მაღალჩინოსნები. გარდა ამისა, არიან სპონსორები და გულშემატკივრები, რომლებიც ფედერაციის სიაში არ შედიან. ეს უკვე ტურიზმის დეპარტამენტის ფუნქციები შედის და ისინი გაგცემენ ზუსტ პასუხს, რამდენად მზად არიან. მე ვერ დავჯდები და ვერ დავიწყებ თვლას, რამდენი ხინკალი უნდა ჭამოს აქ ჩამოსულმა სტუმარმა.

- დაახლოებით, დათვლილი გაქვთ, რა მოგებას მოუტანს ეს ღონისძიება ქვეყანას?

- საერთოდ, როგორც ითვლება, როცა უცხოელები ჩამოდიან, მინიმუმ 1000-1200 ევროა ფასი. ამ ფასში შედის სასტუმრო, ტრანსპორტირება, კვება და სუვენირები. გარდა ამისა, „ადიდასი“ და სხვა კომპანიები ჩამოდიან, რომელთაც თავიანთი პროდუქცია ჩამოაქვთ და მარტო მაისურების ფასი იწყება 100 ევროდან. ევროპელები, სხვა ხალხისგან განსხვავებით, დღეში სამჯერ ჭამენ საჭმელს. პირადად მე, დღეში ერთხელ მიწევს ჭამა, მაგრამ ადამიანმა უნდა ჭამოს სამჯერ. თუ 1200 ევროს გავამრავლებთ 1200 კაცზე, მინიმუმ, რომელსაც ველოდებით, და გავამრავლებთ სამ დღეზე, რადგან სწორედ სამ დღეზეა საუბარი, სადღაც, 40 მილიონამდე უნდა დარჩეს ქვეყანაში. ამის ნახევარიც რომ დარჩეს, ერთი ივენთისთვის, მგონი, საკმარისია.

- მემორანდუმი, რომელიც თბილისის მერიასთანაც გაფორმდა, რა ვალდებულებებს აკისრებს მას?

- ასეთი ივენთები მიდის ქვეყანაში, სადაც სასტუმროები, ტაქსები, რესტორნები, ფანზონები და აეროპორტი გამართულია. უეფა სოციალურ მდგომარეობას ვერ შეისწავლიდა. მათ ჰქონდათ მოთხოვნები, სჭირდებოდათ ორი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გუნდებისთვის, ერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო უეფას ხელმძღვანელობისთვის და მათი სტაფისთვის ოთხვარსკვლავიანი. ცუდია, რომ „შერატონი“ დაიკეტა. იქ რეკონსტრუქცია მიდის, ეს სასტუმრო დიდია და ბევრი ადგილი დაგვაკლდა. შევისწავლეთ ტაქსებიც, სათითაოდ დავუკავშირდით ყველა კომპანიას, დაახლოებით 17 იყო, ზოგიერთს ტელეფონიც გამორთული ჰქონდა და ექვსასზე ოდნავ მეტი ტაქსი დავითვალეთ მხოლოდ.

- აეროპორტი შეძლებს თვითმფრინავების მიღებას?

- რაც შეეხება აეროპორტს, უფრო მშვიდად ვარ. ჩვენ მხარდაჭერა გვაქვს მთავრობისგან, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ კლუბები, დელეგაციები და ოფიციალური სტუმრები სამთავრობო ტერმინალიდან გავიდნენ. ეს გააადვილებს პროცედურას. ეს ყველაფერი ჩარტერული რეისებით ხდება. გარდა ამისა, ჩარტერები ჩამოვა უკრაინიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან უმეტესობა მანქანით წამოვა, ყველაფერი ეს იქნება ჩარტერი, მაგრამ, იმედიანად ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ამაში ეჭვი არასდროს შემპარვია. თუ ის არ ვიცით, რომ 12 ათას ადამიანს ერთ ჭამაში 3 ათასი ხაჭაპური უნდა, რამდენი გოჭი და მწვადი, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. ვფიქრობ, ჩვენი ქალაქი მზად არის ღონისძიების დასახვედრად.

- რამდენიმე დღის წინ სამთავრობო სხდომა გაიმართა, სადაც თქვენც დაგიბარეს, რაზე ისაუბრეთ?

- საუბარი შეეხო უკვე დასრულებულ სამუშაოებს და დასასრულებელს. როგორც მერიის სპეციალურმა ჯგუფმა მოგვახსენა, რომელიც ამ ყველაფერს კონტროლს უწევს, „დინამო არენაზე“ სკამების მონტაჟი 20 ივლისს დასრულდება. მედიასაშუალებებს რაც შეეხება, უეფას სპეციალური ჯგუფი ჩამოდის, რომელიც ამ საკითხს მოანესრიგებს. ერთი მედია ცენტრი იქნე-

„არის კლუბი უმაღლესი ლიგიდან, რომელმაც ასზე მეტი ბილეთი მოითხოვა. სირცხვილია ამაზე ლაპარაკი, როდესაც შენ არ გაქვს შემოტანილი კონტრაქტები, არ იცი შენი ფეხბურთელების რაოდენობა. რაზეა გათვლილი ეს, არ მესმის“

„მინდა, ყველა დაგარწმუნოთ, რომ სათითაოდ გავივლი ყველა კომპანიას და არ მივცემ არც ერთ კლუბს თუ ფედერაციას იმის უფლებას, რომ გარკვეული პრივილეგია ჰქონდეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართველოს 40 მილიონს ეოუტანს

„თუ 1200 ევროს გავამრავლებთ 1200 კაცზე, მინიმუმ, რომელსაც ველოდებით, და გავამრავლებთ სამ დღეზე, რადგან სწორედ სამ დღეზეა საუბარი, სადღაც, 40 მილიონამდე უნდა დარჩეს ქვეყანაში. ამის ნახევარიც რომ დარჩეს, ერთი ივენთისთვის, მგონი, საკმარისია“

„რაც შეეხება აეროპორტს, უფრო მშვიდად ვარ. ჩვენ მხარდაჭერა გვაქვს მთავრობისგან, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ კლუბები, დელეგაციები და ოფიციალური სტუმრები სამთავრობო ტერმინალიდან გავიდნენ“

EXCLUSIVE

ბა მუსკომედიის თეატრში, სადაც აკრედიტაციები გაიცემა. გარდა ამისა, სტადიონის უკან, სადგომზე, სადაც 2 ათასი კვადრატული მეტრია, იქნება გაშლილი, ტელევიზიისთვის საჭირო აპარატურა და მედიაცენტრი. ყველა მსურველი და გულშემატკივარი ვერ მოხვდება თამაშზე. ამიტომ, უნდა გაკეთდეს დიდი ეკრანი და ის ზონები, სადაც გულშემატკივარს ექნება საშუალება, უყუროს ამ თამაშს. ამიტომ, მერიამ უნდა გააკეთოს ბიოტუალეტები და სხვადასხვა რაღაცები, რადგან მთავარი კომფორტია. სახლში, ტელევიზორში თამაშის ყურება ყველას შეუძლია. ხალხმა ემოცია უნდა გამოხატოს. ეს შეკითხვები ჰქონდა კახი კალაძეს, რამდენად ემზადება მერია ამის გასაკეთებლად მთელი თბილისის მასშტაბით.

- გაკეთდება ეს ყველაფერი?

- რა თქმა უნდა. მერიც ესწრებოდა ამ შეხვედრას. კომისიის ყველა წევრი იყო. ბევრი საკითხი გავიარეთ. შეხვედრას დაესწრო ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც, რომელმაც არაფინანსურ მიმართულებაზე ისაუბრა. უეფას ძალიან ბევრი პროდუქცია შემოაქვს, საუბარია სტადიონის შეფუთვაზეც. როგორც ხადურმა გვითხრა, შემოსატანი პროდუქცია კოდირებულია და პლომბი ადევს. პირველი მანქანები, საქართველოს მიმართულებით უკვე დაიძრა 10 ივლისს ჰოლანდიიდან. ხელისუფლება მუშაობს ამ მიმართულებითაც.

- ვინ იყო ის ადამიანი, რომელიც თემურ ქეცბაიამაც ახსენა და აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ადამიანი, რომელმაც ბილეთები.გე ამოარჩია ბილეთების გასაყიდად?

- ამ ადამიანის სახელსა და გვარს ვერ გეტყვით. აქ საუბარი არაა მხოლოდ ბილეთებზე. ამ პროცესში თავიდან ბოლომდე ვიყავი ჩართული. როდესაც ეს თემა დაიწყო, უეფამ გამოყო ადამიანი, რომელსაც 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰქონდა გამოცდილება მიღებული. ეს ადამიანი რვა თვეა თბილისში იმყოფება. პირადად ვიყავი დაინტერესებული, ბილეთების გაყიდვის საშუალება ფეხბურთის ფედერაციას ჰქონოდა. ამიტომ, შევიძინეთ პლატფორმა და გავტესტეთ გერმანიასთან თამაშზე. შემდეგ მივმართეთ უეფას, რომ ჩვენთვის, გერმანიასთან გამოცდილების ხარჯზე, ბილეთების გაყიდვის უფლება მოეცა. უეფადან მოვლენილმა პირმა ადგილზე გაიარა კონსულტაცია, შეისწავლა კომპანიები, რომელიც ამ ბაზარე იყო და არჩევანი შეაჩერა ბილეთები.გე-ზე, რადგან მათ ექვსწლიანი გამოცდილება ჰქონდათ. იყო საუბარი ქათერინგზეც. ჩვენ ორი კომპანია შევთავაზეთ, რომელთანაც 5 წელია ვთანამშრომლობთ ჩვენს თამაშებზე და ისინი აკეთებენ კვებას ვიპში. სამწუხაროდ თუ სასიკეთოდ, იმ ორი კომპანიის მაგივრად, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ, სულ სხვა აარჩიეს. სატრანსპორტო კომპანიებზეც იყო საუბარი. გვთხოვეს, ჩვენც მიგვეწოდებინა კომპანიები, სამი შევთავაზეთ, მაგრამ მეოთხე აირჩიეს. საუბარი იყო კვების ობიექტებზე, სადაც უეფას სტაფს უნდა ეჭამა, შევთავაზეთ რესტორნები და სულ სხვა აირჩიეს. საუბარი იყო მძღოლებზე და ისევ სხვა კომპანიაზე შეაჩერეს არჩევანი. აქ ჩამოჰყავთ „ნისანის“ 70 მანქანა, რადგან ამ თამაშის სპონსორია. ამ დღეს ყველა სტუმარი უნდა გადაჯდეს „ნისანზე“ და ისე იარონ ქალაქში, გვინდოდა კვალიფიციური მძღოლები მიგვეწოდებინა, მაგრამ აქაც სხვა აირჩიეს. ბილეთები.გე-სთან რაც დაგვემართა, არ ვიყავით მზად. ეს დაგვემართა ჩვენს მოსახლეობასთან. იყო შეცდომები, რომელიც გადავიტანეთ. ჩვენი ქვეყნის სახე გამოჩნდება იმით, თუ როგორ იმუშავებენ სასტუმროები, რა ტურისტული მარშრუტები იქნება, იქნება თუ არა წიგნები თბილისზე და იმ ადგილებზე, სადაც აუცილებლად უნდა წავიდეს ტურისტი 3-4 დღის განმავლობაში. 202 ტელევიზია უკვე აჩვენებს ამ თამაშს და მოხარული ვარ, რომ არამარტო ევროპაში, სადღაც ზიმბაბვეში და ამერიკაშიც, ვიღაც ადამიანი გაიგებს, რომ არსებობს „ჯორჯია“, საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი. ყველასთვის საბჭოთა კავშირთან ან რუსეთთან ვასოცირდებით. საშუალება მოგვეცა, მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი კულტურა და ფოლკლორი. დარწმუნებული ვარ, მერიამ და ტურიზმის დეპარტამენმა ეს ყველაფერი უკვე გაითვალისწინა და გააკეთა. წიგნებიც უკვე გამოშვებულია. თქვენი მეშვეობით მინდა მივმართო რესტორატორებს, იმ ხალხს, ვინც კვების სფეროშია, ანტიკვარის მაღაზიებს, რომ კარგად მივანოდოთ ჩვენი კულტურა და ისტორია სტუმრებს. უძველესი ერი ვართ და არა 500-600 წლის წინ შექმნილი იმპერია. რამდენად მზად ვართ? - ვფიქრობ, რომ მზად ვართ. სუპერთასზე გახსნას პოლონური კომპანია აკეთებს. ბევრ ფინალზე ვყოფილვარ და მინახავს პერფორმანსები. გამეხარდა, რომ პოლონელებმა თვითონ გაითვალისწინეს და გახსნაზე იქნებიან ქართველი მედოლეები, სუხიშვილები და რამიშვილები. ამით ძალიან ვამაყობ. თუნდაც იმით, რომ 202 ტელევიზიაში, ხალხს საშუალება ექნება, გაიგოს ჩვენი ისტორია და კულტურა. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ, ტურიზმის დეპარტამენტმა და მერიამ ყველაფერი ხუთიანზე გააკეთეს.

- ფეხბურთის ფედერაციას სუპერთასის ბილეთების კორპორატიული გაყიდვის უფლება აქვს. რამდენია თქვენი კვოტა და რამდენი განაცხადი შემოვიდა ამ დროისთვის უკვე ფედერაციაში?

- აგიხსნით, რა არის კორპორატიული ბილეთები. ეს არის სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებისთვის, ჩვენი უმაღლესი ლიგის, პირველი და მეორე ლიგის, ბავშვთა სკოლების, ასოციაციების, შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, მათი უწყებებისა და შემდეგ უკვე შპს-თვის განკუთვნილი. ნორმა აქ ის არის, რომ ყველას უნდა ჰქონდეს ბილეთის შეძენის ერთნაირი უფლება. არიან კომპანიები, სადაც 1000 კაცი მუშაობს, მაგრამ ჩვენ მათ ვერ დავაკმაყოფილებთ. ტურისტულ კომპანიებს უარს ვეტყვით, ყველას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ისინი სთავაზობენ ტურისტებს სასტუმროს, კვებას, ტრანსპორტს და ბილეთს. ბილეთი გახადეს ბიზნესის საგანი. ეს არის თამაში, პირველ რიგში, ჩვენი გულშემატკივარისთვის, უნდა მიხვიდე და ისიამოვნო. თანხა, რომელიც საქართველოში შემოვა, 40 მილიონი იქნება, ათი თუ ერთი ლარი, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. სასწაულებს გვწერენ კომპანიები და სხვადასხვა უწყებები. არის კლუბი უმაღლესი ლიგიდან, რომელმაც ასზე მეტი ბილეთი მოითხოვა. სირცხვილია ამაზე ლაპარაკი, როდესაც შენ არ გაქვს შემოტანილი კონტრაქტები, არ იცი შენი ფეხბურთელების რაოდენობა. რაზეა გათვლილი ეს, არ მესმის.

- ყველაზე მეტი ბილეთი ვინ მოითხოვა?

- სიმართლე გითხრათ? კარგად დაჯექით - 1500 ბილეთზე მეტი მოითხოვეს. რომელი კომპანიაა, არ გეტყვით. სამთავრობო უწყებებიც ითხოვენ გარკვეულ ოდენობას. სანამ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, კამერებში ვხედავ, რომ კიდევ შემოიტანეს განცხადებები ბილეთებზე. ყოველდღე მოდის. ახლა დედლაინს დავთქვამთ. 4 ათასი ბილეთი გვაქვს და რაც მოგვწერეს უკვე, 11 ათასს გადააჭარბა. არის კომპანიები, რომლებიც 1500 ბილეთს ითხოვენ, მაგრამ უარი იქნება. თუმცა, პირობას გაძლევთ, რომ ყველა კომპანიას სათითაოდ გავივლი, დავაკმაყოფილებ, მაგრამ რაოდენობა შეიცვლება. სატრანსპორტო კომპანიიდან იყო შემოსული წერილი, 300 ბილეთს გვთხოვდნენ. ოფიციალური წერილი გადავეცით და ტრანსპორტის ოდენობა მოვითხოვეთ, მოგვწერეს, რომ 17 ერთეული ტრანსპორტი ჰყავთ. რაზეა ლაპარაკი აქ. შეიძლება გყავდეს 17 მძღოლი, 10 მექანიკოსი, 10 ხელმძღვანელი პირი და კიდევ ათი სხვა რამე, მაგრამ 50-ს ვერ გასცდება. თუ მე იმას დავთანხმდები, რომ ეს მოთხოვნები არათანაბრად დავაკმაყოფილო, გულშემატკივრის თვალში ცუდი კაცი ვიქნები. მინდა, ყველა დაგარწმუნოთ, რომ სათითაოდ გავივლი ყველა კომპანიას და არ მივცემ არც ერთ კლუბს თუ ფედერაციას იმის უფლებას, რომ გარკვეული პრივილეგია ჰქონდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახა მახარაძის უზბეკური კარიერა

„კაპიტნობა ძნელიც არის და ამავდროულად იოლიც, მაგრამ სასიამოვნოა“

„ექვსი წელია, აქეთ ვარ და რასაც ბოლო წლებში ვხედავ და მესმის, ამბობენ, რომ უკან და უკან მიდის ქართული ფეხბურთი“

მაგდა კლდიაშვილი, ტაშკენტი

ტაშკენტის „პახტაკორს“ ორი წელია, ქართველი კახა მახარაძე კაპიტნობს. ფეხბურთელი უზბეკების ყველაზე საყვარელ გუნდში 2011 წლიდან ირიცხება და დღეს იქაური გულშემატკივრების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფეხბურთელია. „პრაიმტაიმი“ ტაშკენტში „პახტაკორის“ თამაშზე იმყოფებოდა, სადაც მასპინძლებმა პრინციპული მეტოქე „ნასაფი“ დაამარცხეს და ლიდერობა გაიმყარეს. მატჩის შემდეგ, კახა მახარაძეს შევხვდით და მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ – უზბეკურ კარიერაზე, კაპიტნობაზე, ნაკრებსა და ოჯახზე.

– რამდენად ადვილი იყო უზბეკეთში თავის დამკვიდრება და კაპიტნის სამკლაურის მოპოვება?

– თავიდან იყო ძნელი, როცა ჩამოვედი. უცხო ქვეყანაში რომ ჩამოდიხარ, ყველაფერი სხვანაირადაა, ისე არა, როგორც შენ გინდა, მაგრამ თითქმის ორ თვეში ყველაფერი დალაგდა. თავიდან, კონტრაქტი ტაშკენტის „ლოკომოტივთან“ მქონდა. წელიწად-ნახევარი ვითამაშე „ლოკომოტივში“ და შემდეგ გადმოვედი „პახტაკორში“. მეხუთე წელია ამ გუნდში ვარ, ორი წელია, რაც ვკაპიტნობ. როგორც საქართველოშია „დინამო თბილისი“, ისეა აქ „პახტაკორი“, ხალხის საყვარელი გუნდია. კაპიტნობა ძნელიც არის და ამავდროულად იოლიც, მაგრამ სასიამოვნოა.

– როგორც ვნახე, ოჯახიც აქ გყავთ. ოჯახმა გაგიიოლა აქაურობასთან ადაპტირება?

– კი. ჩემი ოჯახი სულ ჩემთან არის. ხანდახან მიდიან, მაგრამ უმეტესად ტაშკენტში არიან.

– სკოლასა და ბაღშიც ტაშკენტში დაგყავთ?

– არა. საქართველოში არიან ბავშვები, ზაფხულობით ჩამოდიან, ერთი სკოლაში დადის და მეორე – ბაღში, ხშირად მეც ჩავდივარ საქართველოში.

– ზამთარში, როდესაც „პახტაკორი“ ანტალიურ შეკრებაზე იმყოფებოდა, მოლაპარაკებებს ყაზანის „რუბინთან“ აწარმოებდი, რატომ ჩაიშალა ეს ტრანსფერი?

– გარკვეული პირობები იყო. ჩავედი გუნდში, თითქმის ყველაფერი მოგვარებული იყო, მაგრამ ყურბან ბერდიევი სამსახურიდან წავიდა და ჩემი ტრანსფერიც შეფერხდა თუ გადაიდო, არ ვიცი.

– ბოლო დღეებში შენს სახელს აქტიურად უკავშირებენ თბილისის „დინამოს“ სახელსაც, რეალურად რა ხდება? აპირებ „დინამოში“ გადასვლას?

– დაინტერესება იყო. ავუხსენი მათ ჩემი სიტუაცია. ასე, უბრალოდ, ვერ ავდგები და ვერ წამოვალ-მეთქი. არ შემიძლია, შეთანხმება თუ არ იქნება „პახტაკორთან“. აქ კონტრაქტი მაკავშირებს კიდევ და ასე ადვილად არ ხდება ტრანსფერები.

– არ აპირებთ აქაურობის დატოვებას?

– ჯერჯერობით – არა, რადგან კონტრაქტი მაქვს „პახტაკორთან“.

– რა პრინციპული განსხვავებებია უზბეკურ და ქართულ ფეხბურთს შორის?

– სიმართლე გითხრათ, დიდი ხანია არ მინახავს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის თამაშები. ექვსი წელია, აქეთ ვარ და რასაც ბოლო წლებში ვხედავ და მესმის, ამბობენ, რომ უკან და უკან მიდის ქართული ფეხბურთი. დონეს თუ შევადარებთ, შეიძლება ცოტა უფრო ძლიერი ჩემპიონატი ჰქონდეს უზბეკეთს. ფინანსები მაღალია, სტადიონები – მონესრიგებული. საქართველოში ორი-სამი გუნდია, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის, აქ უფრო მეტი და უფრო საინტერესოა ჩემპიონატი.

– ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუგეთ „ნასაფს“, ისევ ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძვით?

– ამას 100%-ით შევეცდებით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ტიტული შევინარჩუნოთ. დღეს მართლაც მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ და დიდი ნაბიჯი გადავდგით ჩემპიონობისკენ. გაგვიმართლა, „ნასაფი“ 3:1 დავამარცხეთ, ვულოცავ ჩემს გუნდელებს და ჩვენს გულშემატკივარს.

– კახა ცხადაძემ საქართველოს ნაკრებში გამოგიძახა. მალტასთან კარგად გამოიყურებოდი, თუმცა გერმანიასთან დამფრთხალი ჩანდი, რაც აღნიშნე კიდეც შემდეგ ინტერვიუში. შეგეშინდა გერმანელების წინააღმდეგ თამაშის?

– როგორ გითხრათ, როდესაც გერმანიასთან თამაშობ, უკვე ფიქრობ, რომ მეორე ნომერი ხარ იმ შეხვედრაში. წესით, არ უნდა ვიფიქროთ, მაგრამ ისინი მსოფლიო ჩემპიონები არიან და გინდა თუ არა ეს შენ, თავში მაინც ასე გიჯდება, რომ ისინი მსოფლიო ჩემპიონები არიან, შენ კი მათი მდევარი და შენს შანსს უნდა დაელოდო. ასეთი ფაქტორი იყო. არ მინდოდა, რამე გამეფუჭებინა, ან შეცდომა დამეშვა, მაგრამ ფეხბურთში ასეა, თუ შრომობ, იქ შეცდომებიც მოგდის, სხვანაირად ვერ გამოასწორებ შეცდომას.

– თამაშის შემდეგ კახამ გაგამხნევათ?

– კი. ზოგადად, ნაკრებში ნორმალური მდგომარეობაა, ურთიერთობებიც კარგია. უკრაინისა და პოლონეთის წინააღმდეგ არ მითამაშია, მაგრამ გუნდმა კარგი შეკრება გაიარა. თამაშისას მწვრთნელი არჩევს იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც მოედანზე გაიყვანს.

– საქართველოს ნაკრებმა ამ ორივე შეხვედრაში განსხვავებული ტაიმები ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ტაიმი შეგვიძლიათ სირბილი. ყველაზე მეტად რისი პრობლემა აქვს ნაკრებს, გამძლეობის?

– ეს შეიძლება დააბრალო კონცენტრაციას, არამობილიზებულობას. გვინდოდა, რომ პოლონეთთან ანგარიში გაგვეთანაბრებინა და ქართველი გულშემატკივარი გაგვეხარებინა, მაგრამ მეორე გოლი გაგვიტანეს. შემდეგ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ ერთი ბურთი მაინც გაგვექვითა და საბოლოოდ, სამ წუთში ორი გოლი მივიღეთ კარში. საკმარისი არ აღმოჩნდა ჩვენი მონდომება.

– არასპორტულ თემებსაც შევეხოთ, როგორია თქვენი ცხოვრება ტაშკენტში, როგორ ცხოვრობთ, რას აკეთებთ, ქალაქი როგორია?

– ქალაქი წყნარია. რაც მთავარია, ომი და ჩხუბი არ არის. ყველა წყნარად ლაპარაკობს. ჩემი განრიგია ვარჯიში, სახლში ოჯახთან ერთად ყოფნა, თუ ბავშვები აქეთ არიან, პარკში, აუზზე დავდივართ, თუ ბავშვები არ არიან, მე და მეუღლე ვცდილობთ, სხვა რამით დავკავდეთ, სხვა რამით გავერთოთ.

– როდესაც ოჯახი არ გყავთ აქ, როგორ უმკლავდებით მარტოობას, ცოლი არ ეჭვიანობს?

– შეიძლება ეჭვიანობს კიდეც, მაგრამ არ იმჩნევს.

– ტაშკენტში ძალიან უყვართ ქართველები, ეს ადვილი შესამჩნევია...

– კი, ნამდვილად ასეა. ახსოვთ თბილისის „დინამო“. შარშან იყვნენ კიდეც ვეტერანები ჩამოსულები. კარგი დახვედრა მოუწყვეს. უფრო კარგი იქნება, თუ მეტად დათბება ჩვენი და უზბეკების ურთიერთობები.

დედა, რომელმ

ნელი თორდია

2013 წლის 25 მაისს საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში მოკლული ხუთი წლის ბავშვის დედა შეიწყალა. მაია გელდიაშვილი 2011 წლის თებერვალში შვილის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, სამი შვილის დედამ უფროსი შვილი, ხუთი წლის შალვა წიკლაური ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლა. მედიაში გავრცელდა დედის შოკისმომგვრელი აღიარება: „ბავშვს მანამდე ვცემდი, სანამ გონებას არ დაკარგავდა. ამჯერადაც ასე იყო. შეშის ნაპობი გათიშვამდე ვურტყი, მერე იატაკზე მთელი ძალით დავახეთქე. როცა დავეჭვდი, რომ გონს ვეღარ მოვიდოდა, ვცადე, ენა ამომეწია. კბილები ხელს მიშლიდა, ამიტომ კოვზით ჩავუმტვრიე“.

ამ ტრაგედიის შემდეგ მაია გელდიაშვილის ქმრის ნათესავები და მეზობლები ერთხმად ალაპარაკდნენ, რომ დედა შვილს სადისტურად ექცეოდა, ასაკის შეუფერებელი სამუშაოს შესრულებას ავალებდა და გამუდმებით სცემდა. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მაია გელდიაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) გაასამართლა, რაც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. განსასჯელს ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელმაც დაასკვნა, რომ მაია გელდიაშვილმა მკვლელობა შეზღუდული შეურაცხადობის მდგომარეობაში ჩაიდინა. მოქმედი კანონმდებლობით, ასეთ ადამიანს ჩვენების მიცემა შეუძლია და კანონითაც ისჯება, მაგრამ გელდიაშვილს ციხეში ყოფნის პერიოდში ახალი დაავადება – პარანოიდული ფსიქოზი დაემატა. საბოლოოდ, სასამართლომ გელდიაშვილი შეურაცხადად ცნო და ჩადენილი დანაშაულისთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა.

მალე მიხეილ სააკაშვილს, მაია გელდიაშვილის განთავისუფლების რეკომენდაციით, შეწყალების სახელმწიფო კომისიამ მიმართა. „ჩვენ მივეცით დადებითი რეკომენდაცია, რადგან ჩავთვალეთ, რომ ეს არ იყო განზრახ მკვლელობა. ბავშვი ცელქობდა, დედამ მას დაარტყა, ბავშვი დავარდა და გარდაიცვალა. ამ ქალს კიდევ ორი შვილი ჰყავს და გვქონდა ინფორმაცია, რომ ქალბატონი პრაქტიკულად ვერ არის, იქიდან გამომდინარე, რაც მოხდა“. – განაცხადა მაშინ კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. კომისიისა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევდა, რომ, როცა საპყრობილეში ერთი ფუნთუშის ან თუჯის ქვაბის მოპარვისთვის გასამართლებული ადამიანები სხედან, შვილის მკვლელობისთვის დაპატიმრებული დედის შეწყალება უზნეობაა. როგორც გავარკვიეთ, საპყრობილეში ყოფნის პერიოდში მაია გელდიაშვილთან გარკვეული სახის სამუშაოებს აწარმოებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“, ამიტომ გახმაურებულ საქმეზე კომენტარი ორგანიზაციის იურისტს **მანანა ფურცხვანიძეს** ვთხოვეთ:

– იმ პერიოდში ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა პროექტი, რომელიც მკვლელ დედებთან გარკვეული სახის კვლევებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსის ჩატარებას ითვალისწინებდა. პატიმრებს რეაბ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲐᲪ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲙᲚᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲘᲜᲧᲐᲚᲐ



ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲪᲔᲛᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲠᲝᲛ ᲮᲛᲐ ᲐᲛᲝᲔᲚᲝᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲓᲔᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ

„ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲔᲖᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲔᲙᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲘᲗᲘ ᲓᲐᲕᲐᲙᲐᲠᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲘᲝ“

„ᲩᲔᲛᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲙᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲛ ᲐᲥᲪᲘᲐ“

ილიტაციის ფარგლებში თუ რაიმე საკითხის მოწესრიგება სჭირდებოდათ, ჩემთან, იურისტთან და სოცმუშაკთან საუბრობდნენ. შვილის მკვლელობაზე გასამართლებულთა კატეგორიაში შედიოდნენ დედები, რომლებმაც 5 და 6 თვის ასაკის ნაყოფი მოიცილეს, გაჩენილი ბავშვი სადღაც მიაგდეს და ა.შ. ვცდილობდით, ამ ქალებთან მუშაობით მომხდარის მიზეზები დაგვედგინა. საკუთარი შვილის მკვლელობის ბრალდებით იმ პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 18 ქალი იმყოფებოდა. თვრამეტიდან ერთადერთი, რომელიც დანაშაულს სრულიად აღიარებდა და არაფრის მიჩქმალვას არ ცდილობდა, მაია გელდიაშვილი იყო. ეს ქალი ჩემთან ბავშვებთან ურთიერთობის აღდგენის საკითხზე მოვიდა, მაგრამ ვერაფრით დავეხმარეთ, რადგან მშობლის უფლების აღდგენამდე ბავშვის ნახვის უფლებას არავინ მისცემდა. ქალი გამუდმებით იმეორებდა, მე ისეთი რამე ჩავიდინე, რაც არც ღმერთისგან და არც ადამიანებისგან არასოდეს მეპატიებაო. როცა კარგად გამოვიკვლიე მისი ისტორია, აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანს ძალიან რთული ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი.

– ეს შვილის მკვლელობას არ ამართლებს.

– რა თქმა უნდა. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლისთვის ძალადობრივი გარემო ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მას სხვა გარემო არ უნახავს. ფაქტობრივად, ბავშვის ცემა მაია გელდიაშვილისთვის აღზრდის ერთადერთ მეთოდს წარმოადგენდა. მას ჰყავდა მშობლები, რომლებიც ლოთობდნენ და მომთაბარე ბომჟებივით ცხოვრობდნენ. გარკვეული ანაზღაურების ფასად, მეზობლების საქონელს მწყემსავდნენ და სადაც საქონელს აძოვებდნენ, იქვე კარვებში ეძინათ. აქედან თავი რომ დაეღწია, მაია ადრეულ ასაკში გათხოვდა, მაგრამ მეუღლე მის მშობლებზე უარესი აღმოჩნდა. მაიას ქმარიც სცემდა და დედამთილიც და ეს ჩვეულებრივად მიაჩნდა, რადგან ლოთი მშობლების ხელში ბავშვობიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო. როცა სიტუაცია აუტანელი გახდა, ქალი ქმრის ოჯახიდან წამოვიდა და პირველი ქორწინებიდან შეძენილი შვილი შალვა წამოიყვანა. მეორე ქორწინება უფრო გამოსავლისა და თავშესაფრის ძიება იყო. მშობლებმა მაია და მისი შვილი, ფაქტობრივად, თავიდან მოიშორეს და მათთან ერთად რომ ლოთობდა, ისეთ კაცს გააყოლეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე ქორწინებაშიც იგივე გამეორდა – ეკონომიკური სიდუხჭირე, ჩხუბი, ლანძღვა-გინება და ცემა-ტყეპა. კითხვაზე, რომელ ბედნიერ დღეს გაიხსენებდა თავისი ცხოვრებიდან, ქალმა თითქმის ვერაფერი გაიხსენა.

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲘᲧᲝ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ“

– ბავშვის მკვლელობის მომენტს როგორ იხსენებდა?

– იხსენებდა, რომ ბავშვმა გააბრაზა და რაღაც მომენტში, სრულიად გაუცნობიერებლად ხელი მოუქნია. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ მოეკლა, მაგრამ შედეგი ასეთი დადგა. ამბობდა, მთელი ცხოვრება ცემაში გავატარე და მინდოდა, შვილები ისე გამეზარდა, რომ მათთვის თითი არ დამეკარებინა, მაგრამ დავაკარე კი არა, მოვკალიო. ექსპერტის დასკვნიდან ჩანდა, ტრაგედიის მომენტში ქალი ნორმალურ ფსიქიკურ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, ამიტომ ფსიქიატრიული ციხე მიუსაჯეს. მერე გამოჩნდნენ ბავშვის მამიდაც და მეზობლებიც, რომლებიც ამბობდნენ, რომ ყველამ იცოდა, რომ დედა შვილს ხშირად სცემდა. მანამდე რომ ხმა ამოეღოთ, ბავშვიც გადარჩებოდა და არც დედა გახდებოდა მკვლელი. იქ იყო სოცმუშაკიც, პოლიციაც, ბაღიც, სკოლაც და ათასი ვინმე, ვისაც ბავშვზე ძალადობის ფაქტზე რეაგირება ევალებოდა.

– იმ პერიოდში საპყრობილეში ძალიან ბევრი ადამიანი გაცილებით მსუბუქი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. მათ შორის ბევრი ინანიებდა, მაგრამ ყველას ისე არ გაუმართლა, როგორც ამ ქალბატონს.

– დიახ. ჩვენი შეხვედრიდან მოკლე დროში მიხეილ სააკაშვილმა შეწყალებით ბევრი პატიმარი გამოუშვა. მათ შორის იყვნენ მძიმე დანაშაულებში ბრალდებულებიც და მათ შორის გელდიაშვილიც. არ ვიცი, როგორ მოხვდა პრეზიდენტის სიაში ეს „უპატრონო“ ქალი, იმიტომ, რომ მისი ციხიდან გასვლით ნამდვილად არავინ იქნებოდა დაინტერესებული, მაგრამ იმდენად უწყინარი იყო და ციხის ადმინისტრაციიდან იმდენად კარგი დახასიათება ჰქონდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. სანამ ამ ქალს ვნახავდი და გავიცნობდი, ერთგვარი აგრესიით ვიყავი მის მიმართ განწყობილი. ჩემს თვალში ეს იყო დედა, რომელმაც საკუთარი შვილი მოკლა, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ მკვლელად ის გარემომ აქცია.

– თუ იცით, ამჟამად სად იმყოფება ეს ადამიანი და მიეცა თუ არა ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, შვილებთან ურთიერთობის უფლება?

– მას მშობლის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. მშობლის უფლების დასაბრუნებლად, თვითონ უნდა მიემართა შესაბამისი უწყებებისთვის, მაგრამ ეტყობა, ამის ძალა და ენერგიაც აღარ ჰქონდა. ნამდვილად არ ვიცი, ამჟამად სად არის, როგორ არის და საერთოდ, ცოცხალია თუ არა. როგორც დუშეთის რაიონის სოცმუშაკისგან გავიგე, ფსიქიატრიული წამლების გავლენის ქვეშ იყო, ბავშვთან ურთიერთობის უფლება არ ჰქონდა და, ალბათ, ამან მიაღებინა ქვეყნიდან წასვლის გადაწყვეტილება. როგორც ვიცი, საცხოვრებლად ძმასთან ვლადიკავკაზში გადავიდა და ამის შემდეგ მის შესახებ არავის არაფერი სმენია.

ორი წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეწყალების სახელმწიფო კომისიის იმდროინდელი ხელმძღვანელის პოზიციითაც დავინტერესდით და კომენტარისთვის ელენე თევდორაძეს დავუკავშირდით. ქალბატონმა ელენემ გვიპასუხა, რომ მაშინ ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა და ეს კონკრეტული საქმე არ ახსენდება.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

მაგდა კლდიაშვილი

უეფას სუპერთასის გახსნის ღონისძიებაზე სუხიშვილები და რამიშვილები იცეკვებენ

11 აგვისტოს საქართველოს დედაქალაქი უეფას სუპერთასს უმასპინძლებს.
სუპერთასის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს პოლონური კომპანია აკეთებს. უეფას გადაწყვეტილებით, გახსნის ცერემონიალები მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება და აქცენტი სანახაობაზე და მოკლე პერფორმანსზე კეთდება.
როგორც სფფ-ს პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ უთხრა „პრაიმტაიმს“, პოლონურმა კომპანიამ გაითვალისწინა ქართული ფოლკლორის ელემენტები და გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე ქართველი მედოლეები გამოჩნდებიან, რამიშვილები და სუხიშვილები კი იცეკვებენ.
სუპერთასისთვის ბრძოლაში ერმანეთს ორი ესპანური გრანდი, „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდებიან.

პაპუნა მოსემღვდლიშვილი ბელარუსში გადადის

ბოლნისის „სიონის“ ახალგაზრდა მცველი, პაპუნა მოსემღვდლიშვილი სათამაშოდ ბელარუსში გადადის.
21 წლის მცველი „სლავია მოზირის“ მთავარ მწვრთნელს, იური პუნტუშს მოსწონს და სწორედ მისი სურვილით მოხდა ფეხბურთელის წაყვანა ბელარუსში.
ბელარუსში ახლა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო, „სლავია“ კი 13 ტურის შემდეგ, ცხრილში 16 ქულით მე-9 ადგილზე იმყოფება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზაზა ფაჩულია გუნდს იცვლის

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა, ზაზა ფაჩულიამ გუნდი შეიცვალა.

ქართველი კალათბურთელი „დალას მავერიკსში“ ითამაშებს და დალასელთა ძირითადი ცენტრი იქნება. ფაჩულიას ტეხასურ კლუბში გადასვლის ამბავი ჯერ ოფიციალურად არ გახმაურებულა, თუმცა ამერიკული გამოცემები ამ ამბავზე უკვე წერენ.

როგორც ცნობილია, ზაზა ფაჩულიას ტრანსფერი რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. ერთ-ერთი ისაა, რომ „მიულოკი ბაქსმა“ ახალგაზრდა ცენტრი, გრეგ მონტრო დაიმატა, თავად „დალასს“ კი უარი უთხრა დეანდრე ჯორდანმა, მათივე მეფარე ტაისონ ჩანდლერმა კი „მავერკისიდან“ „ფენიქსს“ მიაშურა.

ჯაბა დვალი ფორმას „საბურთალოში“ ვარჯიშით ინარჩუნებს

მოლდოვური „დაჩიას“ ქართველი თავდამსხმელი, ჯაბა დვალი „საბურთალოში“ ვარჯიშობს.

გამოცდილ თავდამსხმელს კიშინოველებთან კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ფეხბურთელმა გუნდში დაბრუნებაზე უარი განაცხადა, კონტრაქტის დარღვევისთვის კი მოლდოველები 30 ათას დოლარს ითხოვენ, რომლის გადახდაც დვალში დღეს არც ერთ ქართულ კლუბს არ სურს.

არსებული ვითარების გამო, დვალს ისღა დარჩენია, ფორმა ვარჯიშით შეინარჩუნოს. ამაზე კი უარი, ყოფილმა მწვრთნელმა, გია ჭიაბრიშვილმა არ უთხრა და თავის გუნდში ავარჯიშებს.

რამდენად გადაიხდის სპორტის მინისტრის, ტარიელ ხეჩიკაშვილის გუნდი დვალში 30 ათას დოლარს, ტრანსფერის გამოსასყიდად, რთული სათქმელია. სხვა შემთხვევაში, დვალი უგუნდოთა სიაში დარჩება და იმის იმედზე იქნება, ვინც ამ თანხის გადახდას შეძლებს.

ბექა ტულუში ნიკა საბანაძის მხარდამხარ ითამაშებს

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 26 წლის თავდამსხმელი, ბექა ტულუში კვიპროსში იმყოფება და „ეთნიკოსთან“ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. თავად საბანაძემ „ეთნიკოსთან“ უკვე გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი, ახლა კი მას, თავისი ყოფილი თანაგუნდელი შეუერთდება ქუთაისის „ტორპედოდან“. ორივე ფეხბურთელი პოზიციით თავდამსხმელია და გამოდის, რომ სწორედ ქართველთა შემტევი დუეტით აპირებს კვიპროსული გუნდი ახალი სეზონის დაწყებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საარჩევნო სიაზე მუშაობა



„მოვდიოდით, უნდა დაგვემარცხებინა „ნაციონალური მოძრაობა“. იმ დროს ამ ამოცანის განხორციელების პროცესმა ბევრი სახელოვანი ადამიანის შემოყვანა გამოიწვია პოლიტიკაში. მათგან ზოგმა იპოვა თავისი ადგილი, ზოგმა – ვერა“

ქეთი ხატიაშვილი

როგორი იქნება საარჩევნო მარათონი, როდის დაიწყებს მმართველი კოალიცია საარჩევნო სიაზე მუშაობას და როგორია პროგნოზები. „პრაიმტაიმი“ ლევან ბერძენიშვილს ესაუბრა. და თავისთავად, რესპუბლიკელებზე ვერ ისაუბრებ, თუკი მათ შესახებ გავრცელებულ არაერთ სკანდალურ თუ ხმაურიან ჭორს არ შეეხე.

ბოლო ინფორმაციით, რესპუბლიკელები დახურულ კარს მიღმა საუბრობენ, რომ ივანიშვილს აბალანსებენ და ამიტომ რჩებიან კოალიციაში. ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი ხდება:

– არა, მსგავსი არაფერი ვიცი და არ არსებობს. რესპუბლიკურ პარტიაზე ზოგჯერ ისეთ რამეებს მეუბნებიან, გაკვირვებული ვრჩები. მსგავსი არაფერი ყოფილა. რესპუბლიკური პარტია კოალიციაში რჩება იმიტომ, რომ საქმე გააკეთოს და ის დაპირებები შეასრულოს, რაც მოსახლეობას მისცა. სხვა ამოცანები არ გვაქვს.

– რამდენიმე ხნის წინ დავით უსუფაშვილმა კოალიციაში არსებულ დისკომფორტებზე ღიად ისაუბრა, ახლა ეს დაძაბულობა თუ გაუგებრობა მოიხსნა?

– კოალიციაში განსხვავებულ იდეოლოგიათა პარტიები შედის და, რა თქმა უნდა, გარკვეული საკითხები ყოველთვის არის, მაგრამ ისეთი მწვავე ამბები, როგორც ადრე იყო, ახლა აღარ არის.

– საარჩევნო მარათონს ვუახლოვდებით და კვოტებზე ან საარჩევნო სიებზე საუბარი უკვე დაიწყო?

– არა, ჯერ არა, მაგრამ აუცილებლად დაიწყება. ნამდვილად ვიცი, არ დაწყებულა. დაიწყება... ეს დაიწყება ახალი სეზონიდან აუცილებლად.

– კოალიციის შიგნით ხშირად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კეთდება ხოლმე, მათ შორის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. არ ფიქრობთ, რომ საარჩევნო სია ასეთი განწყობებისგან უნდა გაიწმინდოს?

– კოალიციის ცალკეული წევრების განცხადებები არსებობს, მაგრამ კოალიციას ჰყავს პოლიტიკური საბჭო, ცალკეული წევრების განცხადებას მნიშვნელობა არ აქვს. ის რომ პარტიები თავის რიგებს გადახედავენ, ეჭვს არ იწვევს. კოალიციაში ეგ არის საინტერესო სწორედ, მაგალითად, რესპუბლიკელები ვის შეიყვანთ საარჩევნო სიაში, ეს ჩვენი საქმეა, არავის ეკითხავთ. და ჩვენც ვერავის ვუკარნახებთ, ვინ უნდა იყოს იგივე „ქართული ოცნებისა“ თუ მრეწველების სიაში, ეს მათი გადასაწყვეტია. მაგრამ რამდენადაც ვიცი და რამდენიმე შეხვედრიდან გამოჩნდა, სერიოზული გადახალისება იქნება საარჩევნო სიის.

– მიუხედავად იმისა, რომ განცხადებებს ცალკეული დეპუტატები აკეთებენ, არ ფიქრობთ, რომ ეს საზოგადოებასაც აბნევს და ოპონენტებიც იყენებენ ინტერპრეტაციებისთვის, შესაბამისად, ისინი, ალბათ, აღარ უნდა იყვნენ სიაში...

– „ქართულ ოცნებას“ გამოცხადებული აქვს თავისი მიზნები, ჰყავს პოლიტიკური საბჭო, ჰყავს ხელმძღვანელი, დამფუძნებელი, ასეთი მნიშვნელობის პოლიტიკური განცხადებები პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გააკეთონ, ცალკეული პირების მოსაზრებები, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურად კორექტული არ არის... თუ იგულისხმება ერთი-ორი წინადადება, რომელიც ჩვენს დასავლურ ან ნატოსკენ მისწრაფებებს ეხება, ამ შემთხვევაში, იმ კაცმა თქვა: ვიცი, გამკიცხავენო და სწორად თქვა. გაკიცხავენ აუცილებლად. იმიტომ, რომ ნატოსკენ მისწრაფება არ არის დღევანდელი პარლამენტარების გადასაწყვეტი, ეს არის საკითხი, რომელიც ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა, აზრი არ შეუცვლია და არც შეიცვლის. ცალკეულ განცხადებებს სერიოზული ცვლილებების შეტანა არ შეუძლია, თუმცა, არ არის სასარგებლო ჩვენი საგარეო პოლიტიკისთვის. მე როგორც ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, გეუბნებით, ეს განცხადებები წინ მხვდება, ევროპაში მეკითხებიან: თქვენ მართლა გინდათ, იმიტომ რომ პარლამენტარმა გააკეთა ასეთი განცხადება და სხვა. ეს ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს და მეტი სიფრთხილეა საჭირო.

– დავით უსუფაშვილმა ერთხელ განაცხადა, მეტი იურისტი და ეკონომისტი გვჭირდება პარლამენტშიო, ახლა ძირითადად მსახ-

ბურჯანაძე პუტინს ა

„2008 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების გაჩენას მიუღებლად მივიჩნევ“

ქეთი ხატიაშვილი

შთაბეჭდილების მოხდენას საარჩევნო მარათონზე ყველა თავისებურად ცდილობს. ნაცები და ქოცები ერთმანეთს პროდასავლურ სარბიელზე ეჯიბრებიან. ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ საქართველო ცივილიზებულ გზაზე დააყენონ. თავისუფალი დემოკრატები კაბელების საქმეზე „გაიჭედნენ“. ეს ერთადერთი „პროექტია“, რომელსაც ისინი საარჩევნო მარათონისთვის აქტიურად იყენებენ. სხვა შთაბეჭდილებას ჯერჯერობით ვერ გვთავაზობენ.

თუმცა, როგორც იტყვიან, სულ სხვა არის ნინო ბურჯანაძის შთაბეჭდილება. თუ ნაცები და ქოცები ცდილობენ წარმატებულ პროდასავლურ და პროგრესულ საზოგადოებასთან საკუთარი თავისა და კოალიციის ასოცირებას, ნინო ბურჯანაძე დეპრესიულ პოლიტიკოსს უფრო ჰგავს, რომელმაც მთელი დასავლეთი მოიარა კარიერის პიკზე და პუტინით ასრულებს პოლიტიკაში მოღვაწეობას.

არჩევნები ახლოვდება და ის ისევ მოსკოვში გაემგზავრა. ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის მოსაზრებით, „ჩვენ ჯერ ნინო ბურჯანაძის შთაბეჭდილებებს უნდა დაველოდოთ და დასკვნები შემდეგ გავაკეთოთ“.

ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ პრორუსულის სტატუსი ბურჯანაძეს ნაციონალებმა მას შემდეგ მიანიჭეს, რაც ის ოპოზიციაში გადავიდა. თუმცა, ექსპერტი იქვე ადასტურებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის შემდეგ ნინოს მოუწია თავისუფალი სივრცის ათვისება, რომელიც პრორუსობით კი არა, პროსაბჭოთა განწყობებით გამოირჩეოდა:

– ნინომ მაშინ პროსაბჭოთა განწყობების სივრცე დაიკავა, რომელიც თავისუფალი იყო.

თავად ბურჯანაძემ მოსკოვში „რასია 24“-ს მისცა ინტერვიუ:

„რა თქმა უნდა, ანტირუსული განწყობა იყო და არის, რადგან ბოლო წლებში სერიოზულად მუშაობდნენ ამ მიმართულებით. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეცდომები ორივე მხრიდან იყო დაშვებული. დღეს რუსეთთან ურთიერთობა უფრო ცივილიზებულია, თუმცა, სამწუხაროდ, ქართულ მხარეს არ ჰყ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აუცილებლად დაინყება...“

ლევან ბერძენიშვილი: „რესპუბლიკურ პარტიაზე ზოგჯერ ისეთ რამეებს მეუბნებიან, გაკვირვებული ვრჩები“

იობები და სპორტსმენები არიან, შეიცვლება ეს თანაფარდობა?

– ეგ სპეციფიკური მომენტი იყო. მაშინ მოვდიოდით, უნდა დაგვემარცხებინა „ნაციონალური მოძრაობა“. იმ დროს ამ ამოცანის განხორციელების პროცესმა ბევრი სახელოვანი ადამიანის შემოყვანა გამოიწვია პოლიტიკაში. მათგან ზოგმა იპოვა თავისი ადგილი, ზოგმა – ვერა. ეს გადაიხედება, მაგრამ გადახედვა არ ნიშნავს, რომ ყველა იურისტი ან ეკონომისტი იქნება. ვაცლავ ჰაველი დრამატურგი იყო. ჰაველის მაგვარი რომ მოგვცა ვინმე, არ იქნებოდა ურიგო. რა თქმა უნდა, არავითარი შეზღუდვა არ იქნება. თუმცა, როცა პარლამენტში იურისტების დეფიციტია და კანონს 2-3 კაცი წერს, ეს დრამატულია. მაშინ როცა უსუფაშვილმა ეს განცხადება გააკეთა, სამი იურისტი შემოგვემატა პარლამენტში. ბევრს ეტკინა, მაგრამ ეს მართალი იყო. მერე შემოვიდა, მაგალითად, კორძაია, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია პარლამენტისთვის, ვიდრე სხვა სფეროში ძალიან განთქმული ზოგი ადამიანი.

– თქვენ თქვით, რომ თავის დროზე კოალიცია შეიქმნა ხელისუფლების დასამარცხებლად, სააკაშვილის წინააღმდეგ. რა იქნება ის ბრენდი, რომელსაც ახლა „გაყიდის“ კოალიცია ელექტორატზე?

– ჩემი აზრით, დადგა არა ვინმეს წინააღმდეგ ბრძოლის, არამედ პოზიტიური პროგრამების დრო. და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა გაცილებით პოზიტიური არჩევნები იქნება, ვიდრე მაშინ. მაშინ იყო შავ-თეთრი, ახლა მეტი სპექტრია. „ქართული ოცნება“ არჩევნებს აუცილებლად მოიგებს, მაგრამ საარჩევნო მარათონი ისეთი სამკვდრო-სასიცოცხლო არ იქნება, როგორც მაშინ იყო. იმხელა სოციალური რესურსიც აღარ დაიხარჯება. უკეთესი პარლამენტი გვექნება. არ წავალთ იმაზე, რომ ცნობადი სახეებით მოვიგოთ, უნდა მოვიგოთ კვალიფიკაციით და სერიოზული იდეებით, მათ შორის ისეთი დაპირებებით, რომელთა შესრულებაც ეჭვს არ გამოინვევს.

– ითქვა, რომ რესპუბლიკელები შსს-ს გაყოფას ელოდებიან და შს მინისტრობას მოთხოვენ...

– ჟურნალისტებისგან ვიცი, მაგრამ არ არის მართალი, რესპუბლიკელები ამ საკითხს არ აყენებენ არავისთან, ეს არის თითიდან გამოწოვილი ამბავი...

– მაგრამ მე არა ჟურნალისტების, არამედ ექსპერტების მოსაზრებებს გეუბნებით. მაგალითად, ლევან ალაფიშვილმა თქვა...

– ის არ არის რესპუბლიკური პარტიის ექსპერტი. ის სხვა რამეების ექსპერტია. მისი ერთი-ორი მოსაზრება გავიგონეთ რესპუბლიკურ პარტიაზე, რომელიც აბსოლუტურად არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ამიტომ ამ ახალგაზრდას ვურჩევ, წყაროები გადაამოწმოს. არაადეკვატურ რამეებს ამბობს ხოლმე. რომელი პოსტიც გვჭირდებოდა, მოვითხოვეთ და მივიღეთ კიდეც.

– კახი კალაძემ განცხადება გააკეთა და თქვა, რომ არანაირი დაპირისპირება მასა და პრემიერ ღარიბაშვილს შორის არ არის და რომ შეიძლება იყოს გარკვეული ინტრიგები. რას იტყვით ამაზე?

– ვფიქრობ, პრემიერსა და კალაძეს შორის ინტრიგა ნამდვილად გარედან იყო აგორებული. ისინი ახალგაზრდა კაცები არიან და შეიძლება სხვადასხვა გუნდს გულშემატკივრობენ ფეხბურთში, მაგრამ მთავრობაში ეს ერთი გუნდია და რაიმე სერიოზულზე არ გაგვიგია. კოალიციაში დაძაბულობა ყოველთვის იქნება და ეს ჩვეულებრივი მომენტია, როცა საქმე ეხება საკადრო გადაადგილებას თუ იგივე საარჩევნო სიების შედგენას.

დაპირისპირების პრობლემა არ გვაქვს, პრობლემები გაჩნდება, როგორც კი სიის ჩამოყალიბება დაიწყება, მაგრამ ეს ნორმალური პროცესია. გარეთ ეს ამბები ნაკლებად გამოვა, მაგრამ შიგნით სერიოზული დაძაბულობა იქნება.

„რამდენადაც ვიცი და რამდენიმე შეხვედრიდანაც გამოჩნდა, სერიოზული გადახალისება იქნება საარჩევნო სიის“

– რას იტყვით ოპოზიციაზე? შეინარჩუნებენ ნაციონალები მთავარი ოპოზიციონერის სტატუს?

– ამ წუთის მონაცემებით, სხვა ოპოზიციას ჯერ კიდევ უსწრებენ ნაციონალები. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ნაცები ჩემში არავითარ სიმპათიას არ იწვევენ, ობიექტურად ასეა, უსწრებენ ბურჯანაძესაც და ინაშვილსაც. ბურჯანაძესა და ინაშვილს არ ვგულშემატკივრობ ზუსტად ისევე, როგორც არ ვგულშემატკივრობ ნაციონალებს, მაგრამ ვიცი, რომ ნაციონალები ნატოს მომხრეები მაინც არიან.

მათ დაემატებათ კიდევ „თავისუფალი დემოკრატები“ და შალვა ნათელაშვილი... ვიღაც სასწაულმოქმედი ვერ დაიბადება და 2 დღეში ისე ვერ გაძლიერდება, რომ რაიმე შეცვალოს, ახალ ძალაზე რომ არის ხოლმე საუბარი. რაც შეეხება ზურაბ ჯაფარიძის ჯგუფს, ისინი ნაციონალების ამომრჩეველზე იმუშავებენ. ნაციონალებს ორი მხრიდან კვალიფიციური ოპოზიცია დაარტყამს: თავისუფალი დემოკრატები, ერთი მხრივ, და ჯაფარიძის ჯგუფი, მეორე მხრივ.

ასე რომ, არჩევნებში „ქართული ოცნება“ ლიდერია და ბრძოლა ჩვენსა და ნაციონალებს შორის კი არ იქნება, არამედ ნაციონალები, ბურჯანაძე, ინაშვილი და სხვები იომებენ, ვინ იქნება მათ შორის პირველი.

„ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და მას ექნება უმრავლესობა იმისთვის, რომ მთავრობა დააკომპლექტოს.

უცილებლად შეხვდება

ოფნის ვაჟკაცობა, ღიად წავიდეს მოლაპარაკებებზე. რაც შეეხება ნატოს, არასწორია ქართველი პოლიტიკოსების განცხადება, როდესაც ამბობენ, რომ საქართველოს მიზანია ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანება, რადგან ქვეყნის მიზანი უნდა იყოს სუვერენიტეტის გამტკიცება, დემოკრატიულობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. 2008 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების გაჩენას მიუღებლად მივიჩნევ“.

შეხვდება თუ არა ნინო ბურჯანაძე ვლადიმერ პუტინს და იტყვის თუ არა ამის შესახებ ღიად? სოსო ცისკარიშვილი დარწმუნებულია, რომ, თუ შეხვდება, აუცილებლად იტყვის.

გიორგი ახვლედიანი კი, რომელიც ახლა ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრია, ფიქრობს, რომ შეხვედრები უმაღლეს დონეზე მომავალშიც უცილებლად გაიმართება და დაიგეგმება.

– დიდი ალბათობით პუტინთან შეხვედრა მომავალში აუცილებლად შედგება. ჩვენ რუსეთ-საქართველოს შორის კონსტრუქციული დიალოგის დაწყების მომხრე ვართ, ასეთი დიალოგი ადრეც უნდა დაწყებულიყო, –

აცხადებს ახვლედიანი.

პუტინთან შესახვედრად კი ნინო ბურჯანაძე, როგორც ჩანს, ყველაფრისთვის მზად არის. მან ყირიმი უკვე გამოაცხადა რუსეთის ტერიტორიად და აღნიშნა, რომ ის არასოდეს გახდება უკრაინის ტერიტორია: „Факт, что Крым сегодня является частью России и больше никогда он не станет частью Украины. Украинские власти при определенном попустительстве Запада допустили радикальные и принципиальные ошибки, следствием которых стали события, развернувшиеся в Крыме!“ – ეს განცხადება ბურჯანაძემ გააკეთა. თუმცა, სოსო ცინცაძეს ცოცხალი თავით არ სჯერა.

სამაგიეროდ ნინო ბურჯანაძეს სწამს, რომ ის საკმაოდ გაბედული პოლიტიკოსია იმისთვის, რომ ასეთი განცხადებები აკეთოს, მოსკოვში წავიდეს და ვოვასაც შეხვდეს. თუმცა, მხოლოდ ბურჯანაძე ხედავს თავის თავს მამაცად. მეორე მხარეა, რომ პუტინს ერიდებიან არა იმიტომ, რომ მისი ეშინიათ, არამედ იმიტომ, რომ მას არავინ ენდობა. თუმცა არავინ, ბურჯანაძის გარდა.

„ჩვენ ჯერ ნბურჯანაძის შთაბეჭდილებებს უნდა დაველოდოთ და დასკვნები შემდეგ გავაკეთოთ“

წინასაარჩევნოდ ბურჯანაძის მოსკოვში გასეირნება თბილისში უკვე შეაფასეს უარყოფითად.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით:

„პუტინთან სტუმრობა და მისთვის ღიმილი არ მიმაჩნია განსაკუთრებული სიმამაცის მაჩვენებლად. საქართველოს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელიც არ დაუშვებს სტაბილურობის მორღვევას ამ ქვეყანაში. საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც არ დაუშვებს ომს ამ ქვეყანაში და საქართველოს ჰყავს მთავრობა, რომელსაც აქვს გონივრული, პრაგმატული და ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკა. ეს არის სწორედ ის, რაც მამაცობის საუკეთესო მაგალითად მიმაჩნია, იმიტომ, რომ გონივრული პოლიტიკის განხორციელება საქართველოსთვის ადვილი არ არის და ის, რაც ადვილი არ არის, სწორედაც რომ სიმამაცეა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კეფირის კოქტეილის 3 მარტივი რეცეპტი, რომელიც წონის დაკლებაში დაგეხმარებათ

კეფირი რომ სასარგებლოა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. მასში თავმოყრილია აუცილებელი ვიტამინები და მინერალები, რომელიც ორგანიზმის ბუნებრივ ბალანსს აღადგენს. ამ პროდუქტს ხშირად დიეტაზე მყოფ ადამიანებს ურჩევენ, თუმცა ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ სამი საუკეთესო რეცეპტი, რომელიც კეფირს კიდევ უფრო სასარგებლოს გახდის და, რაც მთავარია, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგების ხარჯზე, წონაში დაკლებაში დაგეხმარებათ.

ამოცანა ირბინეთ

რეცეპტი 1

ბუნებრივი ცხიმისმწველი ინგრედიენტები:
1 ს/კოვზი წვრილად დაჭრილი ოხრახუში;
1/3 ჩ/კ დარიჩინი;
100 მლ. კეფირი.

ეს ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ, ერთი საათით გაიჩერეთ და ამის შემდეგ, დღეში ერთხელ, დღის ნემისმიერ მონაკვეთში მიიღეთ.

რეცეპტი 2

კეფირის და ჭარხლის კოქტეილი
2 ს/კ გახეხილი წითელი ჭარხალი;
250 მლ. კეფირი;
1 ჩ/კ ლიმონის წვენი;
1ჩ/კ ასკილის წვენი.

ყველაფერი ეს დააბლენდერეთ და მიიღეთ, დაყოვნება არ არის საჭირო.

რეცეპტი 3

ბოსტნეულის კოქტეილი

1 პომიდორი;
1 კბილი ნიორი;
1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი;
50 მლ. კეფირი;
მწვანილი (რომელიც თქვენ გსურთ).

რამდენი კილომეტრი უნდა ირბინოთ, რომ მიღებული კალორიები დაწვათ

როდესაც შოკოლადის გემრიელ ნამცხვარს მიირთმევთ, ხშირად გავიწყდებათ, რამდენი კალორია გემატებათ, არადა, ეს სულაც არ არის ცოტა. მიღებული კალორიების დასაწვავად კი დიდი შრომაა საჭირო. იმისთვის, რომ ზუსტად იცოდეთ რომელ პროდუქტზე, რა ძალისხმევაა საჭირო, მედიკოსებმა საინტერესო გაანგარიშება გააკეთეს.

გაანგარიშებისთვის აიღეს საშუალო პარამეტრები: წონა 65 კგ. და სირბილი 10 კმ/სთ. სიჩქარით.

1. იმისთვის, რომ ერთი ჭიქა უშაქრო ხსნადი ყავისგან მიღებული კალორია დაწვათ, უნდა ირბიოთ 0,42 კმ.

2. საშუალო ზომის მწვანე ვაშლი = 0,89 კმ.

3. ბუტერბროდი წითელი ხიზილალით, კარაქის გარეშე = 1,1 კმ.

4. მოხარშული კვერცხი = 1,24 კმ.

5. 35 გრამიანი პატარა კექსი = 1,84 კმ

6. 1 ცალი მოხარშული სიმინდი = 2,38 კმ.

7. 50 გრ. ტკბილი მიწის თხილი = 3,6 კმ.

8. 50 გრ. გოზინაყი = 4, 41 კმ.

9. 125 გრამიანი შოკოლადის კექსი = 6,94 კმ.

10. ასი გრამი შოკოლადის ფილა თხილით = 6,46.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ გავაცალოთ დაზიანებული ხის ავეჯი

ავეჯის ზედაპირი ძალიან მალე იცვლის იერსახეს. ჩნდება ლაქები და ნაკაწრები, რომელსაც ვერაფრით შველით. ავეჯი თავის სახეს კარგავს და თქვენ ფიქრობთ, რაც შეიძლება მალე მოიშოროთ თავიდან. სანამ ძველის ახლით ჩანაცვლებას გადაწყვეტდეთ, სცადეთ ეს ხერხი. თქვენ გაოცებული დარჩებით, რადგან დაინახავთ რა მარტივია ბუნებრივი ინგრედიენტებით ამ პრობლემის გადაჭრა.

მიეცით თქვენს ავეჯს მეორე შანსი თქვენ დაგჭირდებათ:

1. ცარიელი აეროზოლის ბოთლი, მოსახსნელი პულვერიზატორიანი თავით;
2. ზეითუნის ზეთი;
3. ლიმონის წვენი;
4. ძმარი.

ჩაასხით ბოთლში 180 მლ. ზეითუნის ზეთი;

დაამატეთ 60 მლ. ძმარი;

სურნელოვნებისთვის შეურიეთ 10 მლ. ლიმნის წვენი;

დაახუთ თავზე და შეანჯღრიეთ.

მიღებული მასა მზადაა გამოყენებისთვის. შედეგით თავადაც გაკვირვებული დარჩებით.

როდესაც თქვენს ტვინში ნეგატიური აზრი გაჩნდება ...

რობინ შარმა: უტყუარი რეცეპტი

რობინ შარმა (კანადელი მწერალი და ექსპერტი ლიდერის უნარჩვევების საკითხებში): „არ მისცეთ საკუთარ გონებას იმის უფლება, როგორც ქარიან ამინდში ფოთოლი ისე ირხეოდეს. იმუშავეთ საკუთარ თავზე და აიძულეთ საკუთარი გონება, რაც შეიძლება ხშირად იყოს კონცენტრირებული.

თუ აკეთებთ რაიმე საქმეს, ნუ იფიქრებთ სხვა რამეზე... იფიქრეთ მხოლოდ იმაზე, რასაც აკეთებთ. სიარულის დროს დაითვალეთ ნაბიჯები. ეს ადვილი არ არის, მაგრამ გონება მიხვდება, რომ თქვენ აკონტროლებთ მას და არა პირიქით. ბოლოს და ბოლოს თქვენი გონება გახდება მშვიდი და ის დაემსგავსება სანთლის ალს, რომელიც სახლის კუთხეში ანთია, სადაც ორპირი ქარი არ არის.

თქვენი გონება კუნთს უნდა ჰგავდეს. თავიდან ვარჯიში სჭირდება, ხოლო შემდეგ წინ უნდა უბიძგოთ, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს. ეს თავიდან შესაძლოა, არც თუ სასიამოვნო იყოს, თუმცა მომავალში "გავარჯიშებული" ტვინი უფრო მეტ სიკეთეს მოიტანს.

როდესაც თქვენს ტვინში ნეგატიური აზრი გაჩნდება, მომენტალურად შეცვალეთ პოზიტიურით. შეეცადეთ, პოზიტიური ყოველთვის დომინირებდეს ნეგატიურზე და თქვენი გონება კარგისკენ და სიკეთისკენ იყოს მომართული.

გათავისუფლდით ყველანაირი ნეგატიური აზრისგან და გახდით პოზიტიურად მოაზროვნე"!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო მჭედლიშვილი

სტეფანე მღებრიშვილი შვილთან ერთად დაისვენებს

- სტეფანე, შენი ფოტოები ვნახე, „ამბასადორში“ ისვენებ?

- „ამბასადორის“ გახსნაზე ივენთი გავაკეთე, ცოტა დავისვენე, ცოტა ვიმუშავე.

- სამომავლოდ, დასვენების მხრივ, რა გეგმები გაქვს?

- 18 ივლისს უცნაურ ადგილას მივდივარ. ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, ისეთ ადამიანებთან ერთად, არ ვიცი მოუნდებათ თუ არა ამის აფიშირება, ასე, პრესის ფურცლებზე... იქიდან რომ დავბრუნდები, ჩემს შვილთან, ფანისთან ერთად თურქეთში მივდივარ, მაგრამ ეს არ იქნება ჩემი დასვენება. ფანი ისეთი ცელქია, ის დაისვენებს, მე, ალბათ, დავიღლები.

- ფანის არ უნდა დედასთან და მამასთან ერთად რომ დაისვენოს?

- (იცინის). ეს კითხვა არ მომწონს, მაგდენის დაფიქრების საშუალება არ აქვს ჯერ. ისედაც ბევრ დროს ატარებს მშობლებთან... ისე, შენ ნაცნობობა გშველის, თორემ სექტემბრამდე პრესასთან, მედიასთან, ტაიმაუტი მაქვს აღებული.

- დიდი პატივია... ამ ზაფხულს კიდევ სად აპირებ წასვლას?

- ზაფხულის ბოლოს გერმანიაში ვაპირებ წასვლას.

- ისეთ ვიღაცებთან ერთად მივდივარო, მითხარი... პოლიტიკოსები ხომ არ გპატიჟებენ?

- უი, არა, (იცინის), რა მინდა პოლიტიკოსებთან? თუმცა, რატომაც არა, პოლიტიკოსი მეგობრებიც მყავს, მაგრამ ამჯერად ვისთან ერთად მივდივარ, ვერ გეტყვით.

SUMMER TIME

საღ ირუჯებს მარიტა რეხვიაძე

SUMMER TIME

- პროექტის „ერთი ერთში“ გუნდი ვართ წამოსული ლოპოტაზე. თან ვისვენებთ, თან ვმუშაობთ. აქ ვმეცადინეობთ, ვრეპეტიციობთ, თან ვისვენებთ, ვთევზაობთ. აქაურობა ისე მომეწონა, დავარქვი - სამოთხე დედამიწაზე.

- მიიღე რუჯი?

- ცოტა შევწითლდი.

- როგორ ერთობით?

- ისეთი მშვიდი ადგილია... ველოსიპედი, ჩოგბურთი, ბილიარდი, წყლის ველოსიპედი... ამ ყველაფრის მერე ისე კარგად გეძინება, ხმაურიანი ივენთები აღარც გინდა.

- ფინალში რას გვთავაზობ?

- გპირდებით, რომ შემდეგ საშაბათს ძალიან მაგარი ნომერი იქნება. ლაიზა მინელი ვიქნები. ძალიან მაგარი ვოკალით, კარგი ქორეოგრაფიით, ყველაფერს ვაკეთებ, რომ დასამახსოვრებელი ნომერი გავიტანო ფინალზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

SUMMER TIME

მარკუს მეტრეველის „სიყვარული ვენახში“

- ყვარელში ვარ, „ეფ-ეს-ში“. ძალიან მაგარი კომპლექსია, ყველა ქართველს ვურჩევ ნახოს ეს ადგილი.

- რასთან დაკავშირებით გიმასპინძლათ ყვარელმა?

- 19 ივლისს აქ გაიმართება „მის პლანეტისთვის“ შესარჩევი კონკურსი, რომლის გამარჯვებულიც მსოფლიო კონკურსზე გაემგზავრება. ჩემთან ერთად არის, კონკურსის ორგანიზატორი, ქეთი ორჯონიკიძე. ფინალზე ჩამოვლენ ჟურნალისტები. თქვენც გეპატიჟებით.

- „ფეისბუქის“ შენს გვერდზე ვენახშია გადაღებული ფოტო, გვერდს ქერათმიანი ლამაზმანი გიმშვენებს. ვინ არის?

- ისე მომეწონა ეს ვენახი, გადავწყვიტე ფოტოსესია გამეკეთებინა და დავარქვი „სიყვარული ვენახში“... ლამაზმანს რაც შეეხება, სამოდელო „კატრინის“ მოდელია, არ მინდა მისი სახელი და გვარი ვთქვა, გამორჩეული რომ არ იყოს დანარჩენებისგან.

- გამორჩეული რომ არ ყოფილიყო, ამდენი მოდელებიდან მაინცდამაინც ის ვერ მოხვდებოდა შენს ფოტოსესიაში...

- მე მისი მასწავლებელი ვარ, სასცენო ხელოვნებას ვასწავლი, დანარჩენებს ეწყინებათ ეს გოგონა გამორჩეულად რომ დავასახელო. უბრალოდ, კარგად გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით. სულ ესაა.

SUMMER TIME

კესარია საცვლების რეკლამაში გადაიღეს

- ბათუმში ვარ. აქ სიწყნარე და სიმშვიდეა. ასე გადავწყვიტე, ვიდრე ხალხით გადაივსება და სრული ქაოსი იქნება ბათუმში, მოვასწრო დასვენება. მეგობრების წრეში გადასარევად ვერთობი. ჩემი გარემო მაქვს შექმნილი.

- კიდევ სად აპირებ დასვენებას?

- ანტალია, ქემერი, ბოდრუმი... შემოთავაზებები ბევრი მაქვს. ჩამოვალ თბილისში და აგვისტოდან გავაგრძელებ მოგზაურობის სერიებს. წინასწარ არაფერს ვგეგმავ, უცებ დამარტყამს და სად ამოვყოფ თავს, არავინ იცის. თან საქმეც მაქვს, ახლახან საცვლების რეკლამაში გადამიღეს. კარგად ვიხალისე და გავერთე.

SUMMER TIME

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაქორწინდა თუ არა მაკა ასათიანის უფროსი ვაჟი

ვინ არის გოგონა, რომელმაც კახი ჟორდანიას თავი შეაყვარა

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

თბილისი რომ პატარაა და ახალი ამბები, განსაკუთრებით „ლავ სთორები“ მალე ვრცელდება, ამაში, ალბათ, არ შემედავებით. ამის გათვალისწინებით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალბატონის, მაკა ასათიანის ვაჟის სიყვარულის ამბავი რომ არ გამორჩებოდა ქალაქს, ნათელია.

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ლამაზ ქალად აღიარებული, მაკა ასათიანი ერთ დროს საქართველოში ძალიან პოპულარული იყო. აწყობდა ჩვენებებს და როგორც დიზაინერი, აქტიურად მუშაობდა. როგორც იცით, მაკას პირველი მეუღლე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია იყო. წყვილს ქორწინებიდან ორი ვაჟი ჰყავს. ამჟამად მაკა შვეიცარიაში, მეორე ქმართან ერთად ცხოვრობს და უკვე პატარა ვაჟის დედაცაა. როგორც ჩანს, მაკა თბილისს იშვიათად სტუმრობს, რადგან გადაცემებში და პრესის ფურცლებზე არ ჩნდება.

მაკა ასათიანის მეორე ქმარი „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბიზნესმენი კოტე გოგელია გახლავთ. როგორც ამბობენ, წლების წინ კოტეს ოჯახი დიდი სიხარულით არ შეხვედრია მათი ქორწინების ამბავს. ამიტომაც ქალაქში ხშირად ვრცელდებოდა ჭორები, რომ თითქოს მაკა ასათიანი და კოტე გოგელია ერთმანეთს დაშორდნენ. თუმცა, წყვილი დღესაც ერთად და ბედნიერად ცხოვრობს.

ამასობაში მაკასა და მერაბის შვილები გაიზარდნენ. ლამაზ მშობლებს ლამაზი ბიჭები ჰყავთ. შესაბამისად, ყოველთვის საინტერესო იყო, ვინ იქნებოდნენ ამ სიმპათიური ბიჭების რჩეული გოგონები. მაკა ასათიანისა და მერაბ ჟორდანიას ერთ-ერთი ვაჟი, კახი ჟორდანია შეყვარებულია. მისი რჩეული ნანიკო კლდიაშვილი გახლავთ.

ჩვენ წყვილს სოციალური ქსელის მეშვეობით დავუკავშირდით.

- ნანიკო, გამარჯობა. „პრაიმტაიმის“ ჟურნალისტი ვარ. ინტერვიუ მინდა გთხოვო...

- გამარჯობა ნინო, ინტერვიუს არ ვიძლევი.

- კახი, გამარჯობა. „პრაიმტაიმის“ ჟურნალისტი ვარ. ინტერვიუ მინდა გთხოვო. თუ წინააღმდეგი არ ხარ, მომწერე შენი საკონტაქტო ნომერი...

- რასთან დაკავშირებით?

- ზოგადად, საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესოა მაკა ასათიანისა და მერაბ ჟორდანიას შვილის ცხოვრება. რას საქმიანობ, რა პროფესიის ხარ... თან როგორც შევიტყვეთ, შეყვარებული ყოფილხარ... ამაზეც ვისაუბრებთ თუ წინააღმდეგი არ იქნები...

- უკეთესი იქნება თუ არაფერს დაბეჭდავთ, არ მიყვარს ჩემი ცხოვრების საჯაროდ განხილვა.



მიუხედავად იმისა, რომ წყვილი თავიანთ სასიყვარულო ურთიერთობაზე არაფერს ყვება, სოციალურ ქსელში კახიც და ნანიკოც ერთად გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს. ფოტოს ქვეშ კომენტარებში არაერთი მილოცვაც ამოვიკითხე

მიუხედავად იმისა, რომ წყვილი თავიანთ სასიყვარულო ურთიერთობაზე არაფერს ყვება, სოციალურ ქსელში კახიც და ნანიკოც ერთად გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს. ფოტოს ქვეშ კომენტარებში არაერთი მილოცვაც ამოვიკითხე.

***

როგორი კარგი იყავი ყოველთვის, როგორი თბილი და ტკბილი, რა მაგარია, რომ შენი ბედნიერებით ჩვენც, ამდენი ადამიანი გაგვაბედნიერე. გვიყვარხარ ყველას ძალიან, დატკბით და დაგვატკბეთ ჩვენც, შენი და კახის ბედნიერებით.

***

გილოცავთ, ბედნიერებას გისურვებთ.

ჩვენ კახის მამიდასთან, ხათუნა ჟორდანიასთან დაკავშირებაც ვცადეთ. აღმოჩნდა, რომ ხათუნა საქართველოში არ იმყოფება. მის მეუღლეს ზურა ხაჩიძეს სოციალური ქსელის საშუალებით დავუკავშირდით.

- ზურა, ხათუნას ვერ დავუკავშირდით, იქნებ თქვენ გვიამბოთ კახისა და ნანიკოს სიყვარულის ამბავი...

- ამ თემაზე ვერ გაგცემთ პასუხს.

- მათი ფოტოების ქვეშ უამრავი მილოცვა ამოვიკითხე, ის მაინც გვითხარით, დაქორწინდნენ თუ არა.

- არა.

P.S. იმედია წყვილი მალე გაიხსნება პრესასთან და თავიანთი სიყვარულის ამბავს თავადვე მოყვებიან.

კახი ჟორდანია შეყვარებულია. მისი რჩეული ნანიკო კლდიაშვილი გახლავთ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქეთი ჟღენტი - 17 წლის ქართველი მოდელის პარიზული წარმატება

my View
ნინო მჭედლიშვილი

ქალაქის ქუჩებში იშვიათად შეხვდებით ასეთ ლამაზ, გრძელფეხება, ეფექტურ გოგოს. 17 წლის ქეთი ჟღენტი მოდელია. მისი ვიზუალური მხარე არ გაგაკვირვებთ თუ გეტყვით, რომ დედამისი ცნობილი მოდელი, ლიკა შენგელიაა. დღეს გადავწყვიტეთ ახლოს გაგაცნოთ ეს პატარა გოგონა, რომელიც დედის კვალს გაჰყვა და 17 წლის ასაკში დიდ წარმატებას მიაღწია.

- ის პერიოდი, როცა დედა მოდელი იყო, საერთოდ არ მახსოვს. ბავშვობიდან ჩოგბურთით ვიყავი გატაცებული. ათი წელია ამ სპორტით ვარ დაკავებული. მაგრამ იმის გამო რომ გარშემო სულ მოდელები მყავს (დედას მეგობრებს ვგულისხმობ), რომ წამოვიზარდე, ინტერესი თავისთავად გაჩნდა.

- დედას უნდოდა, მის გზას გაჰყოლოდი?

- თვითონ არ გამოუჩენია ინიციატივა, თავად გადავწყვიტე.

- რა ასაკიდან ჩაერთე მოდის სფეროში?

- პირველად „თბილისის ფეშენ ვიკზე“ რომ გამოვედი, 14 წლის ვიყავი.

- ნერვიულობდი?

- სხვათა შორის, არ მინერვიულია, არც ქუსლზე სიარული გამჭირვებია. პირველივე გამოსვლის მერე ძალიან მომეწონა ეს სფერო. თავიდან „ჯეო მოდელსის“ მოდელი ვიყავი. ახლა, უკვე ორი წელია ნინო ცქიტიშვილთან „ლუქ მოდელში ვარ“.

- მიამბე შენს წარმატებებზე...

- ბაქოში ერმანო შერვინოს ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა. მე დავხურე შოუ. 15 წლის ვიყავი პარიზში რომ წავედი.

- მარტო წახვედი?

- თავიდან, ერთი კვირა დედა გამომყვა, მასწავლა რა როგორ უნდა გამეკეთებინა და დამტოვა. სირთულეების მიუხედავად, კარგი იყო მარტო ყოფნა.

- რა იყო ყველაზე რთული?

- მარტო რომ დავდიოდი ყველგან, მეტროთი, თან გზებიც არ ვიცოდი. ენის ბარიერი არ ყოფილა რთული, ვიცი ინგლისურიც და რუსულიც. დავიმეგობრე რუსი, უკრაინელი და ჩეხი გოგონები, რომლებიც ჩემსავით თანამშრომლობდნენ იმავე სააგენტოსთან და ყველგან ერთად დავდიოდით. ანაზღაურება იმდენი მქონდა, რომ იქაური ხარჯები თავად დავფარე.

„მანამდე წარმოდგენა არ მქონდა რა ან ვინ იყო „ესკადა“ (იცინის). დედას რომ ველაპარაკე და ვუთხარი ამ ჩვენების შესახებ, ძალიან გაეხარდა. მაშინ მივხვდი, რომ ეს წარმატება იყო“

- პარიზულ წარმატებებზე რას მეტყვი?

- ჩვეულებრივი ჩვენებებიც მქონდა, მაგრამ მთავარი წარმატება მაინც „ესკადას“ ჩვენება იყო. მანამდე წარმოდგენა არ მქონდა რა ან ვინ იყო „ესკადა“ (იცინის). დედას რომ ველაპარაკე და ვუთხარი ამ ჩვენების შესახებ, ძალიან გაეხარდა. მაშინ მივხვდი, რომ ეს წარმატება იყო. 2 თვე ვცხოვრობდი პარიზში. დიდი გამოცდილება მივიღე. არ იყო იოლი იქ ცხოვრება. დილის 8 საათიდან ღამის 10 საათამდე ქასთინგებზე დავდიოდით.

- ის ორი თვე გაპატიეს, ალბათ, მასწავლებლებმა. როგორც ვიცი, სკოლის მოსწავლე ხარ...

- კი, დამამთავრებელ კლასში გადავედი, ევროპულ სკოლაში ვსწავლობ. მაპატიეს, მაგრამ რომ დავბრუნდი, ბევრი ვიმეცადინე და დავეწიე პროგრამას. დედა მირჩევს, სწავლას მეტი დრო დავუთმო. მეც იგივე აზრზე ვარ, ძალიან მომწონს მოდელობა, მაგრამ, პარალელურად, მინდა კარგად ვისწავლო, რომ კარგ უმაღლეს სასწავლებელში მოვხვდე. თან, ჩვენს ქვეყანაში, მოდელებზე არც ისე კარგი შეხედულება აქვთ, მინდა ეს სტერეოტიპი დავამსხვრიო.

„ერთი ბიჭი ვარდებს მიგზავნიდა, სადაც მივდიოდი ყველგან მახვედრებდა, არ ესმოდა რომ არ მომწონდა“

- სამომავლო გეგმებში რა გაქვს?

- ჰონკონგში მივდივარ. იქ ყველაზე მაგარმა სააგენტომ, „ელიტმა“ ამარჩია და მიმიწვია. აგვისტოს დასაწყისში წავალ. მექნება ჩვენებები, გადაღებები და ამ მხრივ კიდევ უფრო დიდ გამოცდილებას მივიღებ.

- ახლა მითხარი სახლში კიდევ თუ გყავთ შენსავით მაღალი და ლამაზი გოგო-ბიჭები...

- ჩემი ძმა, ბუბუ, 15 წლის არის და ჩემზე მაღალია, თინი 4 წლის არის, რეზი - ოთხის. მალე ერთი ძმა კიდევ გვეყოლება, დედა ფეხმძიმედ არის. ძალიან მინდოდა და, მაგრამ...

- ყველა ერთ სახლში ცხოვრობთ? ოჯახში, ალბათ, მხიარულება გაქვთ.

- (იცინის). ჰო, მე და ჩემი ძმა ძირითადად გასულები ვართ, ხან მასწავლებლებთან, ხან მეგობრებთან, მაგრამ პატარები არ აწყენენ დედას. თან, თინი მამასთან ცხოვრობს, მამას და დედას მეორე ოჯახები აქვთ. მამის მხრიდან მყავს თინი.

- მამინაცვალთან კარგი ურთიერთობა გაქვს?

- ძალიან კარგი, იგივე მამაა, ვერც აღვიქვამ რომ უცხო ადამიანია ჩემთვის.

- რამდენი წლის იყავი დედა და მამა რომ დაშორდნენ?

- 7-8 წლის, ზუსტად არ მახსოვს.

- განიცადე მშობლების დაშორება?

- არა. უკონფლიქტოდ, მშვიდად მოხდა ყველაფერი. დღემდე ხან მამასთან ვარ, ხან - დედასთან. არც ერთის ნაკლებობას არ განვიცდი.

- პროფესია არჩეული გაქვს უკვე?

- ჯანდაცვის მენეჯმენტზე მინდა ჩავაბარო.

- ჯანდაცვის მინისტრი გინდა გახდე?

- (იცინის) გამორიცხული არაფერია. ექიმობაზეც ვფიქრობდი, ბებია ექიმი მყავს, ქირურგობა მინდოდა, მაგრამ კიდევ ცხრა წელი სწავლა არ შემიძლია.

„უკონფლიქტოდ, მშვიდად მოხდა ყველაფერი. დღემდე ხან მამასთან ვარ, ხან - დედასთან. არც ერთის ნაკლებობას არ განვიცდი“

- თაყვანისმცემლებზე რას მეტყვი?

- თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ, ჯერჯერობით, მე არავინ მომწონს.

- უცნაური თაყვანისმცემლებიც გყავს?

- კი, მყავს. ერთი ბიჭი ვარდებს მიგზავნიდა, სადაც მივდიოდი ყველგან მახვედრებდა. არ ესმოდა, რომ არ მომწონდა.

- ვარდები არ გიყვარს?

- ვარდები ძალიან მიყვარს, ის ბიჭი არ მომწონდა. ზოგი სათამაშოებს მიგზავნის, ზოგი შოკოლადებს.

- დედამ იცის ხოლმე შენი თაყვანისმცემლების შესახებ?

- იცის, დედასთან ვმეგობრობ, ყველაფერს ვუყვები.

- სუხიშვილებში ცეკვავდი...

- თავიდან „ერისიონში“ ვცეკვავდი, მერე სუხიშვილებში გადავედი, მაგრამ დიდი ხანი ვერ ვიარე, სწავლისთვის დრო აღარ მრჩებოდა. დედას უნდოდა, რომ მეცეკვა... მეც მინდოდა, მაგრამ ეტყობა ძალიან არ მინდოდა, რადგან მოდელობა ვარჩიე. ორივესთვის დრო აღარ მრჩებოდა.

EXCLUSIVE

„ძალიან მომწონს მოდელობა, მაგრამ, პარალელურად, მინდა კარგად ვისწავლო, რომ კარგ უმაღლეს სასწავლებელში მოვხვდე. თან, ჩვენს ქვეყანაში, მოდელებზე არც ისე კარგი შეხედულება აქვთ, მინდა ეს სტერეოტიპი დავამსხვრიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ელოდება

თამარ გორთამაშვილი

„თავის გატანაზე ვართ, სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძვით...“

„ამ ჩემოდნით საით წავალ, არ ვიცი... დაბრუნება მეშინია, ისევ ემიგრანტობა მირჩევნია...“

საბერძნეთის კრიზისმა, ადგილობრივებთან ერთად, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართველები, რომლებიც წლებია საკუთარ თავს და საქართველოში დარჩენილ ოჯახებს, ფიზიკური შრომით, ჯანმრთელობის რისკის ფასად არჩენენ. ათენში ქართველების უმრავლესობა არალეგალია... 24 საათიან რეჟიმში, ყველანაირ საქმეზე მუშაობენ... წლებია საკუთარი ოჯახის წევრები თვალით არ უნახავთ. მაგალითად, 30 წლის ელენეს, რომელიც საბერძნეთში 7 წლის წინ სასწავლებლად წავიდა, დღეს უმცროსი ძმისა და დედის რჩენა უმძიმესი შრომის ფასად უწევს. საბერძნეთში შექმნილმა ფინანსურმა კრიზისმა, მისი შემოსავალი იმდენად შეამცირა, რომ დღეს ის საქართველოში დარჩენილ ოჯახს ვეღარ ეხმარება.

ელენე ხევსურიშვილი:

- გასული კვირის ორშაბათს, როდესაც ბანკები დაიხურა, დამირეკეს სამსახურებიდან და მითხრეს, რომ ჯერჯერობით შევაჩერებ მუშაობას, სანამ სიტუაცია არ გაირკვევა. უკვე მეორე კვირა გავიდა და ზარი არ ყოფილა. რამდენიმე სამსახურიდან მხოლოდ ერთი შემომრჩა, რომელმაც თანხა დამიკლო. მე საათობრივად ვმუშაობდი, გარე სამუშაოზე. ახლა კვირაში ერთი დღე, 3 საათი ვმუშაობ და შესაბამისად, ანაზღაურებაც მიზერული მაქვს. ასე თავის გატანა გამიჭირდება. 7 წელია საბერძნეთში ვარ, ოჯახი საქართველოშია. დედა და პატარა ძმა მყავს, რომლებსაც ყოველთვიურად ვუგზავნიდი ფულს. ახლა ვეღარ შევძლებ, რადგან იმ ხელფასით, რაც დამრჩა, მხოლოდ საჭმელს თუ ვიყიდი. ვეღარც ქირას გადავიხდი და ვერც გადასახადებს. თუ ასე გაგრძელდა სიტუაცია, ერთადერთი გამოსავალი საქართველოში დაბრუნება იქნება. მაგრამ, მანდაც რისი იმედი უნდა მქონდეს, არ ვიცი... ყველანაირად ვიკავებთ თავს მე და ჩემი მეგობრები. მარტო მე არ ვარ ასეთ სიტუაციაში... ჯერ ველოდებით, იქნებ რამე გამოსწორდეს, რამდენიმე თვეში მაინც... ახლო მომავალში არა მგონია, რომ აქ სიტუაცია შეიცვალოს.

ლელა ჭარხალაშვილი 42 წლისაა. საბერძნეთში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ჰყავს მცირეწლოვანი შვილი... მეუღლე პატიმარია. კვირაში 4 დღე მუშაობდა და 800 ევროს იღებდა, პატარა ბაღში დაჰყავდა და დანაზოგს საქართველოშიც გზავნიდა. მისი შემოსავალი დღეს თვეში 200 ევროა, რაც მხოლოდ ქირის გადასახდელად ჰყოფნის...

ლელა ჭარხალაშვილი:

- კვირაში 4 დღე ვიყავი დასაქმებული, ახლა ერთი დღე დამრჩა. შესაბამისად, შემოსავალიც შემიმცირდა. ველოდები რა მოხდება და მერე გადავწყვეტ რას მოვიმოქმედებ. ერთ ოჯახში ვმუშაობდი, მაგრამ ახლა ისინი ისეთი შეშინებულები არიან, რომ გვეუბნებიან თუ გუნდათ დარჩით, თუ გინდათ წადით, მაგრამ ახლა ვერ გადაგიხდითო. ნაქირავებში ვცხოვრობ. დღეისათვის ჩემი ერთი კვირის შემოსავალი 50 ევროა, ანუ თვეში მხოლოდ 200 ევრო მომიწევს. ბინაში კი თვეში 150 ევროს ვიხდი. ბინის ქირას არ დაუკლია... 10 წელია აქ ვარ, რა ბედი მეწევა არ ვიცი. ერთი მცირეწლოვანი შვილი მყავს, ადრე ბაღში დამყავდა, როცა ვმუშაობდი. მეუღლე ამჟამად ციხეშია. საქართველოში მამა და ძმა მყავს. მათაც ვეხმარებოდი ფინანსურად... ყოველთვიურად ხელფასივით ვუგზავნიდი ფულს. ახლა თანხის გამოგზავნაზე ზედმეტია საუბარი, თავის გატანაზე ვართ, სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძვით... ძალიან დიდ გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. ადრე თუ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა და მომავალსაც ვხედავდი, ახლა გამოსავალს ვეღარ ვპოულობ. არ ვიცი რა იქნება. თუ ჩემი ქალბატონი მეტყვის, რომ არც ის ერთი დღე აღარ ვჭირდები, ჩემოდნის ჩალაგება მომიწევს. მაგრამ ამ ჩემოდნით საით წავალ, არ ვიცი... საქართველოში დაბრუნება მეშინია, ჯერჯერობით ისევ ემიგრანტობა მირჩევნია... ვფიქრობ, ევროპის სხვა ქვეყანაში წავალ...

„ძალიან დიდ გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. ადრე თუ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა და მომავალსაც ვხედავდი, ახლა გამოსავალს ვეღარ ვპოულობ. არ ვიცი რა იქნება“

40 წლის თეა ბოლქვაძე და მისი მეუღლე ერთ დღეს უმუშევრები დარჩნენ. დამქირავებელმა ორივე უვადოდ დაითხოვა. ათენში, ნაქირავებ ბინაში ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობენ. ჯერჯერობით თავს დანაზოგით ირჩენენ. ხვალ რა იქნება - არ იციან...

თეა ბოლქვაძე:

- აღარ ვმუშაობ. კრიზისის გამო დამითხოვეს სამსახურიდან. ერთ ოჯახში ვმუშაობდი, ვალაგებდი. დღეს საერთოდ შემოსავლის გარეშე ვარ. არ ვიცი რას ვიზამ, ველოდები, რა გადაწყდება... ჩემი დამსაქმებელიც ძალიან შეშინებულია, არ იცის რა იქნება. რაღაც პატარა დანაზოგი მქონდა და ის სადამდეც მეყოფა ვიქნები... ნაქირავებში ვცხოვრობ. საქართველოში პენსიონერი მამა მყავს, რომელსაც, ალბათ, ვეღარ დავეხმარები. ყოველთვე ვუგზავნიდი ფულს, მაგრამ ახლა ჩემთვისაც აღარ მაქვს. ორი პატარა მყავს, ბაღშიც ვერ დამყავს, რადგან იქაც თანხაა გადასახდელი. ჩემი მეუღლეც უმუშევარი დარჩა, ისიც გამოუშვა დამსაქმებელმა, ხალიჩების მაღაზიაში მუშაობდა. 10 წელია აქ ვარ და ასეთი სიტუაცია არასდროს ყოფილა. ძალიან რთულია აქ თავის გატანა, მით უმეტეს ორი პატარა ბავშვით. მანდაც რომ ჩამოვიდე, რა უნდა გავაკეთო. გამოსავალს ვერ ვხედავ, ისევ აქ ველოდებით რა იქნება... თუ სიტუაცია არ შეიცვალა, შესაძლოა, ევროპის სხვა ქვეყანაში გადავიდეთ... 1400 ევრო გვქონდა შემოსავალი, ახლა საერთოდ აღარაფერი გვაქვს, დანაზოგზე ვართ. ვზივარ ბავშვებთან ერთად სახლში.

„საქართველოში პენსიონერი მამა მყავს, რომელსაც, ალბათ, ვეღარ დავეხმარები. ყოველთვე ვუგზავნიდი ფულს, მაგრამ ახლა ჩემთვისაც აღარ მაქვს“

რა ბედი ელით ქართველ ემიგრანტებს საბერძნეთში და რა პერსპექტივა აქვთ მათ. ათენის ქართველ ემიგრანტთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ გიუნაშვილი „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ქართველების უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სიტუაციის განმუხტვის შემთხვევაშიც კი ქართველების შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ით ქართველებს საბერძნეთში

„საბერძნეთში მოსახლეობა პოლარიზებულია, უფრო რადიკალური გახდა, რაც აქამდე ასე არ იყო. იგრძნობა ერთგვარი დაპირისპირება დაბალ სოციალურ ფენასა და მდიდრებს შორის“

„ახლა მოსალოდნელია პენსიის შემცირება... მაღალი პენსია საშუალებას აძლევდა პენსიონერებს დაესაქმებინა სხვა ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის ქართველები... “

ავთანდილ გიუნაშვილი (საბერძნეთში ქართველთა დიასპორის, ათენის ქართველ ემიგრანტთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი): - საბერძნეთის მთავრობის წინასაარჩევნო დაპირებები, დღეს შექმნილი ვითარებისგან აბსოლუტურად განსხვავებული იყო. ხალხში სერიოზული გაურკვევლობაა, რადგან მათ ფინანსთა მინისტრის იანის ვარუფაკისის დიდი იმედი ჰქონდათ, რომელიც გადადგა. ხალხი ფიქრობდა, რომ ის შეძლებდა ეკონომიკური რეფორმების გატარებას და შეინარჩუნებდა მეტ ეკონომიკურ გარანტიებს მოსახლეობისთვის. ახლა მდგომარეობა გაურკვეველია, მოლოდინის რეჟიმია, ადამიანებმა არ იციან რა გააკეთონ, დგანან ბანკომატებთან და გამოაქვთ დღიური ლიმიტი - 60 ევრო. იმაზეც არის საუბარი, რომ მთლიანად გაიყინოს მათი თანხები. ხალხი ძალიან დაძაბულია. ამასთან ვრცელდება ინფორმაცია, რომ შვეიცარიის ბანკებში, სადაც დიდ ნაწილს აქვს გატანილი თანხები, მოხდება 20-30 %-ის ჩამოჭრა სახელმწიფოს მხრიდან. ეს ის თანხებია, რომელიც საბერძნეთის მოსახლეობის არადეკლარირებულ ქონებას შეადგენს. ყოველივე ეს ქმნის კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას ხალხში. ეს დაძაბულობა ვრცელდება ქართველებზეც, რადგან მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ პირდაპირი ასახვა ჰპოვა მათ შემოსავალზე.

რეფერენდუმთან დაკავშირებით იყო ასეთი პრობლემა, მაგალითად, ათენში და სხვა ცენტრალურ უბნებში, სადაც მოსახლეობის დაბალი და საშუალო ფენა ცხოვრობს, ძირითადად ყველამ დააფიქსირა - არა. ხოლო იმ უბნებში, სადაც ძირითადად თავმოყრილი არიან მდიდრები, 80-მა პროცენტმა თქვა -კი. ამდენად, დღესდღეობით საბრძნეთში მოსახლეობა პოლარიზებულია, უფრო რადიკალური გახდა, რაც აქამდე ასე არ იყო. იგრძნობა ერთგვარი დაპირისპირება დაბალ სოციალურ ფენასა და მდიდრებს შორის. სოციალურად დაუცველი და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა მთავრობას უჭერს მხარს, ხოლო მდიდრები ევროკავშირის პირობებს იზიარებენ. რეფერენდუმის შემდგომ პრემიერმა ციპრასმა მოლაპარაკებები დაიწყო პარტიებთან და ცდილობს მიაღწიოს ეროვნულ თანხმობას ევროკავშირთან მოლაპარაკებებში და აღწევს კიდეც ამას. პარლამენტში მისი ემოციური გამოსვლის შემდეგ შესაძლოა, რომ იმ პარტიებმაც კი, რომლებიც მას არასდროს არაფერში ეთანხმებოდნენ, დღეს სრული მხარდაჭერა გამოუცხადონ. საბოლოოდ ვფიქრობ, რომ მთავრობა მივა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გატარდეს ის რეფორმები, რასაც საერთაშორისო კრედიტორები ითხოვენ. საჭიროა ჩატარდეს პრივატიზაცია, რადგან საბერძნეთში ძალიან ბევრი არაპრივატიზებული ქონებაა, რომელიც სახელმწიფოს სუბსიდიაზეა და ამის შესახებ არაერთი რეკომენდაცია მიიღო მთავრობამ. ასევე არაერთი რჩევა იყო პენსიების დაწევის თაობაზეც... ახლა მოსალოდნელია პენსიის შემცირება... მაღალი პენსია საშუალებას აძლევდა პენსიონერებს დაესაქმებინა სხვა ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის ქართველები...

- რა როლს თამაშობს რუსული გავლენები თქვენ მიერ ნახსენებ კლასობრივ დაპირისპირებაში?

- მე ვფიქრობ, რომ ხმები, რუსული გავლენების შესახებ გადაჭარბებულია. უბრალოდ, საბერძნეთს სჭირდება რუსული ფული, რომელიც ქვეყანაში თუნდაც ტურიზმიდან შემოდის, ასევე სჭირდება გაზიც, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბერძნეთისთვის ეს ერთგვარი რუსული ბერკეტია. საბერძნეთი არის ევროპული ქვეყანა, პრემიერ ციპრასს არსად არ დაუფიქსირებია, რომ ის ევროპის წინააღმდეგ მიდის, უბრალოდ, ეს ადამიანი არის რადიკალ მემარცხენე, მას სხვანაირი ევროპა წარმოუდგენია, ის ცდილობს ევროპის სოციალურ-ეკონომიკური ხედვა შეცვალოს. ის ევროპას ერთგვარად „აშანტაჟებს“ კიდეც, რომ ევროპამ სხვანაირი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა აწარმოოს თავის საზღვრებში.

- რამდენად წამოეგება ევროპა ამ „შანტაჟს“, როგორ ფიქრობთ?

- ვფიქრობ, რომ ევროპა ამაზე არ წავა. იმიტომ რომ, ევროპამ გამოიარა კომუნისტებიც, გამოიარა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საბჭოთა სახელმწიფოს ზეწოლაც და ბუნებრივია, ამ საკითხს ისინი ფრთხილად ეკიდებიან. ზოგადად, ევროპული მემარცხენეობა სრულიად განსხვავებულია ევროპული მემარცხენეობისგან და საქართველოში ამის გაგება ცოტა უჭირთ. მაგალითად, საბერძნეთის კომუნისტები სრულიად განსხვავებულ კომუნიზმს აშენებდნენ, ვიდრე საქართველოში და რუსეთში. ამათი შედარება ერთმანეთთან არ შეიძლება.

„ეს დაძაბულობა ვრცელდება ქართველებზეც, რადგან მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ პირდაპირი ასახვა ჰპოვა მათ შემოსავალზე“

- როგორია თქვენი პროგნოზი?

- არსებობს ორი ვარიანტი - ერთი ის, რასაც დღეს საბერძნეთის ხელისუფლება დაადგა, ანუ ევროპასთან გარკვეულ დათმობებზე წავიდა, ეს ფაქტია. მას არ უნდა რომ საბერძნეთი ევროპული სივრციდან გავიდეს და ევროპელებისთვისაც არ არის ეს მისაღები. ეს ძალიან დიდ რყევებს გამოიწვევს იგივე იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

- რაც შეეხება ქართველებს, არსებობს ზუსტი სტატისტიკა რამდენი ქართველია საბერძნეთში?

- ზუსტი სტატისტიკა ამისა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში, მაისის თვის მონაცემებით 34 000-მა ადამიანმა ისარგებლა, რეპატრიანტი გახდა და დაბრუნდა საქართველოში, ფაქტია, რომ საბერძნეთში დღეს 100 000-ზე მეტი ქართველია. ჩვენ რომ ზუსტი აღიცხვის საშუალება გვქონოდა, კიდევ უფრო განსხვავებული მონაცემები გვექნებოდა.

ზოგადად, მინდა იცოდეს საქართველოს მოსახლეობამ, რომ საბერძნეთში და საერთოდ უცხოეთში ემიგრანტებისთვის ძალიან რთული სიტუაციაა, იმიტომ რომ, არალეგალურად მოხვედრილი ჩვენი თანამემამულეები, ხშირ შემთხვევაში, დაუცველები არიან, არ არსებობს შრომითი ხელშეკრულებები და ისინი ყველანაირ სამუშაოს ასრულებენ, ყოველგვარი სამედიცინო დაზღვევის გარეშე. ეს არის საკმაოდ დიდი მასა, რომელიც ძალიან დიდ თანხებს რიცხავს საქართველოში. მეორე კატეგორიაა, პოლიტიკური თავშესაფრის მქონე ადამიანები, რომლებიც იმ ქვეყნის ტერიტორიაზე არიან ნახევრად ლეგალები, მათ აქვთ მუშაობის უფლება, მაგრამ არ აქვთ ამ ქვეყნის დატოვების უფლება. მესამე კატეგორიაა ნახევრად ინტეგრირებული ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ქორწინებაში შევიდნენ, ეს ის ნაწილია, რომელიც პერიოდულად ჩამოდის საქართველოში და მერე ბრუნდება უკან. მეოთხე კატეგორიად შეიძლება დავამატოთ ჩვენი პონტოელი ბერძნები, რომლებიც საქართველოში ფლობენ ქონებას და მათაც არ აქვთ კარგად საქმე, რადგან თუ ევროპის ცენტრალური ბანკის მოთხოვნები დაკმაყოფილდება, სავარაუდოდ, მათ მოუწევთ რეპატრიანტის კუთვნილი პენსიების დიდი ნაწილის დათმობა.

- თქვენ თუ გაქვთ მონაცემები, დღეს რამდენი ქართველი დარჩა შემოსავლის გარეშე საბერძნეთში?

- თითქმის ყველაზეა საუბარი. ყველას უთხრეს, რომ შეუმცირდებათ ანაზღაურება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რით დამთავრდება ეს მოვლენები. ჩემი მოსაზრებით 90%-ს მინიმუმ 100-200 ევროთი შეუმცირდება ხელფასები.

„ჩემი მოსაზრებით 90%-ს მინიმუმ 100-200 ევროთი შეუმცირდება ხელფასები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჰით ბათუმი“ - აქ ყო

my View

ნინო მჭედლიშვილი

ჩემი ოცნება ახდა, ამდენი ჟურნალისტი მისმენს ერთად, - თქვა თბილისი-ბათუმის ავტობუსის მიკროფონში, „ჰით ბათუმის“ ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, კახა მაღრაძემ და კოლეგები ერთმანეთთან წარგვადგინა, გაგვაცნო ორდღიანი მედიატურის გეგმა და ავტობუსიც დაიძრა. პირველი გაჩერება სასტუმრო „ჰილტონი“ იყო. სწორედ აქ განთავსდა თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტების, ოპერატორების, პროდიუსერებისა და რედაქტორების ჯგუფი. მეორე დილითვე, პრესკონფერენციაზე გაგვაცნეს იმ პროექტის მნიშვნელობა და აუცილებლობა, რომელიც აჭარაში ტურიზმის განვითარებას ისახავს მიზნად.



„ჰით ბათუმი“ პირველად ტარდება საქართველოში და დაგეგმილია, მისი ყოველწლიური განხორციელება“

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ: ბათუმის მერი, გიორგი ერმაკოვი, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჭეიშვილი, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მამუკა ბერძენიშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, მომღერალი სოფო ხალვაში და სხვები.

პრესკონფერენციაზე განგვიმარტეს, რომ „ჰით ბათუმი“ წარმოადგენს ბათუმის საზაფხულო სეზონის სპეციალურ პროექტს. მის ფარგლებში 6 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, ყოველ კვირას, ბათუმში ჩატარდება ფესტივალები, კულტურული ღონისძიებები. პროექტის ინიციატორი გახლავთ ბათუმის მერია და საკრებულო. ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი. „ჰით ბათუმი“ სახელმწიფო პროექტს წარმოადგენს და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. სპეციალურად პროექტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 მილიონ 400 ათასი ლარი. პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს, როგორც კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, ასევე პროექტის პოპულარიზაციისთვის საჭირო საინფორმაციო მხარდაჭერის წამოწყებას. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტიდან ღონისძიებების მხოლოდ ნაწილი ფინანსდება, რადგან ზოგიერთ პროექტს აქვს კერძო დაფინანსება, ან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობა. მაგალითად, „კულტურის ცენტრის“ ბიუჯეტიდან არ ფინანსდება „შავი ზღის ჯაზფესტივალი, ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადები“, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, „ფანტა ლავ ლენდი“ და „აი ორკესტრი“.

„ჰიტ ბათუმი“ პირველად ტარდება საქართველოში და დაგეგმილია, მისი ყოველწლიური განხორციელება.

თიკო სამყურაშვილი („ჰით ბათუმის“ საორგანიზაციო ჯგუფის წევრი):

- აღნიშნული ღონისძიებები ერთი ქოლგის ქვეშ გავაერთიანეთ, ჩვენი სლოგანია „აქ ყოველდღე რაღაც ხდება“. მოეწყობა 11 კვირეული. თითოეული კვირა განსხვავებულ კულტურულ ღონისძიებებს გვთავაზობს. შესაბამისად, ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაკმაყოფილებთ ყველა გემოვნების აუდიტორიას, მოვიცავთ ყველა თაობის ინტერესებს, მათ შორის ბავშვებისასაც. პროექტის ფარგლებში ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ შვებულების დღეები თავიანთი ინტერესებისა და გემოვნების მიხედვით დაგეგმონ. სპეციალურად ამ პროექტისთვის შეიქმნა ღია სივრცე, რომელიც ტექნიკურად სრულად არის აღჭურვილი. არსებული სივრცეები განკუთვნილია, როგორც პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის, ასევე პროექტში მონაწილეობის მსურველი ხელოვანებისთვის, ვისაც სურვილი აქვს ჩაატაროს კონცერტი თუ გამოფენა. პროექტში მონაწილეობს არაერთი ქვეყანა, მათი რიცხვი ოცამდეა. მათ შორის არის: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია. პროექტში 50-ზე მეტი ორგანიზაცია მონაწილეობს, 2 000-ზე მეტი ადამიანია დაკავებული და დღევანდელი მონაცემებით, ამ დღეების განმავლობაში საქართველოში 250-ზე მეტი უცხოელი არტისტი ჩამოდის. ღონისძიებების მასშტაბურობა შეგიძლიათ განსაზღვროთ იმითაც, რომ 60 დღის განმავლობაში ბათუმში 200-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდება.

- მოკლედ გვიამბეთ თითოეულ კვირეულზე...

- პირველი კვირეული ეძღვნება ფოლკლორის დღეებს. 14 ფოლკლორული ჯგუფი წარდგება მაყურებლის წინაშე. ფოლკლორის კვირეული ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს არის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს ტურისტებს... შემდეგი დღეები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲧᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲠᲐᲓᲦᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ



„ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ 400 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ“

EXCLUSIVE

ეძღვნება ბათუმელ შემსრულებლებს, მათ შორის იქნება სოფო ხალვაშიც. 16 მონაწილე ეყოლება ბათუმელი შემსრულებლების კვირეულს. ამ კვირეულის ფარგლებში ბათუმში დაიწება უნიკალური პროექტი „ქუჩის პიანინო“, 13 ივლისიდან ბათუმის ქუჩებში დაიდგმება პიანინოები, რომელსაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მოხატავენ და ნებისმიერ მსურველს მიეცემა შესაძლებლობა, დაუკრას ამ პიანინოზე, იქნება ის პროფესიონალი თუ - არა. შემდეგ კვირეულს, პირობითად, იტალიური დღეები შეგვიძლია დავარქვათ, რადგან სანრემოს ვარსკვლავები ჩამოდიან ბათუმში. ესენი არიან: spaghetti swing band, umberto tpzzi, richi e poveri. ამავე კვირეულის ფარგლებში გაიხსნება გამოფენა „ქოლგა“. 40-მდე ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონანილეობა და 9 ათასი ფოტოსგან საუკეთესოები იქნება წარმოდგენილი... შემდეგი კვირეული ეძღვნება ჯაზის დღეებს, რომელსაც გახსნის ბათუმის „ბიგ ბენდი“. ამ კვირეულის ფარგლებში ჩამოდის ქართველი პიანისტი, გიორგი მიქაძე. ჯაზის დღეებზე ბათუმში მაყურებელს სასიამოვნო სიურპრიზები ელის. წარმოდგენილნი იქნებიან: liv warfield, giorgi mikadze end nyc groove aliens feat. dj roydar ellis, lisa stansfield, giorgi mikadze end nyc groove aliens feat, snoop dogg.

- ამბობთ, რომ „ჰით ბათუმი“ არის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ასაკის ინტერესი. რას სთავაზობთ ბავშვებს?

- შემდეგი კვირეული სწორედ ბავშვებს ეძღვნება. 27 ივნისიდან 2 აგვისტომდე ბათუმში გაიმართება შემდეგი ღონისძიებები: მიუზიკლი, - „ზეიმი ჯადოსნურ სასახლეში“, თოჯინების მსვლელობა, სახეზე მოხატვა, პლატინა და დისნეი ლენდი, ქუჩის მუსიკა, მიუზიკლი „მაუგლი“, „ჰარმონია“, მუსიკალური ნომრები, მიუზიკლი, - „მაუგლი“, „დისნეი ლენდის“ შოუ პროგრამა, ქაი და ჰერდას თავგადასავალი, ოსტატი და თოჯინები, „ბასტი ბუბუს“ კონცერტი... შემდეგი კვირეული თანამედროვე მუსიკის დღეებს ეთმობა, რომელშიც ქართველი და უცხოელი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას. სპეციალურად ამ კვირეულისთვის ბათუმში ჩამოდის უკრაინული როკბენდი - okean elzy და ინგისური ალტერნატიული როკბენდი - toploader. რაც შეეხება ქართველ შემსრულებლებს, თანამედროვე მუსიკის კვირეულის ფარგლებში იმღერებენ: გიორგი სუხიტაშვილი, ოთო ნემსაძე, სალომე ბაკურაძე, ანი კეკუა, მაკა ზამბახიძე, ნიკო ბერიძე, ლუკა ზაქარიაძე, კახუ ჩელა, რომან რცხილაძე და მისი ბენდი „+995“

- ქართველი შემსრულებლების შერჩევა როგორ მოხდა?

- რეიტინგებიდან გამომდინარე. რადგან ჩვენთან არ არსებობს შეფასებების რეიტინგები, ობიექტური ინდიკატორი, შესაბამისად, ხდება ორგანიზატორების მიერ სუბიექტური შეფასება.

- ვინ განსაზღვრა, რომ მაგალითად, ნინი ბადურაშვილი უფრო პოპულარია ვიდრე, სოფო ბედია?

- ორგანიზატორებმა.

- ასეთი ფესტივალების, კონცერტების შემდეგ, სამსახურს მონატრებული მომღერლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, სვამენ კითხვებს, რატომ სხვა და არა - ის. გაქვთ მათთვის პასუხები?

- ყველას ხომ ვერ ჩავსვამთ პროექტში... მთავარი მაგ პროცესში ის არის, რომ ქართველ შემსრულებლებთან ჯერ არ დასრულებულა მოლაპარაკება. ჩვენ გვაქვს სივრცე, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ მომღერლებს. ამაში ჩვენ, რა თქმა უნდა, ფულს არ გადავიხდით, მაგრამ მათ საშუალება მიეცემათ, ჩვენ მიერ მოწყობილ სცენაზე, საყვარელი მაყურებლის, მსმენელის წინაშე წარდგნენ. ჩვენ მზად ვართ, ითანამშრომლონ ჩვენთან.

- როგორც ვიცი, დაგეგმილია ქუჩის თეატრის დღეებიც.

- ამ დღეებისთვის 10-დან 16 აგვისტომდე, ბათუმს ეწვევა ხუთი ქართული („მარჯანიშვილის თეატრის“, „სამეფო უბნის თეატრის“, „მუსიკისა და დრამის“, „მოძრაობისა და პანტომიმის“) და ხუთი უცხოური (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი) დასი. ამავე კვირეულის ფარგლებში გაიმართება სუხიშვილების კონცერტები და ცხენების შოუ... შემდეგი კვირეული ელექტრონულ მუსიკას ეთმობა. ელექტრონული მუსიკა გააერთიანებს უცხოელ და ქართველ დიჯეებს. ამის ორგანიზებას აკეთებს sity sound, რომელსაც ჩამოჰყავს 25 უცხოელი დიჯეი და თითქმის ყველა ცნობილი ქართველ დიჯეის მოიპატიჟებს ბათუმში. პროექტის მიზანია ქართველი არტისტების პოპულარიზაცია უცხოელ დიჯეებთან, მათი ერთმანეთთან დაახლოვება. 23 აგვისტოს გაიხსნება გამოფენა „აბრეშუმის გზა“. ეს არის ფოტოგამოფენა, რომელზეც აღბეჭდილი იქნება მეოცე საუკუნის მხატვრების ნამუშევრები.

„13 ივლისიდან ბათუმის ქუჩებში დაიდგმება პიანინოები, რომელსაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მოხატავენ და ნებისმიერ მსურველს მიეცემა შესაძლებლობა, დაუკრას ამ პიანინოზე, იქნება ის პროფესიონალი თუ - არა“

„სანრემოს ვარსკვლავები ჩამოდიან ბათუმში. ესენი არიან: spaghetti swing band, umberto tpzzi, richi e poveri“

- კლასიკური მუსიკის დღეების ფარგლებში რას სთავაზობთ მაყურებელს?

- აქ წარმოდგენილი იქნება ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადები“, adrian belew, big john, l, coltore archestra, ქუჩის მუსიკოსები.

- კლასიკური მუსიკის კვირეულის ფარგლებში, პრესრელიზში ამოვიკითხე შემდეგი სახელები: კორკოტა, დათო გომართელი, გიო ხუციშვილი და ბიჭები. რამე შეცდომაა თუ შემსრულებლებმა ჟანრი შეცვალეს?

- კლასიკური მუსიკის დღეებში სხვადასხვა მუსიკალური ჟანრი ერთიანდება. ვინაიდან სცენა ძალიან ბევრი გვაქვს, უწყვეტ რეჟიმში ვაწყობთ სხვადასხვა ტიპის ივენთებს...

რაც შეეხება „ჰით ბათუმის“ ბოლო კვირეულს, ეს არის ელისო ბოლქვაძის მუსიკალური ფესტივალი. აღსანიშნავია, რომ ეს ფესტივალი წელს ევროპული ფესტივალების წევრი გახდა. ელისო ბოლქვაძეს კი წელს იუნესკოს მშვიდობის არტისტის წოდება მიენიჭა. ეს მას საშუალებას აძლევს იუნესკოს პროექტები საქართველოში განახორციელოს. ამიტომ, 15 სექტემბერს, სეზონის დახურვაზე, პიაცაზე გაიმართება, ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის საქველმოქმედო ღონისძიება, რომელიც იუნესკოს 70 წლის იუბილეს ეძღვნება. შემოსული თანხა გადაერიცხებათ სირიელ ბავშვებს, ხოლო კვირეულის ფარგლებში გამართული ერთ-ერთი კონცერტიდან შემოსული თანხა, 13 ივნისის დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხება. როგორც ხედავთ, მასშტაბურ პროექტთან გვაქვს საქმე, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვა შემსრულებლებთან. ასე რომ, გამორიცხული არ არის ფესტივალში მონაწილე ხელოვანების რიცხვი გაიზარდოს. ამას უკვე სიურპრიზის სახით შევთავაზებთ მაყურებელს. აქ, მართლაც ყოველდღე რაღაც ხდება. თქვენ მხოლოდ ჩამობრძანდით, დაისვენეთ და გაერთეთ ჩვენთან ერთად.

გიორგი ერმაკოვი (ბათუმის მერი):

- როცა ამ პროექტზე ვფიქრობდით, მთავარი მიზანი ქალაქის პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა იყო. ამიტომ გადაწყვეტილების მიღება არ გაგვჭირვებია. ახლა სწორედ ის სეზონია, როცა მაქსიმალურად უნდა მოვიზიდოთ დამსვენებელი. ამიტომ ამისთვის ხარჯის განევა გამართლებულია. ეს პროექტი კი მხოლოდ ამას ემსახურება. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ბათუმში ღირს ჩამოსვლა.

როგორც გავარკვიეთ, პროექტის ფარგლებში ჩატარდება „ბათუმი ფეშენ ვიკი“. ღონისძიების ორგანიზატორი გახლავთ მანანა გოგლიჩიძე. ამიტომ სწორედ მას ვთხოვეთ დაწვრილებით მოეთხრო აღნიშნული დღეების შესახებ.

- 30 ივლისს გაიმართება „ბათუმი ფეშენ ვიკის“ საპრეზენტაციო გახსნა. ჩვენ ვეცადეთ, პირველ რიგში, ადგილობრივი დიზაინერები გამოგვეყვანა. მაგალითად, თამუნა მექვაბიძეს ერთი დღე მთლიანად დავუთმეთ. წარმოდგენილნი იქნებიან ძალიან ნიჭიერი, მაგრამ შედარებით უცნობი დიზაინერები. ჩვენ მათ საშუალებას ვაძლევთ კოლექციები დღის სინათლეზე გამოიტანონ.

- კონკრეტული გვარ-სახელები შეგიძლიათ მითხრათ?

- უმჯობესია, რომ სიურპრიზად დავტოვო.

P.S. არ ვიცი მომეცემა თუ არა საშუალება „ჰით ბათუმის“ ფარგლებში დაანონსებული კვირეულები, კულტურული ღონისძიებები თავად შევაფასო, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, პროექტის ორგანიზატორების მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული მედიატური ერთ-ერთი საინტერსო და სასიამოვნო იყო ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაში. მადლობა მათ ამისთვის.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲕᲡᲕᲐᲛᲗ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ... ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲒ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

კობა ინასარიძე: „გია გორგოძემ გაგდებას წასვლა ამჯობინა“

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტურია. გია გორგოძემ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც უმცროსი კოლეგებისგან, რომლებიც თავად გორგოძეს გაუნათლებლებად მიაჩნია, კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა და მის მიმართ ბევრი კითხვებიც გაჩნდა. თავად გორგოძე, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონფერენციაზე არ გამოჩენილა, აღმასკომის წევრებმა მისი განცხადება დამსწრე ჟურნალისტებს გააცნეს და ყოფილი პრეზიდენტის გულის ნადებიც გააცნეს. რა უნდა შეიცვალოს ასოციაციის მართვაში და რაში ხარჯავდა გორგოძის ასოციაცია ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს - სპორტული ჟურნალისტები ასოციაციის ხელძღვანელი პირების უცხოურ ვოიაჟებზე საუბრობენ.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან ყოველწლიურად 200 ათასი ლარით ფინანსდება. რაც ცნობილია, ეს თანხები სპორტული ლიტერატურის ბეჭდვასა და ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის, გია გორგოძის, ასევე მისი რამდენიმე თანამოაზრის უცხოურ ვოიაჟებს ხმარდებოდა. როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განმარტავენ, ასოციაცია დაფინანსებას მის მიერ წარდგენილი პროექტების მიხედვით იღებს. სამინისტროს ინფორმაციით, ამ პროექტში გათვალისწინებული იყო სპორტული ლიტერატურის ბეჭდვა, თუმცა შედიოდა თუ არა უცხოური ვოიაჟები მისი პრეზიდენტის ფუნქციებში, ინფორმაცია არ აქვთ.

გიორგი ჭანიშვილი, სპორტის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელი:

„სამინისტროში შემოდის სხვადასხვა პროექტები, რომლის დაფინანსებასაც ითხოვს ესა თუ ის ფედერაცია. თუ იქნება მოწონებული, ფინანსდება. ვერ გეტყვით, რა ენერა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პროექტში და ითვალისწინებდა თუ არა ეს უცხოური ვოიაჟის ხარჯებს. ფაქტია, რომ გია გორგოძე დადიოდა უცხოეთში. უფრო დეტალურ ინფორმაციას მიიღებთ, თუ წერილობით მოითხოვთ ამ ინფორმაციას სამინისტროსგან“.

თავად გია გორგოძე კი, თავის განცხადებაში აფიქსირებს, რომ მისი ასოციაციის საქმიანობა წარმატებული იყო, ის ანგაჟირებული ჟურნალისტებისგან თავისუფლდება და არტახებისგან თავისუფალ ჟურნალისტიკას უბრუნდება.

„2012 წლის დეკემბერში, კოლეგების მხრიდან მოულოდნელი შეთავაზება მივიღე - კენჭი მეყარა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტად. მას შემდეგ ორ წელიწად-ნახევარი გავიდა, რომელმაც ბევრი დაიტია, მათ შორის საინტერესო პროექტები და კარგად გაკეთებული საქმეებისგან სიხარული სჭარბობდა. იმედია, გაგრძელდება ასოციაციის საგამომცემლო პროექტი „ქართული სპორტის დიდი სახელები“, რომლის ფარგლებში ორ წელიწადში 11 წიგნი გამოიცა, ან „სილქსპორტმედიასთან“ ერთად მომზადებული და ევროპაში გასული 30 ტელეგადაცემა ქართული სპორტის გამორჩეული სახეების შესახებ.

აქამდე ასე ვიცოდი და მჯეროდა, რომ სპორტი აერთიანებდა, მაგრამ საზოგადოებაში არსებულმა გახლეჩილობამ და სხვადასხვა პრობლემამ, ზოგადად, სპორტში და მის სარკეში - სპორტულ ჟურნალისტიკაშიც იჩინა თავი.

ასოციაციის წარმატებული საქმიანობა არა მარტო თქვენ მიერ არჩეული ლიდერის, არამედ, ჩვენი პროფესიული გაერთიანების წევრების მუშაობისთვის მზაობას და თანადგომას ემყარება. სამწუხაროდ, საპირისპირო მაგალითებიც გვაქვს, როცა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მიერ ანგაჟირებულ მედიამოსამსახურეთა მეშვეობით, მედიაში ადგილი ჰქონდა ფაქტების მანიპულაციებს, ტელეეთერის დაბლოკვას, „შავ პიარს“ და ეს ყველაფერი ჩვენში უცნაურად ინტერპრეტირებული „თმენის ვალდებულების“ გამო, პასუხგაუცემელი რჩებოდა.

აღარ ღირს ამ თემაზე საუბარი. მიჯობს, ის კარგი დავიმახსოვრო, რაც კოლეგებთან ერთობლივ საქმიანობისას ცოტა არ იყო და ამისთვის დიდი მადლობა მათ.

მინდა, დავუბრუნდე აქტიურ და არტახებისგან თავისუფალ ჟურნალისტურ საქმიანობას, სადაც არჩევით პოსტზე ყოფნის გამო არ ვიქნები შეზღუდული გამოხატვის თავისუფლებაში. თქვენდამი მომართვის შემდეგ, ვიხსნი პრეზიდენტის უფლებამოსილებას. ვრჩები სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აქტიურ წევრად და ქომაგად.

ბოლოსკენ, უპრიანია ერთი გამოთქმის პერიფრაზი - „ამ პირობებში მე გავაკეთე, რაც შემეძლო. მოხარული ვიქნები, თუ, უკეთეს პირობებში, ამას სხვა უკეთ გააკეთებს“, - ნათქვამია გია გორგოძის განცხადებაში.

სპორტული ჟურნალისტი, კობა ინასარიძე ამბობს, რომ გორგოძემ მოვლენებს დაასწრო და ვიდრე მას სპორტული ჟურნალისტები ყრილობაზე გადააყენებდნენ, თავად გადადგა პოსტიდან.

კობა ინასარიძე, გაზეთი „ჩვენი თამაში“:

„ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ცალსახად უარყოფითი შეფასება შემიძლია მივცე ასოციაციის მუშაობას. თავის თავის გარდა და ორი სამი კაცის გარდა, არავისზე არ ზრუნავდა გორგოძე, სრულ იგნორირებას უკეთებდა სრულიად სპორტულ ჟურნალისტთა საზოგადოებას. რა თქმა უნდა, მან დაასწრო მოვლენებს, ვერ გაუძლო ამდენი ჟურნალისტის ზეწოლას და გაგდებას წასვლა ამჯობინა. მისგან არაფერია გასაკვირი და თვითონ მიაჩნია, რომ კარგად იმუშავა და სპორტულ ჟურნალისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას, 90 %-ს მიაჩნია, რომ არადამაკმაყოფილებლად იმუშავა. თუ დამაკმაყოფილებლად იმუშავა, რას მიდიოდა, ყოფილიყო. ასოციაციას აქვს ერთგვარი პროფკავშირის ფუნქცია. უნდა იყოს ჩვენი ამქრის დამცველი. რაც კეთდებოდა ადრე, ელგუჯა ბერიშვილის დროს, არ კეთდებოდა გორგოძის დროს. გორგოძე მარტო თავის თავზე ფიქრობდა. ახალი პრეზიდენტის უმთავრესი ფუნქცია ის იქნება, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო შეკრას, მათი უფლებები დაიცვას. ცხადია, ბევრი სხვა რაღაცის გაკეთებაც შეიძლება“.

ლაშა დვალიშვილი ერთ-ერთია, ვინც უკვე გადაწყვიტა, რომ სჟა-ს პრეზიდენტის პოსტზე კენჭი იყაროს. ლაშა დვალიშვილი ამბობს, რომ ასოციაციის უმთავრესი ფუნქციაა, დაიცვას საკუთარი ჟურნალისტი და მას ფარად გადაეფაროს. დვალიშვილის თქმით, ასოციაციაში გაწევრიანება პრესტიჟული და რთული გახდება, რადგან მას ფასი დაედოს და თვლის, რომ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას უნდა ჰქონდეს საკუთარი ვებგვერდი და პრესკლუბი, სადაც პრესკონფერენციები ჩატარდება, ეს ყველაფერი კი სპონსორების მოძიებას შეუწყობს ხელს.

ლაშა დვალიშვილი, სპორტული ჟურნალისტი:

„მთლიანობაში ასოციაციის საქმიანობას დადებითად ვერ შევაფასებ. თუკი შევაფასებ, ნახილობრივ და ისიც იმ მიმართულებით, რომ კარგი წიგნები გამოიცა და ეს უნდა გაგრძელდეს. საერთო ჯამში კი, იმ დამოკიდებულებას, რა დამოკიდებულებაც სპორტული ჟურნალისტების მიმართ ასოციაციის უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა გამოხატა, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ვერანაირ პოზიტიურს ამაში ვერ ვხედავ. მიმაჩნია, რომ სჟა უნდა იყოს, პირველ რიგში, თავის წევრების დამცველი, გვერდში უნდა დაუდგეს თავის წევრებს. სხვა მიმართულებებითაც შეიძლება ამის გამოხატვა. ასოციაციის ხელმძღვანელობა ყველა დონეზე, ამბრაზურასავით უნდა იყოს გადაფარებული თავის წევრზე. ასოციაციის საქმიანობაში უნდა შედიოდეს ხელშეწყობა პროფესიული ზრდის კუთხით, სემინარების, შეხვედრების, სპორტული აქტივობების გამართვა. ყველაზე მნიშვნელოვანია, თუკი მე ასოციაციის პრეზიდენტი გავხდები, სპორტულ ჟურნალისთა ფონდის ჩამოყალიბება. ეს იქნება არასაბიუჯეტო ხარჯებზე, არამედ სასპონსორო შემოსავლებით დაარსებული ფონდი. ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ თუკი ვინმეს დასჭირდება ოპერაცია, მკურნალობა და სხვა სახის დახმარება, შეიძლება 100%-ით ვერა, მაგრამ გარკვეული დახმარება მიიღოს ასოციაციის წევრმა. ეს ყველაფერი იქნება გამჭვირვალე. ასოციაციის ხელმძღვანელობამ უნდა მოახერხოს ამ ოჯახის გაერთიანება, ეს არ არის პოლიტიკური პარტია. არ მიმაჩნია სწორად, რომ მოხდეს ძირის გამოთხრა და ცალ-ცალკე გუნდების ჩამოყალიბება. ასოციაციაში გაწევრიანება ყველასთვის პრესტიჟული უნდა იყოს“.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყრილობაზე, ვიცე-პრეზიდენტმა, ბიძინა ბარათაშვილმა მომავალი არჩევნების თარიღად, 18 სექტემბერი დაასახელა, თუმცა კონკრეტულ თარიღზე შეთანხმება ვერ მოხდა. 1 სექტემბრამდე კანდიდატებმა უნდა მოასწრონ საკუთარი კანდიდატურის წამოყენება პოსტზე, სექტემბერში კი ასოციაციას უკვე ახალი ხელმძღვანელი ეყოლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრემიერ-მინისტრმა „ნიუ თბილისი“ ოფიციალურად გახსნა

მაგდა კლდიაშვილი

თბილისის ახალგაზრდული ფესტივალისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ოლიმპიური ფესტივალის გახსნამდე სულ ცოტა დრო რჩება, „თბილისი 2015“-ის ხელმძღვანელობამ, ქვეყნის და ქალაქის პირველ პირებთან ერთად, 10 ივლისს სპორტული ობიექტები მოინახულა, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კი, „ნიუ თბილისი“ ოფიციალურად გახსნა. როგორც გარკვეულია, საქართველოს დედაქალაქი ოლიმპიურ ფესტივალს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპორტული კომპლექსი „ახალი თბილისი“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოფიციალურად გახსნა.

საცურაო აუზი, ტანვარჯიშის არენა, ფრენბურთის ორი დარბაზი და მძლეოსნობის არენა - ის სპორტული ობიექტებია, რომელსაც „ნიუ თბილისი“ აერთიანებს.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით სპორტული კომპლექსის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სპორტის სახეობების განვითარების ისტორიაში.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ტარდება ასეთი მასშტაბის სპორტული ღონისძიება - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, საქართველოში პირველად შემოვიდა ოლიმპიური ცეცხლი, აშენდა ოლიმპიური სოფელი. „ახალი თბილისი“არა მხოლოდ „თბილისი 2015“-ის სპორტულ ღონისძიებებს უმასპინძლებს, არამედ შემდგომშიც, საშუალებას მისცემს სხვადასხვა სპორტის სახეობის წარმომადგენლებს, მაქსიმალურად გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები. ჩვენს ქვეყანაში ეს არის პირველი სპორტული კომპლექსი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე არენას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთ სივრცეში მოქცეული სპორტული არენები ქართველ და უცხოელ სპორტსმენებს მისცემს სრულფასოვანი მზადების საშუალებას და არაჩვეულებრივ შესაძლებლობას, რომ განთავსდნენ, ივარჯიშონ და განიტვირთონ კომპლექსიდან გაუსვლელად. „ახალი თბილისის“ სპორტული კომპლექსი სრულად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და მაქსიმალურ კომფორტს უქმნის, როგორც „თბილისი 2015“-ის მონაწილეებს, ისე იმ სპორტსმენებს, რომლებიც მომავალში თბილისში გაივლიან შეკრებებს“.

„თბილისი 2015“-ის თავმჯდომარემ პრესის წარმომადგენლებთან მიცემულ კომენტარში განაცხადა, რომ არენები სრულად პასუხობენ ევროპულ სტანდარტს და მზად არიან ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალ „თბილისი 2015“-ს უმასპინძლონ.

„ნიუ თბილისის“ ტერიტორიაზე ასევე გაიხსნა ქანდაკება „ოლიმპიური ალი“, რომლის ავტორი ლევან ვარდოსანიძეა.

სპორტული კომპლექსის გახსნას დაესწრო თბილისის მერი, დავით ნარმანია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და „თბილისი 2015“-ის მოხალისეები.

თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი სტარტს 26 ივლისს აიღებს და 2 აგვისტოს დასრულდება. ოლიმპიური ცეცხლი დედაქალაქში 14 ივლისს შემოვა, ოლიმპიური დელეგაციები კი საქართველოს უკვე 21 ივლისიდან ეწვევიან. ფესტივალის ფარგლებში საქართველოში სულ 4 800 სპორტსმენი ჩამოვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



ნინი ბრეგვაძე: „არაფერი არ ხდება, არც ჩემსა და გიორგი გაბუნიას შორის და არც ჩემსა და გიორგი ნაკაშიძეს შორის“

მენტორებისა და კონკურსანტების დაძაბული მზადება და ნინი ბრეგვაძის პასუხი „ჭორიკნებს“

სოფო ბათილაშვილი: „ნერვიულობისგან ვერ ვჭამ, საჭმელს რომ ვხედავ, ცუდად ვხდები“

ირაკლი გულაშვილი: „ძმებს ძილისთვის თუ ოთხი საათი ჰქონდათ, ახლა ორი აქვთ“

my View
სალომე ჩადუნელი

მუსიკალური მეგა შოუ „X ფაქტორი“ ფინალისტების გამოსავლენად ემზადება. ნახევარფინალში გამოვლინდება რომელი ორი კონკურსანტი დატოვებს პროექტს და რომელი ოთხი გააგრძელებს გამარჯვებისთვის ბრძოლას. დღევანდელ ლაივზე წესებიც იცვლება. კონკურსანტებს ორჯერ მოუწევთ 10-დან უკან დათვლა, რადგან პროექტის დატოვების პროცედურა ორ ეტაპად განხორციელდება, კონკურსანტები ორ სიმღერას ასრულებენ, ქართულს და საერთაშორისოს, ქართული საკონკურსო სიმღერების შესრულების შემდეგ დასახელდება აუტსაიდერები და პროექტს ერთი კონკურსანტი დატოვებს, კონცერტს დარჩენილი ხუთი კონკურსანტი გააგრძელებს და ხმების მიღებაც თავიდან განახლდება. უცხოური სიმღერების დასრულების შემდეგ კვლავ დაჯამდება დარჩენილ დროში შემოსული ზარების რაოდენობა, აუტსაიდერები დასახელდებიან და პროექტს კიდევ ერთი კონკურსანტი გამოეთიშება, გაორმაგებული სტრესი დაძაბულობასაც აორმაგებს და კონკურსანტებიც ორმაგი დატვირვით ემზადებიან დღევანდელი ლაივისთვის.

ჩვენ, პროექტის მონაწილეებს, სარეპეტიციოში მივაკითხეთ და შევეცადეთ რამდენიმე საათი მათი გრაფიკით გვეცხოვრა. სარეპეტიციოში ბავშვების კატეგორიის სრული შემადგენლობა და ძმები გულაშვილები დაგვხვდნენ. მარიამ ჯანჯღავა და სოფო ბათილაშვილი დაღლილები და უძილოები ჩანდნენ.

მარიამ ჯანჯღავა:

„დატვირთული რეჟიმი გვაქვს და მზადების პროცესი საშინელია. ფიზიკურად შეუძლებელია ამ რეჟიმში ყოფნა. 12 საათზე რომ აქ მოხვალ და ღამის 11 საათზე სახლში მიხვალ, გაუგებარია, მაგრამ ორი სიმღერა გვაქვს მოსამზადებელი“.

ნაყინი და ცივი სასმელი შემოგვთავაზეს, მალე ორშაბათის ლაივისთვის სიუჟეტის გადაღებაც დაიწყო და კონკურსანტებს ნინი ბრეგვაძე შემოუერთდა. სამის ნახევარზე გიორგი ნაკაშიძის რეპეტიცია უნდა დაწყებულიყო, მენტორმა და კონკურსანტმა დააგვიანეს და სახმედრო ბაზიდან სარეპეტიციოში გადაინაცვლეს. მუსიკის პედაგოგი დაძაბული იყო და სისტემატური მუშაობის გამო ვერ გაგვესაუბრა, თუმცა კონკურსანტების ვარჯიშის ყოველ ეტაპზე იგრძნობა ის დაუღალავი შრომა, რომელსაც პედაგოგები კონკურსანტებში და ნორმის სრულყოფაში დებენ.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსანტებს შორის მეგობრული და თბილი დამოკიდებულებაა, დაძაბულობა და გადაღლილობა მატულობს. ჟურნალისტის დანახვაზეც სახე ეცვლებათ, თუმცა ცდილობენ მაქსიმალურად ყურადღებიანები და კეთილგანწყობილები იყვნენ. ჩვენ ვესაუბრებთ პროექტში დარჩენილ ყველა კონკურსანტს და საქართველოში მყოფ მენტორებს. ბავშვების თქმით ანრი ბულგარეთშია და ლაივის დღეს ბრუნდება, ხოლო თამთა, როგორც ყოველთვის, საქართველოში კვირას ჩამოდის ხოლმე.

მზადება ნახევარფინალისთვის საფინალოდ

კონკურსანტები ნახევარფინალისთვის განსაკუთრებით ემზადებიან, ქართული სიმღერის შესრულებას მთავარ გამოწვევად აღიქვამენ და გულშემატკივარს მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ.

ირაკლი გულაშვილი:

„ძმებს ძილისთვის თუ ოთხი საათი ჰქონდათ, ახლა ორი აქვთ, იმიტომ რომ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ეტაპი. ორ სიმღერას ვმღერით: ერთს ქართულს, ერთს უცხოურს. ჩემს გულშემატკივარს მობილიზებისკენ მოვუწოდებ, ვთვლი, რომ ვიმსახურებთ ფინალში ყოფნას, თან თამთას მარტო ჩვენ დავრჩით“.

სოფო ბათილაშვილი:

„მთელი დღე აქ ვართ, ნერვიულობისგან ვერ ვჭამ არ მშია, საჭმელს რომ ვხედავ ცუდად ვხდები. პირველად ვასრულებ ძალიან რთულ ქართულ სიმღერას, ხუთი ზარით გადავრჩი წინა ლაივზე და, რა თქმა უნდა, მაქვს შიში, რომ კიდევ მოვხვდები აუტსაიდერებში, მაგრამ ვცდილობ, რომ ნაკლებად ვიფიქრო პროცენტებზე და ბუღალტერიაზე, კონცენტრირება მინდა მოვახდინო სიმღერაზე, ასე თუ ისე გამომდის“.

მარიამ ჯანჯღავა:

„ჩემს ცხოვრებაში ეს გამოვლილი გზა უფრო დიდი ნაბიჯი იქნება, ვიდრე ფინალში გადასვლა“.

გიორგი ნაკაშიძე:

,,დაძაბულები ვართ, ვიბრძვით, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაქვს. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს აუტსაიდერი გავხდე, ყველაფერი ხდება. გიორგი გაბუნია ძალიან მეხმარება, ერთად ვიბრძვით“.

თიკო მოსემღვდლიშვილი:

„მაქსიმალურად მობილიზებული ვარ და ვცდილობ ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ დავიმსახურო შემდეგ ტურში გადასვლა, ვნახოთ რა გამოვა. ვასრულებ, ქართული სიმღერის იმ ვერსიას, რომელიც სოფომ შეასრულა „ვერის უბნის მელოდიებში“ და უფრო საპასუხისმგებლოა ჩემთვის, რომ საკუთარი მენტორის შესრულებულ სიმღერას ვმღერი“.

კონკურენცია

პროექტის დასაწყისიდან დღემდე კონკურსანტები აცხადებენ, რომ კონკურენცია არ იგრძნობა, პირიქით, ძალიან მეგობრულად არიან და ერთმანეთსაც დაუახლოვდნენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ დაძაბულობა მატულობს და იზრდება სურვილი, რომ თითოეულის საკონკურსო ნომერი განსაკუთრებულად კარგი და სხვებისგან განსხვავებული გამოვიდეს.

ირაკლი გულაშვილი:

„რაღაცები შეიძლება იცვლება, პატარა დეტალები, მაგრამ სულ ერთად ვართ, ვხუმრობთ, ვიცინით, რაც მომწონს ამ ბავშვებში არის ის, რომ მეგობრობას არ ურევენ საქმეში, კონკურენცია იმაშია, რომ ყველას უნდა უკეთესი გააკეთოს“.

მარიამ ჯანჯღავა:

„კონკურსია და კონკურენცია ყველასთან მაქვს, მაგრამ ყველაზე დიდი კონკურენტი ჩემი თავია, იმისთვის, რომ იყო საუკეთესო, ჯერ საკუთარ თავს უნდა გადაახტე“.

კონკურსანტებისგან განსხვავებით, მენტორები ერთმანეთს უდავო კონკურენტებად მიიჩნევენ, ზოგს მეტად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„X ფაქტორის“ კულისებიდან

გიორგი გაბუნია: „გიორგი რომ აუტსაიდერებში მოხვდეს, არც კი დაფიქრდებიან ისე გააგდებენ პროექტიდან“

სოფო ნიჟარაძე: „ვიხელმძღვანელე მათემატიკური პრინციპით და არ დავაყენე ჩემი გუნდი კითხვის ნიშნის ქვეშ“

აქვს კონკურენციის გრძნობა, ზოგს ნაკლებად, თუმცა მზად არიან საკუთარი კატეგორიის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთონ და მიკერძოებული სამართლიანობის პრინციპით იხელმძღვანელონ, რადგან დარჩენილი ექვსივე კონკურსანტი პროფესიონალი შემსრულებელია.

სოფო ნიჟარაძეს სარეპეტიციოდან გამოსვლის დროს შევხვდით, ცხელ ყავასთან ერთად ცხელ-ცხელი ამბებიც მოგვიყვა და ლინდა ადამიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებაც განგვიმარტა.

- როგორ ემზადებით ნახევარფინალისთვის? რითაა განსხვავებული სხვა ლაივებისგან?

- ძალიან მიხარია, რომ ნახევარფინალს ორი კონკურსანტით ვხვდები, ჩემი მაქსიმუმი იქნება, რომ ორივე ფინალამდე შევინარჩუნო. განსაკუთრებულად ვემზადებით ქართული ტურისთვის, ძალიან რთული შესასრულებელი და მოწინებით მოსაპყრობია. სამწუხაროდ, არის რეალობა, რომ ახალგაზრდა თაობა იზრდება საერთაშორისო მუსიკაზე, ვიდრე ქართულ სიმღერაზე და ეს გავლენა იგრძნობა ქართულ სიმღერაშიც, განსაკუთრებით ვმუშაობთ, რომ არ გაუჭირდეთ. ჩემს კატეგორიაში ძალიან კარგად გაითავისეს, ბევრი სიურპრიზი ელის მაყურებელს.

- მენტორებს შორის არის კონკურენცია?

- ყველას უნდა, რა თქმა უნდა, რომ მისი კატეგორიის წევრი იყოს გამარჯვებული. რვა ლაივის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ძირითადად ერთი ლიდერი გვყავს. თუ გადავხედავთ როგორ იცვლება პირველი ადგილის გარდა მეორე, მესამე, მეოთხე ადგილები, ყველაფერი შესაძლებელია. ვინც არ უნდა იყოს, გამეხარდება, ყველანი ჩვენი აღმოჩენები არიან.

- რას ფიქრობთ წინა ლაივზე, თიკოს მხარდაჭერით სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ?

- ჩემი კატეგორიიდან ერთი ხმა უკვე ჰქონდა თიკოს, მე ჩემი ხმის მიცემით გარანტირებულად ვაძლევდი ადგილს, გუნდიდან ერთ წევრს მაინც ვინარჩუნებდი. მათემატიკური პრინციპით ვიხელმძღვანელე და ჩემი გუნდი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დავაყენე. მე არ ვიცოდი სხვა მენტორები რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, შეიძლებოდა ორი კონკურსანტი დამეკარგა. რა თქმა უნდა, მე ხმებს არ გავყოფდი, მე მერჩივნა ერთი ადამიანი შემენარჩუნებინა.

გიორგი გაბუნია დღევანდელ ლაივ კონცერტს განსაკუთრებულად ელოდება, ანრისთან დაპირისპირებაზე და იმ განცხადებებზე გვესაუბრება, რომელიც მუდმივად შეახსენებს, რომ პროფესიონალი მუსიკოსი არ არის.

გიორგი გაბუნია:

„ერთი სული მაქვს მივიდეთ ფილარმონიის სცენამდე, პირველად შეასრულებს გიორგი ქართულ სიმღერას და ეს ძალიან ეფექტური იქნება“.

- არის თუ არა მენტორებს შორის კონკურენცია?

- უფრო კონცერტების დროს. კონკურენციაც, დაძაბულობაც ყველაფერი კულმინაციას აღწევს „X ფაქტორის“ სცენაზე.

- თითქოს ანრი სულ გერჩის, ასეა?

- გამოჩნდა რომ ანრი მე მერჩის, ხომ? მე ანრის არ ვერჩი. შენიშვნას ვაძლევ ხოლმე კონკურსანტს და საშუხაროდ, ამას მენტორები პირად შეურაცხყოფად იღებენ, თითქოს იცავენ თავიანთ კონკურსანტს და გადმოდიან შეტევაზე, ან ჩემზე ან სამაგიეროს უხდიან შემდეგ ჩემს კონკურსანტებს, რაც, ჩემი აზრით, არასწორია.

- ხშირად გახსენებენ, რომ პროფესიონალი არ ხარ? ეს გაღიზიანებს?

- არავის დაუდგენია, რომ მენტორები და ჟიურის წევრები აუცილებლად მომღერლები უნდა იყვნენ. ჩვენი ფუნქცია, ამ შემთხვევაში, მუსიკალური პროდიუსერის ფუნქციას ჰგავს. მსოფლიოს ცნობილი მუსიკალური პროდიუსერები საერთოდ არ გამოირჩევიან თავიანთი მუსიკალური მონაცემებით, მაგრამ კარგი პროდიუსერები არიან.

- როგორ განვითარდება სცენარი პროექტში? მენტორები სამართლიანობის პრინციპით იმსჯელებენ თუ თავის კატეგორიას მიემხრობიან?

- მე პროექტს ყოველთვის უფრო მაღლა ვაყენებდი, ვიდრე პირად ამბიციებსა და მიზნებს. ვერ დავაბრალებ, მაგრამ გიორგი რომ აუტსაიდერებში მოხვდეს, არც კი დაფიქრდებიან ისე გააგდებენ პროექტიდან.

- საზოგადოებისგან მოდის დამოკიდებულება, რომ ანრი და სოფო ერთი თამაშით თამაშობენ, შენ ამჩნევ ამას?

- რომ ვთქვა, ეს მომენტი არ ვიცი და ვერ ვამჩნევ-მეთქი, აშკარა ტყუილი იქნება. კი, რა თქმა უნდა, ჩანს ის, რომ მეგობრობენ და ეს მათ გადაწყვეტილებებშიც ჩანს.

ვარაუდს, რომ ძლიერ კონკურენტებს აუტსაიდერების რიგებში მოხვედრის შემთხვევაში მოიცილებენ, ძმები გულაშვილებიც იზიარებენ.

ირაკლი გულაშვილი:

„უკვე ბოლო ორი ლაივია, მეორე ადგილზე ვართ. ჩემი აზრით, ნაკლებად დაგვტოვებენ, იმიტომ რომ, მათთვის ძლიერი კონკურენტები ვართ და ლოგიკურიც არის, რომ ჩვენს საწინააღმდეგოდ მისცემენ ხმას“.

დაძაბულობასთან ერთად „X ფაქტორს“ ინტრიგები და ჭორებიც ახლავს თან. საზოგადოება აალაპარაკა გიორგი ნაკაშიძისა და ნინი ბრეგვაძის „სიყვარულის ისტორიამ“. ნინი სარგებლობს შემთხვევით და ყველა კითხვის ნიშანს პასუხობს.

ნინი ბრეგვაძე:

„მიუხედავად იმისა, რომ პირადულია, არაფერი არ ხდება არც ჩემსა და გიორგი გაბუნიას შორის და არც ჩემსა და გიორგი ნაკაშიძეს შორის“.

- მძიმეა, როცა ასეთ რაღაცებს კითხულობ?

- უფრო სახალისო არის ხოლმე, თუმცა არის კომენტარები, რომელიც ყველანაირ ფარგლებს სცილდება და პირად შეურაცხყოფაზე გადმოდიან. ეს, ცოტა არ იყოს, უხერხული მოსასმენია. შავი პიარიც პიარია, თუმცა მე ვისურვებდი თეთრი პიარით ვყოფილიყავი.

- ხომ არ გიდაბლებთ მოტივაციას გიორგი ნაკაშიძის მუდმივი ლიდერობა?

- ცოტა შესაბოჭი ამბავია, როდესაც ხედავ, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი არის ლიდერი, თუმცა ეს იმის საბაბს არ უნდა გაძლევდეს, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლა შეწყვიტო.

დღეს „X ფაქტორის“ ნახევარფინალია, კონკურსის დასრულების შემდეგ მხოლოდ 4 კონკურსანტი გააგრძელებს ყველაზე მნიშვნელოვანი იქსისთვის ბრძოლას, ხოლო ორი მონაწილე სცენის მიღმა დარჩება, ახალი იქსის გამოჩენას დაელოდება, ან თავად შექმნის მას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მესამე დიდი საოცრება ნინო



ქეთი ხატიაშვილი

მის ცხოვრებაში ორი დიდი საოცრება იყო – ქმარი პირად ცხოვრებაში და პედრო ალმოდოვარი კარიერაში. 63 წლის ასაკშიც ცხოვრებაზე წარსულში არ საუბრობს. ასე რომ, დიდ საოცრებას ისევ ელოდება.

შეიძლება ეს საოცრება მისი ახალი პროექტი იყოს. ნინო ხომასურიძე ახალ და უჩვეულო პროექტზე იწყებს მუშაობას, ამჯერად საქართველოში და ქართველ გუნდთან ერთად.

პროექტი გრიფით „საიდუმლო“

ყველა პროექტში მონაწილეობას ვერ ვიღებ, უნდა მომეწონოს. გადაღებას უკვე ვიწყებთ. ახლახან ერთმა საინტერესო ადამიანმა სცენარი მომიტანა და მთხოვა, წამეკითხა. ძალიან მომეწონა. ყველაფერზეა – სიყვარულზე, ადამიანურ ურთიერთობებზე... ჯერ ვერაფერს მოგიყვებით. სცენარი ძალიან გამართულია, რაც იშვიათია; როლები გამოკვეთილია და კარგი სამუშაოა. ჩემი პარტნიორებიც ჩემთვის საინტერესო ადამიანები არიან. კარგი აურაა. ერთადერთი გაგიმხელთ, რომ ჩემი პარტნიორი ახალგაზრდა მამაკაცია, რეჟისორი და პროდიუსერიც ახალგაზრდები არიან. ძალიან საინტერესოა ახალგაზრდებთან მუშაობა. მეტის თქმის უფლება არ მაქვს.

დიდი შთაბეჭდილება – პედრო ალმოდოვარი

ალმოდოვართან მუშაობა მართლაც რაღაცით საოცრებას ჰგავს. სამწუხაროა, რომ ჩემს ამ გამოცდილებას ბევრს ვერაფერს მოგიყვებით. იქ საერთოდ ისეთ კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რომ არა მხოლოდ საუბარი, ალმოდოვართან, ხავიერთან თუ პენელოპა კრუსთან გადაღებული ფოტოების გამოჩენის უფლებაც არ მაქვს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ალმოდოვარი დოკუმენტურ ქრონიკას აკეთებს თავის თავზე. ეს ბიოგრაფიული ფილმია, სადაც ყველაფერია შესული, ალმოდოვარის თითოეული ფილმის შექმნის ისტორია. პროექტი ჯერ არ დასრულებულა. მე კი დავასრულე, მაგრამ გადაღებები ისევ გრძელდება. ალმოდოვართან არაორდინარული როლი არ მქონია, ჩემმა რეჟისორმა დამაკავშირა მასთან. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ფრანგულ ფილმში, „რაც ოთარი წავიდა“, ვითამაშე. ამ ფილმმა კანის კინოფესტივალზე დიდი აღიარება მომიტანა – ჯილდოდ „ცეზარი“ მივიღე. ამ ფილმის რეჟისორმა და პროდიუსერმა აჩვენა სწორედ ალმოდოვარს ფილმი და მან მე საკუთარ დოკუმენტურ ქრონიკაში ჩამსვა. ისტორია სულ ეს იყო, თუმცა, ეს შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში გრძელდება.

რა ვქნა, ასეთი პროფესია მაქვს, ყოველთვის ჩუმად მიწევს ყოფნა და საინტერესო პროექტებზე, როგორც წესი, ვერ ვლაპარაკობ ხოლმე.

იქ – კომფორტი, აქ – მდგომარეობა

იქ, დასავლეთში, მსახიობი უყვართ, სჭირდებათ და უყვართ. აქ, საქართველოში, სჭირდები, მაგრამ დამოკიდებულება არავითარი არ არის. იქ მსახიობია მთავარი, აქ – ტექნიკა. მარტივ მაგალითს გეტყვით. არიან რეჟისორები, რომლებიც გეტყვიან: კამერაში 5 ათასს ვიხდი და შენ 100 ლარს გადაგიხდიო.

იქ მსახიობებს ძალიან დიდი ჰონორარი აქვთ და ამიტომაც კონკურენციაც დიდია. ყველაფერს აკეთებენ, რომ ამა თუ იმ რეჟისორის ფილმში ითამაშონ.

აქ რაც უფრო დიდ სისულელეს იტყვი და გაიხდი, მით უფრო პოპულარული ხდები, თან არც უხდიან, შესაბამისად, ზოგჯერ მიკვირს ხოლმე, რისთვის ჩხუბობენ აქ.

კი, ნამდვილი ვარსკვლავები არიან და ამას ყველგან გრძნობენ – გადასაღებ მოედანზე, ისევე როგორც წითელ ხალიჩაზე. ჩვენ აქ საკუთარი თავის დაფასება არ შეგვიძლია. დასავლეთში ვარსკვლავები რეალიზებულნი არიან, კარგი ჰონორარი აქვთ და საინტერესო როლები, ამიტომაც არიან სხვანაირები, ძალიან დიდ დროსა და ფინანსებს უთმობენ საკუთარ თავსა და სილამაზეს, აშინებთ დრო და ასაკი.

ჩვენ ბაზარშიც გვიწევს სიარული, საჭმელსაც ვაკეთებთ, ოჯახსაც თვითონ ვუვლით და მერე კიდევ კარგ ფორმაშიც უნდა იყო და ვარსკვლავური „ობრაზი“ არ უნდა დაკარგო.

გული მწყდება, რომ ქართველ მსახიობებს არსად გაბრწყინების საშუალება არ აქვთ. წითელი ხალიჩაც უნდა იყოს და საინტერესო ჯილდოებიც. როგორც კანშია, მაგალითად, როგორიც არის ოსკარი. ეს სულ სხვა გრძნობაა. ყველა სიყვარულით გიყურებს, გიღიმის, გრძნობ, რომ ღირებული ხარ, როგორც ადამიანი და მსახიობი.

წარსული, როგორც იდეალი

დღევანდელ თეატრთან ცოტა გაუცხოება მაქვს. ისეთი აღარ არის ურთიერთობები და დამოკიდებულება, როგორიც ადრე იყო.

ისეთ კორიფეებთან ვიმუშავე, როგორებიც იყვნენ კოტე მარჯანიშვილი, სოფიკო ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ნოდარ მგალობლიშვილი, იაშა ტრიპოლსკი... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს.

მარჯანიშვილის თეატრში „შთამომავლობას“ რომ დგამდნენ, 19 წლის ვიყავი და თეატრში რომ შევდიოდი, ტრიპოლსკი და სხვებიც, მამაკაცები ფეხზე დგებოდნენ ხოლმე. ახლა დამოკიდებულებები წაიშალა. რეჟისორი ფეხზე ადგება კი არა, წამოწოლილია და სულ არ აინტერესებს მსახიობი.

დიდი პაუზის შემდეგ დოიმ ჯინსების თაობაში თამაში შემომთავაზა და დავთანხმდი. შემდეგ, როცა საფრანგეთში მომიწია წასვლა, 6 თვე სპექტაკლი გააჩერა: ნინო ჩამოვა და აღვადგენო. ჩემს მაგივრად სპექტაკლში არავინ არ შეიყვანა. ეს არის დამოკიდებულება. ამ ჟესტისთვის დოის ძალიან დიდ პატივს ვცემ.

ისევე როგორც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მედეა კუჭუხიძემ. როცა ჩემი სპექტაკლი იაპონიაში წავიდა, მედეა მოვიდა ჩემთან და მკითხა, წამოხვალ ჩვენთან ერთადო. თუმცა, მე უკვე იმ სპექტაკლში აღარ ვმუშაობდი, მან ჯერ მე მკითხა, წავიდოდი თუ არა მათთან ერთად იაპონიაში. ეს არის დამოკიდებულება მსახიობის მიმართ.

მიხარია, რომ ასეთი ადამიანები კიდევ არსებობენ.

კომპლექსი შანსის წინააღმდეგ

კი, დიდი შანსი გავუშვი ხელიდან. ახლა, ამ გადასახედიდან შეიძლება ვნანობ კიდეც, თუმცა, ზუსტად ვიცი, უკან რომ დავბრუნდე, მაინც იგივე არჩევანს გავაკეთებ – ეკრანზე ვერ გავიხდი, ვიცი, რომ ასე იქნება.

კეტრინ ბრეამ შემომთავაზა ეროტიკული როლი. ის უდიდესი რეჟისორია და საფრანგეთში ძალიან უყვართ, მის ფილმში გადაღებაზე ყველა ოცნებობს. ამიტომ, როცა ეს ფილმი შემომთავაზა, არ ეგონა, თუ უარს ვეტყოდი. იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ვითამაშებდი, ეგონა, ჰონორარი მეცოტავა და მოგიმა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხომასურიძის ცხოვრებაში

ნინო ხომასურიძე: „ასეთი პროფესია მაქვს, წინასწარ ვერაფერს ვამბობ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ახალგაზრდა პარტნიორი მყავს და გადაღებები მალე დაიწყება“

ახალი პროექტი გრიფით „საიდუმლო“

ტებო, შემპირდა.

მაშინ 40-45 წლის ვიყავი. მიყვარს ბრეას ფილმები, თუმცა, გახდა მაინც ვერ გავბედე და ვერ გადავწყვიტე. გამოცდილებაც არ მქონდა ასეთი როლების. ერთადერთხელ მქონდა რუსეთში მსგავსი შეთავაზება და მაშინაც არ დავთანხმდი. მე ასე ვარ გაზრდილი, ოჯახიც სხვანაირი მქონდა. სხვა რომ იხდის, მომწონს, თუკი კარგად და პროფესიონალულად არის გაკეთებული. დასავლეთში ასეთ ფილმებს მაინც ძალიან დიდი პროფესიონალიზმით აკეთებენ, აქაურ მცდელობებს ვერც შეადარებ. მაგრამ როცა მსახიობი ხარ, ყველაფერი არ უნდა გააკეთო. არის რაღაც, რასაც დიდი ვარსკვლავებიც არ თანხმდებიან.

წარმოიდგინეთ, ფილმ „ერთხელ ამერიკაში“ ტაქსის სცენა რომ არ ყოფილიყო, ეს ფილმი სულ სხვანაირი იქნებოდა...

არ ვიცი, სადაც მივდივარ, მთელი საქართველო მიმაქვს და ესეც შეიძლება ფაქტორია. რას იტყვიან ჩემი შვილის მეგობრები, ჩემი მეუღლის ამხანაგები, რას იტყვის ყველა... ეს ფაქტორი მაინც ცოცხლობს და მუშაობს...

ვნანობ მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, ახლა გაცილებით უკეთესად ვიცხოვრებდი. თუმცა, რაც იყო იყო, წარსულში დიდხანს არასოდეს ვჩერდები... იყო და წავიდა.

ასაკი

ახლა სიბერეა, ვერ ვიტან, მეზიზღება სიბერე... სიცოცხლე მიყვარს. ადრე ბაბუაჩემი ამბობდა ხოლმე, 95 წლის ასაკში გული არ ბერდებაო და არ მჯეროდა, ვიცინოდი... ახლა აღმოვაჩინე, რომ ნამდვილად ასეა. როგორც ჩანს, გულის კუნთი ის მექანიზმია, რომელიც ყოველთვის რიტმში ძგერს... და არა უბრალოდ ძგერს, ზოგჯერ სისულელესაც მკარნახობს (იცინის). ამიტომაც ზოგჯერ ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე: „ნინო, ახლა დაწყნარდი...“

არ მინდა დაბერება, თუმცა, არც პლასტიკას ვიკეთებ, ნატურალური ვარ... ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, რად მინდა, რომ გავიკეთო? არ მინდა ჩემს ასაკთან შედარებით ძალიან შეუფერებელი ვჩანდე. ასეთი ვარ, ეს არის უკვე ჩემი ცხოვრება...

დეპრესიული ვარ, ძალიან მიყვარს მარტოობა. ამ დროს დეპრესიულ ადამიანებს ვერ ვიტან. შემიძლია, სახლში ჩავიკეტო და არავის აღარ დავეკონტაქტო თვეების მანძილზე. ერთხელ ასეთი მდგომარეობა მთელი 6 თვე გამიგრძელდა. ისეთი დეპრესია მქონდა სახლიდან ერთი წელი ვერ გავდიოდი.

არ ვიცი, ეს ასაკს მოაქვს თუ რას.

არ მიყვარს სიბერე, არა, სიკვდილის არ მეშინია, მე უკვე დიდი ხნის წინ მოვკვდი და რა მნიშვნელობა აქვს, ახლა როდის დადგება ეს დრო ფიზიკურად.

იცით, რა მადარდებს? უსუსური მდგომარეობა, არ მინდა, ვინმეს შესანახი გავხდე. არ მინდა, ასეთი დღე დამიდგეს.

სიკვდილი, როგორც გამოცდილება

მეუღლე საკუთარ დაბადების დღეზე გარდაიცვალა, სავარძელში იჯდა და თვალები უკვე დახუჭული ჰქონდა, რომ შევხედე...

ჩემი ერთადერთი შვილი სამი თვის შემდეგ დაიკარგა რუსეთში... დღემდე არაფერი ვიცი მის შესახებ... სასაფლაოც არ მაქვს...

წინათგრძნობა არ მქონია. ჩემს შვილს რომ კლავდნენ, იმ დღეს ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი, უჩვეულოდ კარგი განწყობა მქონდა, ძალიან გახარებული ვიყავი... წინათგრძნობა რომ მქონოდა, ასე ხომ არ ვიქნებოდი? იქნებ, ვგრძნობდი კიდეც, თუმცა არ ვიცოდი, ის რაღაც, რაც ჩემამდე მოდიოდა, კარგი იყო თუ ცუდი, ამდენს ვერ ვაცნობიერებდი.

ისინი სიზმარშიც არასოდეს მინახავს... ჩემი მეგობარი ფსიქოლოგია და პატარა ბავშვივით მაწყნარებს ხოლმე: არ გაწუხებენ და იმიტომ არ გესიზმრებიანო, მეუბნება, და მეც ვითომ მჯერა... თუმცა, მათ ეკლესიურად ვუვლი... მეუღლის საფლავზე ავდივარ ხოლმე და სულ ვსაყვედურობ, ვერ ვპატიობ, რომ ასე დამტოვა...

ჯილდო, რომელიც კანის ფესტივალზე მივიღე, მათ ხსოვნას მივუძღვენი...

მეორე სუნთქვა

ამ ტრაგედიის შემდეგ ჩემი ცხოვრება სულ მეორე სუნთქვას ჰგავს. ახლაც ახალ პროექტში ჩავერთვები. საინტერესოა ცხოვრება და გრძელდება. ოღონდ, ვერ ვხვდები, სად ვპოულობ ამდენ ძალას... მძიმედ გადავიტანე, რა თქმა უნდა, ანევრიზმა მქონდა, ინფარქტიც გადავიტანე.

კი, ნამდვილად ამბობენ, რომ სიყვარულმა და ოცნებამ ასაკი არ იცის... ახლა ჩემს ცხოვრებაში სხვა მამაკაცია და ოცნების რა გითხრათ, „ცეზარი“ მაქვს. ასე რომ, ახლა „ოსკარის“ დროა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N27 (328) ორშაბათი, 13 ივლისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„უკეთესი იქნება თუ არაფერს დაბეჭდავთ, არ მიყვარს ჩემი ცხოვრების საჯაროდ განხილვა“

დაქორწინდა თუ არა მაკა ასათიანის უფროსი ვაჟი

exclusive



exclusive

ქეთი ჟღენტი - 17 წლის ქართველი მოდელის პარიზული წარმატება

exclusive

ზვიად სიჭინავა - ერთი ივენთი საქართველოს 40 მილიონს მოუტანს

ყველა მსურველი და გულშემატკივარი ვერ მოხვდება თამაშზე

exclusive

„ჰით ბათუმი“ - აქ ყოველდღე რაღაც ხდება

ექსკლუზიური რეპორტაჟი „X ფაქტორის“ კულისებიდან

exclusive

მესამე დიდი საოცრება ნინო ხომასურიძის ცხოვრებაში

ახალი პროექტი გრიფით „საიდუმლო“

exclusive

კესარია საცვლების რეკლამაში გადაიღეს

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება